

ილია მაისურაძე

ქართული გვირგვინები

(სალექსიკონო გვირგვინი მასალები)

საქართველოს
თბილისი
1990

საქართველოს
თბილისი
1990

81.2-4
პ 178

წინამდებარე ნაშრომი ლექსიკოგრაფიული წესით შედგენილი კრებულია, რომელშიც წარმოდგენილია თანამედროვე გვარების (გვარსახელების) ძირითადი ფონდი.

ნაშრომი საჭირო ცნობარია როგორც წმინდა მეცნიერულ-თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ზოთა ქიმიკურის საერთო რედაქციით
შეორე გამოცემა

საქართველოს
კავშირების
2000-2000

კ 254.970
3

ა 4406010000 — 71
086(02) — 90 — გამოცხ. გარეშე — 90

© მხატვრული გაფორმება — „საქინფორმკინო“
კოოპერატივი „ორიონი“

საქართველოს
საბჭოთა კავშირის
ბიბლიოთეკის
განყოფილება

წინასიტყვაობა

ენის ლექსიკურ სისტემაში არსებით სახელთა შორის გამოი-
ყოფა განსაკუთრებული ფენა, რომელსაც ქმნის ადამიანთა სახელ-
წოდებანი და ადგილთა სახელების ფართო ნომენკლატურა. მათი
ერთობლიობის აღსანიშნავად მიღებულია ტერმინი ონომასტიკა
(იგივე — ონომატოლოგია), რომელიც (ამასთანავე) ამავე მასალის
შემსწავლელი დარგის აღმნიშვნელიც არის. იგი ლექსიკოლოგიის
ნაწილია, რომლის კვლევის ობიექტი უხვი ლექსიკური ფონდია,
შედგენილი ანთროპონიმებისა და ტოპონიმებისაგან. ფაქტების
ამოურწყველი სიმრავლით, ფორმათა ნაირგვარობით, სპეციფიკუ-
რი სემანტიკითა და გრამატიკული სტრუქტურით ლექსიკის ეს
უბანი თავისი ორი ნაწილით (ანთროპონიმითა და ტოპონიმით)
ლინგვისტური კვლევა-ძიების მეტად საინტერესო (თუმცა ნაკლებ-
ბად შესწავლილი) ასპარეზია.

ანთროპონიმია თავის მხრივ ორი სახის მონაცემებს აერთი-
ნებს — ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს (პატრონიმებს).
მათი შესწავლაც, თუმცა ურთიერთმჭიდრო კავშირში, მაგრამ მაინც
ცალკე-ცალკე ხდება, და ამის გამო პატრონიმიკა (გვართამცოდნე-
ობა) ანთროპონომიკის (სახელთამცოდნეობის) ცალკე დარგად
გვევლინება.

ონომასტიკური ფონდი სიტყვებისა. ენის ლექსიკური შემად-
გენლობის უძველესი ფენაა: ადგილთა, ადამიანთა, ცხოველთა
სახელდება ენის წარმოშობის პირველსავე საფეხურზე უნდა მომ-
ხდარიყო. ამას მოითხოვდა ველურობის საფუძველზე მდგომ პირ-
ველყოფილ ადამიანთა ცხოვრებისეული საჭიროებანი.

გვარები (საგვაროვნო სახელები, გვარსახელები) იგივე სა-
კუთარი სახელებია, ოღონდ დამატებითი, მეორეული სახელები, რომ-
ელთა შექმნა ისევ გარკვეულმა პრაქტიკულმა საჭიროებამ განა-
პირობა. სოციალური პროგრესის შედეგად ადამიანთა განვითარე-
ბულ კოლექტივებში საკმარისი არ აღმოჩნდა პიროვნების მხო-
ლოდ სახელით მოხსენიება, აუცილებელი გახდა იმის მითითებაც,

თუ რომელ გენეალოგიურ შტოს მიეკუთვნებოდა კერძო სახელის მქონე ინდივიდი, ვისი შთამომავალი იყო, ან რომელი ოჯახის (გვარულობის, ტომის) წარმომადგენელი. გვაროვნული წარმომავლობის სახელდებას საგვაროვნო კრებულის ან სხვა წევრების ამა თუ იმ ნიშან-თვისების აღნიშვნა ედებოდა საფუძვლად, აგრეთვე ჩვეულება, რწმენა, სადაურობა, გამოჩენილი ადამიანის (ბელადის, სარდლის) სახელი, წინაპრის საქმიანობა, თანამდებობა, ზოგჯერ ტომებზე, მითიურ ამბებსა და პერსონაჟებზე, თეონიმებზე (ღვთაებათა სახელებზე) მითითება და, ყველაზე მეტად კი, წინაპრის საკუთარი სახელი (ეპონიმი).

აქედან ჩანს, რომ პიროვნულ სახელს კაცობრიობის კულტურის პირველ საფეხურებზევე დაემატა თემურ-გვაროვნული ყოფითი შინაარსით გაპირობებული ვინაობის დამაზუსტებელი მეორე სახელიც. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ იყო გვარი დღევანდელი გაგებით, ე. ი. ის, რაც კანონმდებლობით განმტკიცებულ და ოფიციალურად აღიარებულ, იურიდიული უფლებით აღჭურვილი ადამიანის მეორეულ (საპასპორტო) სახელდებას წარმოადგენს და რომლის შექმნა აუცილებელ პირობად სახელმწიფოებრივ ცხოვრების სისტემას გულისხმობს.

ზემოდასახელებული ფაქტორებით წარმოქმნილი პირველადი დამატებითი ანთროპონიმები არ იყვნენ აღჭურვილნი პატრონიმისტური ფუნქციით, ისინი (მაგალითად, ვეფხია, მგელა, ხოკერა, კურდღელა...) უფრო მეტსახელები იყო, რომლებიც, იქცნენ რა დროთა განმავლობაში ტრადიციულ საკუთარ სახელებად, გვარების ქმნალობაშიც ჩაებნენ. ეს პროცესი კი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უფრო გვიანდელი საფეხურისათვის არის დამახასიათებელი (როცა შეიქმნა შესაბამისი გვარები: მგელაძე, ხოკერაშვილი, კურდღელაური...).

გვარები და სახელები აქტიური მოხმარების სიტყვათა რიგს განეკუთვნება, ჩვენი ცხოვრების ვერც ერთ უბანზე, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ვერც ერთ მომენტში ვერ ვახერხებთ გარემო სინამდვილეში გარკვევას ანთროპონომებისა და ტოპონიმების დაუხმარებლად.

ზეპირმეტყველების პარალელურად გვარსახელთა ფონდი ონტენსიურად გამოიყენება მწიგნობრობაშიც. ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მხატვრულ ნაწარმოებს, ვერც ერთ პუბლიცისტურ, თუ სხვა ხასიათის სტატიას, ან გამოკვლევას, რომელიც ვნებავთ სამეცნიერო სფეროდან, სადაც არ იყოს აღბეჭდილი

გვარსახელების გარკვეული მარაგი. ჩვენი მასობრივი პრესა ხომ ყოველდღიურად აცნობს მკითხველთ ონომატოლოგიური ლექსიკონის ზღვა მასალას. მარტო გაზეთი „კომუნისტი“ თავის ყოველნომერში საშუალოდ 250—300 ქართულ გვარსახელს ამზეურებს.

დიდძალი პატრონიმიკური მასალაა ფიქსირებული ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, ძველი აღმოსავლეთის ეპიგრაფიკულ და მწიგნობრულ ძეგლებში, ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, რუსულ, სომხურ და სხვა ენებზე მოღწეულ ანალებში. ჩვენი დიდი საისტორიო თხზულება „ქართლის ცხოვრება“ უამრავ სახელგაარულ ერთეულს გვაწვდის. ფართო წრე პატრონიმებისა აღნუსხული და კვლევა-ძიების დროს დამოწმებული აქვთ ჩვენს მეცნიერებს, მათვე გამოთქმული აქვთ აზრები და შეხედულებანი, ან სპეციალურად დაწერილი ნარკვევები ანთროპონიმიისა და, საერთოდ, ონომასტიკის ცალკეული თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.

მაგრამ ზოგადი და ეპიზოდური დაკვირვებანი, თუნდაც კამერალური ძიება ამ მხრივ მაინც შორს ვერ წაგვიყვანს. საჭიროა ქართულ გვარსახელთა მდიდარი ლექსიკური ფონდის სპეციალური შესწავლა ლინგვისტურად, რასაც წინ უნდა უსწრებდეს ფაქტობრივი დოკუმენტური მასალის შეკრება, სისტემატიზაცია, სალექსიკონო წესით დამუშავება და პუბლიკაცია. ამას უნდა მოჰყვეს გვარსახელების, როგორც გარკვეული კატეგორიის ლექსემათა, ფუნქციური და სტრუქტურული ანალიზი, მათი სპეციფიკის კანონზომიერებათა დადგენა, ეტიმოლოგიური ძიება, ცალკეული ფაქტების ანალიზი სინქრონიულ თუ დიაქრონიულ ასპექტში და სხვ. ამ მიმართულებით უდიდესი პრობლემები ისახება ონომასტიკური კვლევა-ძიებისა, რომელთა გადასაჭრელად ფართო მასშტაბის პრაქტიკულ-შემკვრებლობითი და თეორიულ-პრინციპული სამუშაოებია ჩასატარებელი.

პატრონიმთა შესწავლის ამ სერიოზულ საქმეში, ვფიქრობთ, გარკვეულ წვლილს შეიტანს წინამდებარე ცნობარი, სადაც მოცემულია ბიბლიოგრაფიული ინფორმაციები სალექსიკონო წესით დაწესებულ ქართულ გვარსახელთა ერთ ნაწილზე. დამოწმების მიზნით აქ არის მითითებული პერიოდული გამოცემები, სადაც ესა თუ ის გვარსახელი გვხვდება (საყოველთაოდ ცნობილი და ფართოდ გავრცელებულ გვარსახელებს ასეთი მითითებანი არ ახლავთ). შეძლებისდაგვარად დასახელებულია აგრეთვე ძველი ლიტერა-

ტურული ძეგლებიც, როგორც გვარსახელთა ძველად არსებობის დამადასტურებელი წყაროები და სპეციალური ლიტერატურაც იმ შემთხვევაში, თუ სალექსიკონო ერთეული მეცნიერული ძიების ობიექტი იყო.

აქვეა წარმოდგენილი დამატებითი ცნობებიც, პირველ რიგში გვარსახელის ლოკალიზაციაზე (გავრცელების არეალზე)¹. ფუძის სემანტიკურ სარჩულზე, მის გრამატიკულ სტრუქტურასა და წარმომავლობაზე. ზოგ შემთხვევაში მოყვანილია ხალხში შეკრებილი იმ თქმულება-გადმოცემის შინაარსი, ან სხვა სახის ცნობები, რომლებიც ეხება ცალკეულ საგვარეულოთა თავგადასავალს, ან თვით გვარსახელის წარმოშობას.

ამხსნელი ტექსტი ყველა გვარსახელს თანაბარი სისრულით არ ახლავს, ზოგიერთს საქმარისი ბიბლიოგრაფიული ცნობები ან ძირითად საცხოვრებელ ადგილზე მითითებაც არ მოეპოვება, რაც სათანადო მისალის უქონლობით არის გამოწვეული. ამის მიუხედავად, ისინი ამ წიგნში მაინც მოხვდნენ, რამდენადაც მათი ფორმა და შინაარსი გარკვეულ ინტერესს იწვევს ამა თუ იმ თვალსაზრისით.

ავტორი დიდი მადლიერებით მიიღებს ამგვარ გვარსახელთა წარმომადგენელთაგან დამატებითს ცნობებს დანაკლისის შესავსებლად, რაც გამოყენებული იქნება მომავლისათვის განზრახულ ქართულ გვარსახელთა სრული ლექსიკონის გამოცემისას.

¹ ამა თუ იმ გვარეულობის საცხოვრებელ პუნქტზე მითითებისას მხედველობაში გვაქვს ადრინდელი ვითარება, როდესაც საგვაროვნო კოლექტივები მკვიდრად ცხოვრობდნენ განსაზღვრულ ადგილებში, თორემ დღევანდელ პირობებში გვართა ლოკალიზაცია ძნელდება, რამდენადაც ეს კოლექტივები თავისუფლად არიან განფენილნი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, თუმცა, იმის მიუხედავად, მაინც ხერხდება გვართა ძირითადი „ბუდე ადგილების“ მონახვა.

წყაროები და ლიტერატურა

(შემოკლებათა განმარტებითურთ)

ალავიძე, მასალ. ალავიძე მიხეილ, რაჭულ-ლენხუმური ტოპონიმიკური მასალები. ა. წულუკიძის სახელ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII, 1951.

ანდრონიკაშვი. ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ქართულ-ირანული ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1955.

აჭარ. ლექსიკ. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

ახვლ., დიალექტ. შერ. ახვლედიანი გ., დიალექტთა შერევის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 9-10, 1946.

ბარდაველიძე, ძეგლ. ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, 1, თბ., 1974.

ბარდაველიძე სვ. დდ. კალენდ. ბარდაველიძე ვ., სვანურ დღეობათა კალენდარი, ტფ., 1939.

ბერძენიშვი., საქ. ისტ. საკითხ. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, 111, თბ., 1966.

გეორგიკა, 1: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961.

გოზალიშვი., მითრიდატე: გოზალიშვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962. **დავთ. 11:** გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, წ. 11, თბ., 1941.

დავთ. 111: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 111, გამოკვლევა, თბ., 1958.

ინგორ. მერჩულე: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, X ს. ქართველი მწერალი, თბ., 1954.

ინგორ. სვ. საისტ. ძეგლ. 2.: ინგოროყვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, ტექსტები, თბ., 1941.

კაკაბ. ისტ. საბ.: კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგნი II, ტფ., 1913.

კალმასობა: ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, 1, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1955.

კეკელიძე ეტიუდ., 1: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორიის ეტიუდები, 1, თბ., 1956.

კოტეტიშვი. ხალხ. პოეზია: კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, თბ., 1961.

ლეონიძე, სახელ.: ლეონიძე გ., ქართული სახელები, გაზ. ლიტერატურული საქართველო, № 12, 17. 111. 1961.

მაის. ბერ ძირი: მაისურაძე ი., ბერ ძირი ქართულ სახელგვარებში, მაცნე, № 1, 1965.

მაკალ. თუშ.: მაკალათია ს., თუშეთი, თბ., 1933.

მაკალ. მთიულ.: მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930.

მაკალ. ფშავი: მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1934.

მაკალ. ხევს.: მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1935.

მენტ. ქიზ. ლექსიკ.: მენტეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

მელიქიშვი. ეთნონიმ.: მელიქიშვილი გ., აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმების შესწავლისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, № 3, 1961.

მეტრეველი, მასალ.: მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

პიონ. და მოსწ. სასახლ. მასალ.: ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლესთან არსებული ნორჩ თონმასტიკოსთა სადგურის მასალები.

ჟორდ. ქრონიკ. 1: ჟორდანიას თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. 1, ტფ., 1892.

ჟორდ. ქრონიკ. 111: ჟორდანიას თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ... თბ., 1967.

ჟორდ. ისტ. საბუთები: ჟორდანიას თედო, ისტორიული საბუ-

თები შიო მღვიმის მონასტრის და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896.

საბა: სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, როძელ არს-
ლექსიკონი. ლ. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით.
თბ., 1948.

საქ. სიძველ., 1: საქართველოს სიძველენი, ტ., 1, ე. თაყაი-
შვილის რედაქციით, თბ., 1920.

საქ. სიძველ., 11: საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის
რედაქციით, თბ., 1909.

სოსელია, ნარკვევები: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური
ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტო-
რიიდან (სათავადოები), 1, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1973.

სულთა მატთანე: საქართველოს ისტორიის წყაროები, 7, ტბე-
თის სულთა მატთანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკველ-
ვა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, „მეცნიერება“, თბ.,
1977.

ურუშაძე, კოლხ. არგონავტ. თქმ.: ურუშაძე ა., ძველი კოლხე-
თი, არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

ქავთ. ქართ. ენ. ისტ.: ქავთარაძე ი. ქართული ენის ისტორიისა-
თვის (XII—XVIII სს.), თბ., 1964.

ქართ. დიალექტოლ.: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთა-
რაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, 1. თბ., 1962.

ქართლ. ცხ., 1: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყვე-
ლა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.
1, თბ., 1955.

ქართლ. ცხ., 11: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი
ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ,
ტ. 11, თბ., 1959.

ქართლ. ცხ., IV: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი
ქახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; ტექსტი დადგენილი
ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ,
თბ., 1963.

ქმეკლი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ.
ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემ-
ლობა, ტ. 1—VIII, 1950—1964 წწ.

ლ. სახელ.: ლლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, ანტროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967.

შანიძე, გრამ. საფ.: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1973.

შანიძე, თეოფ. სახელ.: შანიძე ა., თეოფორული სახელები ქართველურ ენებში, მაცნე, № 2, 1967.

შანიძე, სტრუქტ. საკითხ.: შანიძე ა., ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზულებანი, 1, თბ., 1955.

ჩარკვ, სვან.: ჩარკვიანი ა., საბჭოთა სვანეთი, თბ., 1974.

ჩიქობ., სახ. ფ.: ჩიქობავა ა., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჩუბინ.: ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანიტურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით., თბ., 1961.

ჭუმბ.: ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბ., 1971.

ჭყონია, ქორწ. ინსტ.: ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955.

ჯავახიშვი. ისტორ. ეთნ.: ჯავახიშვილი ი., საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

ჯავახიშვი. ეკონ. ისტ. ძეგლ.: ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, 1, თბ., 1967.

ჯავახიშვი. ქ. ერ. ისტ.: ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, წ. 1, მეხუთე გამოცემა, თბ., 1960.

ჯავახიშვი. ქართ. მუს. ისტ. საკ.: ჯავახიშვილი ი., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

ჯანაშია, შრ. 111.: ჯანაშია ს., შრომები, 111, თბ., 1949.

Баскаков: Баскаков Н. А., Русские фамилии тюркского происхождения, АН СССР, Институт языкознания, М., 1979.

Кипш., грамм.: Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка, Спб. 1914.

Никонов, имя и общ.: Никонов В. А., Имя и общество, изд. «Наука», М., 1972.

Никонов: Никонов В. А., Опыт словаря русских фамилий, I, Этимология, 1970, АН СССР, Институт русского языка, изд. «Наука», М., 1972.

ზეიმოკლეგული სიტყვები .

- ა დ გ. გ მ თ ქ მ.: ადგილობრივი გამოთქმით.
- ა რ ა ბ.: არაბული.
- ბ ე რ ძ ნ.: ბერძნული.
- ბ ლ ს რ თ ი.: ბოლოსართი
- ბ ი ბ ლ.: ბიბლიური
- გ დ ტ.: გადატანითი მნიშვნელობით.
- გ ა ვ რ ც.: გავრცელებული.
- გ ე ო გ რ.: გეოგრაფიული
- დ ა მ შ მ ც.: დამამცირებელი.
- ე ვ ფ.: ევფემისტური.
- ე თ ნ ო ნ ი მ.: ეთნონიმური
- ე პ ო ნ ი მ.: ეპონიმური.
- ზ გ დ ი. მ ნ შ ვ ნ.: ზოგადი მნიშვნელობით.
- ი ნ ფ ო რ მ.: ინფორმატორი.
- თ უ რ ქ.: თურქული.
- ი რ ა ნ.: ირანული.
- ი შ ვ.: იშვიათად გავრცელებული.
- ი ხ.: იხილე.
- კ ნ ი ნ.: კნინობითი.
- ლ ა თ ი ნ.: ლათინური.
- მ ე გ რ.: მეგრული.
- მ ე ტ ს ა ხ.: მეტსახელი.
- რ ი რ ა ი ო ნ ი.
- რ ა ბ ი რ ა ი ო ნ ე ბ ი.
- რ უ ს.: რუსული.
- ს ა ე ა რ.: საეარაუდო.
- ს ა ქ.: ს ა ხ.: საკუთარი სახელი.
- ს ა ქ.: საბჭო; საქალაქო საბჭო.
- ს ა ხ.: სახელი.
- ს ე ა ნ.: სენური.
- ს ო მ ხ.: სომხური

ფ რ ა ნ გ.: ფრანგული.
შ ე მ ო კ ლ.: შემოკლებით.
შ ე რ ქ მ.: შერქმეული.
ძ ვ.: ძველი.
ქ ა ნ.: ქანური.

დამოწმებული გაზეთების პირობითი შემოკლებანი

ალაზნ. განთ.: „ალაზნის განთიადი“ (თელავი).
ასპინძა.: „ასპინძა“ (ასპინძის რაიონული გაზეთი).
ახ. კომ.: „ახალგაზრდა კომუნისტი“.
ბორჯომი: „ბორჯომი“ (ბორჯომის რაიონული გაზეთი).
გამარჯვება: „გამარჯვება“ (გორის რაიონული გაზეთი).
განახლ. მესხეთი: „განახლებული მესხეთი“ (ადიგენის რაიონული გაზეთი).
თბ.: „თბილისი“ (თბილისის საქალაქო გაზეთი).
თბ. უნივ.: „თბილისის უნივერსიტეტი“ (უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთი).
კომ.: „კომუნისტი“.
კომ. განთ.: „კომუნისტის განთიადი“ (ჩოხატაურის რაიონული გაზეთი).
ლიტ. საქ.: „ლიტერატურული საქართველო“.
მებრძ.: „მებრძოლი“ (ზუგდიდის რაიონული გაზეთი).
საბჭ. ოსეთი: „საბჭოთა ოსეთი“.
საბჭ. ოსეთი. „საბჭოთა ოსეთი“.
საბჭ. პედ.: „საბჭოთა პედაგოგი“ ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთი.
სახ. გან.: „სახალხო განათლება“.
სოფლ. ცხ.: „სოფლის ცხოვრება“.
სოც. რუსთავი: „სოციალისტური რუსთავი“ (რუსთავის საქალაქო გაზეთი).
ქუთაისი: „ქუთაისი“ (ქუთაისის საქალაქო გაზეთი).
წით. დროშა: „წითელი დროშა“ (ახალციხის რაიონული გაზეთი).

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

მასალების შედგენილობა-აგებულებაზე

1. ქართულ გვარსახელთა ბიბლიოგრაფიულ მასალებში განსახილველ ერთეულებად შესულია დაახლოებით 3000-მდე ქართული გვარი, რომელთა უმრავლესობას ბიბლიოგრაფიულ ცნობებს გარდა განმარტებითი ხასიათის სხვა ცნობებიც ახლავს, ამდენად იგი წარმოგვიდგება როგორც სალექსიკონო მასალა.

2. ცნობები გარკვეული თანამიმდევრობით არის დალაგებული: დამოწმების შემდეგ (გაზეთის, ჟურნალის, ან წიგნის დასახელება, სადაც გვარია მოხსენიებული) მითითებულია გვარეულობის პირველსაცხოვრისი („ბუდე ადგილი“), ან გავრცელების გეოგრაფიული არეალი (სოფელი, დაბა, ქალაქი, რაიონი), რასაც მოსდევს ჩვენება ფუძის სემანტიკასა და გრამატიკულ აგებულებებზე, მეცნიერულ ან ხალხურ ეტიმოლოგიაზე, თქმულება-გადმოცემაზე, ბოლოს ნაჩვენებია ისიც, თუ როგორ არის ასახული გვარსახელის რაობა-წარმომავლობის საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში, თუ იგი იყო კვლევის საგნად ქცეული (ეს ცნობები, ცხადია, ყველა გვართან ერთნაირი სისტულით არ არის წარმოდგენილი).

მასალები საგვარეულოთა საცხოვრებელ ადგილად თბილისი იშვიათად არის დამოწმებული. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენს დედაქალაქში, როგორც რესპუბლიკის ცენტრში, საქართველოს თითქმის ყველა გვარია წარმოდგენილი, რამდენადაც მისი მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე პერიფერიებიდან ივსებოდა. ავტორი შეეცადა მხოლოდ იმ გვარებთან აღენიშნა თბილისზე მითითება, რომლებიც დედაქალაქის ძველ, მკვიდრ ოჯახებად არიან ცნობილნი.

3. ფართო გეოგრაფიული განფენილობის ან ისტორიულ-კულტურულ ასპარეზზე საყოველთაოდ ცნობილ გვარებს დამოწმება არა აქვთ (აბაშიძე, ახვლედიანი, მაჭავარიანი, ვეკუა, კლდიაშვი-

ლი, მაკალათია, მუსხელიშვილი, ტაბიძე, წერეთელი, ჩხეიძე, ჭავჭავაძე, ჯავახიშვილი, ჯაფარიძე...).

4. მოპოვებული მასალების საფუძველზე ზოგიერთ გვარსახელს ახლავს საგვაროვნო განშტოებათა (შტო-გვართა ანუ დანაყოფთა) დასახელებანი (იხ. ბურდული, ბუჩუკური, გიგაური, გაშაკიძე, კალმახელიძე...).

5. ბევრ გვარსახელთან ამხსნელი ტექსტის შემდეგ ჩამოთვლილია ამავე ფუძე-ძიების შემცველი გვარსახელებიც, ზოგან — თითო-ორიოლა, ზოგან — რამდენიმე ათეულიც (ბერიძესთან, გელაშვილთან, მამულაშვილთან, ტატაშვილთან, ტაბიძესთან და სხვ.). ისინი, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები, ცალ-ცალკე არიან შესულნი ჩვენ მიერ შედგენილ გვარსახელთა ლექსიკონში.

6. საკუთარი სახელებისაგან მიღებულ გვარებში უაღრესად მრავალფეროვან წარმოქმნილ ფუძეებს ვხვდებით (პაპაშვილ-ში ჩაქსოვილ პაპა-საგან მიღებულია პაპია, პაპალა, პაპელა, პაპულა, პაპუკი, პაპიტა; ბერიძის ბერ ძირისაგან — ბერია, ბერიაკა. ბერეკა, ბერუკა, ბერელა, ბერულა, ბეროზა, რომლებიც აღბეჭდილია შვილზე დაბოლოებულ შესაბამის გვარებში). მასალებში ასეთი დერივატული გვარები უბრალოდ ჩემოთვლილია ძირეულ გვარებთან, ხოლო თუ ისინი ცალკე გასამართავ ერთეულებად არიან გამოტანილი, მაშინ მათი ფუძეები ძირეულ და წარმომქმნელ ელემენტებად არიან დაშლილნი.

7. დათქმული შემოკლებანი და პირობითი ნიშნები ცალკეა ნაჩვენები. გარდა ამისა, მასალებში შეტანილ გვარსახელთა პარალელურად ხმარებულ ვარიანტებს აქვს სპეციალური აღნიშვნა (||), ისევე როგორც თავისი ნიშანი აქვს პირვანდელი ფორმების (არქეტიპების) ჩვენებასაც (—).

8. პატრონიმიული მასალების შეკრებაში ავტორს ეხმარებოდნენ დაინტერესებული პირები. ისინი განმარტებითს ტექსტებში ინფორმატორებად არიან მოხსენიებულნი.

9. ავტორი დაუზარებლად ლებულობდა აგრეთვე შენიშვნებსა და დამატებითს ცნობებს ფილოლოგიის დარგის არა ერთი მკვლევარისაგან, მათი შენიშვნები და გამოხმაურებანი მადლობით იქნა მიღებული და გათვალისწინებული წინამდებარე შრომაში.

აბაზაძე, სურამი (ხაშურის რ.), თბილისი და სხვ.; საფუძვლად უდევს საქ. სახ. აბაზა, შდრ. აბაზ (აბაზ კათალიკოსი ჰერთა, ყორდ. ქრონ. I, 54, 319); მოხსენიებულია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მთავართა გვარსახელებს შორის (ქართლ. ცხ., IV, 26, იხ. აგრეთვე თაყაიშვილ. საქ. სიძე. 1, 312, 313); აღრინდელ საცხოვრებლად აბაზთუმანს ვარაუდობენ (ადიგენის რ.); გ. ახვლედიანის მითითებით, აბასთუმანი აბაზაძეთა უბანს აღნიშნავდა. (იხ. მისი დიალექტთა შერევის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, VII, № 9—10, 1946); ამავე ძირისაა აბაზაშვილი.

აბაზგია, გალის რ.; ვვარადქცეული ეთნონიმა აბაზგო, იგივე აბაზი.

აბაიშვილი-ი გორის, ონისა და ამბროლაურის რ-ბი; სახ. აბა (ჯავახიშვილ. ეპ. ისტ. ძეგლ., 127, მაკ. ხეცს., 101); ამავე ძირისაა: აბაიძე, აბაიძე, აბაშვილი.

აბალაქი-ი, კირბალი, ბერბუკი (გორის რ); გვარად ქცეული სახ.; მოხსენიებულია 1467 წ. მცხეთის შეწირულების სიგელში: ქართლის კათალიკოზი აბრამ აბალაქი (კაკაბ., ისტ. საზ., 11, 19, 20);

აბაშიძე, ერთ-ერთი პოპულარული ისტორიული გვარსახელი. ვახუშტი ბაგრატიონს მოხსენიებული აქვს იმერეთის უწარჩინებულეს და შემძლებელ თავადთა შორის, რომელთაც ქართლშიც კჭონდათ მამულები (ქართლ. ცხ., IV, 34, 36); აბაშიძენი (იქვე, 501, 847, 883); იხ. აგრეთვე გვაროვნობითი შტო ქართლის აბაშიძეთა (ყორდ., ქრონ., II, 179); საფუძვლად უდევს სახ. აბაშ, აბაში; ეთნონიმადაც არის ცნობილი: აბაში (—აბსინიელი, კეკელიძე, ეტიუდ., 1, 179); შდრ. ტოპონიმები: აბაშა (ქალაქი, რაიონული ცენტრი), აბაშეთი (ქვეყანა); ამავე ძირისაა: აბაშია, აბაშიშვილი (წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო ქართლში, ბარათაშვილთა შტო); შდრ. აგრეთვე Абашин (Никонов, 126), Абашев (Баскаков, 216).

აბაშმაძე, მახარაძის რ. და სხვ.; სავარ. წარმოქმნილი სახ. აბაშმა. შესაძლოა მომდინარეობდეს აბაშა-საგან, სადაც -ბა ისეთივე მაწარმოებელი ჩანს, როგორც შემონახულია ზოგ

გვარსახელში: ცინცაბაძე (შდრ. ცინცაძე), ჩალაბაძე (—ჩალაძე), გოგებაშვილი (—გოგიბაშვილი, შდრ. გოგიშვილი და მისთ.).

- აბდუშელაშვილი-ი** || აბდუშელიშვილი, გორისა. (საჩხერის რ.), ჭიათურა, ქუთაისი; გადმოცემით ირან. სახელისაგან მომდინარეობს („აბდუშაჰილ“); რაზედაც მიუთითებს აქ. წერეთელი: „აბდუშაჰილის ჩამომავლობა დღესაც არიან ჩვენში—აბდუშელიშვილები“ („ბაში-აჩუკი“).
- აბელიშვილი-ი**, ოეიო (ახმეტის რ.) და სხვ.; || ა ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი (ჯავახიშვი. ექ. ისტ. ძეგლ. 351); → ა ბ ლ ა შ ვ ი ლ ი (თაყაიშვი. საქ. სიძე., 1, 118).
- აბესალამიძე**, წინსვლა (ხელვაჩაურის რ.); სახ. ა ბ ე ს ა ლ ა მ ი. შდრ. აბესალომი; აბესალამანთ ჰასრათა ჰაპას-შვილი (თაყაიშვი. საქ. სიძე., 1, 141); || ა ბ ე ს ლ ა მ ი ძ ე (კომ., 18. 11. 1967. 2); შდრ. რუს. А б а с л я м о в (Никонов, 135).
- აბესალაშვილი-ი** ზედა საკაო, (ონის რ.); ა ბ ე ს ა ლ ა — ა ბ ე ს ა ლ ა მ . ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ს შ ე მ ო კ ლ ე ბ ა .
- აბესაძე** წყალტუბოს რ., ქუთაისი და სხვ.; მოხსენიებულია რკონის 1259 წ. სიგელში (ქორდ. ქრონიკ. 11, 135).
- აბეჩხრიშვილი-ი** (თბ., 18. V 1966. 2), აკურა (თელავის რ.); ა ბ ე ჩ ხ ა რ ი (ზგდი მნიშვნ.) მოუვლელიობით ნახევრად გადამხმარი, გამეჩხერებული (ვენახი, ბალი), (ქეგლ).
- აბზიანიძე**, წულუკიძის რ. და სხვ.; სავარ. სახ. ა ბ ზ ი ა ნ ი. შესაძლოა მომდინარეობდეს ა ბ ა ზ ა -საგან (აბაზ + ბოლოსართიანი) შდრ. ა ბ ა ზ ა ძ ე , ა ბ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ...
- აბჟანდაძე**, სარევი (საჩხერის რ.); სავარ. სახ. ა ბ ჟ ა ნ დ ა (საზოგ. სახელისაგან—აბჟანდი, ავჟანდი); || ა ვ ჟ ა ნ დ ა ძ ე .
- აბრამიძე**, მახარაძის რ. და სხვ. (გავრც.), იმერხევი (დიალ., 375); ამავე ძირისაა: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი (ვარძიისადმი შეწირული გლეხი, იხ. ქორდ. ქრონიკ., 11, 135, XV ს. სიგელი); შდრ. რუს. А б р а м о в (Никонов, 133).
- აბრაზამია** (თბ., 23, IV, 1969. 4); სერგიეთი (გეგეჭკორის რ.); შდრ. ბიბლიური სახ. ა ბ რ ა ჰ ა მ (→ ა ბ რ ა ა მ → ა ბ რ ა მ).
- აბულაძე** იმერეთის, აჭარის, მესხეთის რ-ბი (გავრც.); სახ. ა ბ უ ლ ა . მოხსენიებულია ხალხურ ლექსში: „ადე, ადე, აბულაო, თეთრად გათენებულაო“; შდრ. ტოპ. აბული, აბულის მთა (ჯავახეთში).

აბუსერიძე, ვურთისა და აჭარის რ-ბი; წარჩინებული სამთავრო გვარი აჭარაში, ცნობილია XI ს-დან (იხ. „აბუსერიძე-ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულოს მატრიანე 1233 წლისა“. ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941; ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერიძე, XIII ს. ქართველი მწერალი. თბ., 1963; საქ. სახ. აბუსერი; აბუსერიძე აბუსერ (ჟორდ. ქრონიკ. 1, 122), იხ. აგრეთვე ქართლ. ცხ., 1, 301.); **|| ა ბ უ ს ე ლ ი ძ ე**.

აბშილავა, ბანძა (გეგეჭკორის რ.); ადგ. გამოთქმა; აბშილა; ძვ. ეთნონიმი **აფშილი** (=აფხაზი, იხ. ჯავახიშვი., ქ. ერ. ისტ., 1, 427); **|| ა ფ შ ი ლ ა ვ ა || ა მ შ ი ლ ა ვ ა**.

აგაშენაშვილი-ი (თბ., 1. XII. 1970. 4); საკრამული (დუშეთის რ.); სავარ. მეტსახ. „აგაშენა“ (უთუოდ ჩვევად გადაქცეული გამოთქმის გამო: „აგაშენა ღმერთმა“!).

აგიაშვილი-ი, დიხაშხო (ვანის რ.), პატრიკეთი (წყალტუბოს რ.); ძველი სათავადო საგვარეულო იმერეთში; საქ. სახ. აგია, შდრ. აგი (ლლ. სახელ).

ადეიშვილი-ი, ტობანიერი (ვანის რ.); ძვ. სახ. ა დ ა; — ა დ ა ი შ ვ ი ლ ი; ასიმილებული ფორმაა (ა. შანიძე, თეოფორული სახელები, მაცნე, № 2, 1967, 195); ამავე ძირისაა ა დ ა ძ ე.

ადიკაშვილი-ი (კომ., 24. V. 1966. 4), მარტყოფი (გარდაბნის რ.); საქ. ადიკა (ადა+იკ-ა).

ადომლიშვილი-ი (თბ., 19. IV. 1976. 4), ახალსოფელი (თიანეთის რ.), სავარ. სახ. ა დ ო მ ე ლ, ა დ ო მ ე ლ ა (ლლ. სახელ); — ალდგომელა; შდრ. ა ლ დ გ ო მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი; **|| ა დ ო მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი** (თაყაიშვი., საქ. სიძე. 1, 396).

აგაზნელ-ი ტინისხიდი (გორის რ.) და სხვ.; გვარადქცეული სადაურობის სიტყვა; ჯავახეთში ყოფილა სოფელი ა ვ ა ზ ა ნ ა (ჯიქია, დავთ., 111, 366), ზგდი მნიშვნ.: საქონლისათვის წყლის სასმელად წყაროსთან დადგმული ერთიანი ხისაგან გამოთლილი დიდი გობი (მაისურაძე ი., მასალები მესხური ლექსიკიდან, შ. რუსთაველის სახ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1955 წ.).

ავალიშვილი-ი, იმერეთის რ-ბი (გაერც.); ისტორიულად სამცხის სათავადო გვარეულობა. ვახუშტის მოხსენიებული აქვს მთავართა და წარჩინებულთა გვარებს შორის (ქართლ. ცხ., IV, 34); ბორჯომის ხეობის მფლობელები: ავალიშვილი გიორგი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„უორდ. ქრონიკ., III, 152); შდრ. ეთნონიმი ავალნი (კეკ-
 ეტიუდ., 1, 179).

ავანაშვილ-ი, თბილისი, მუხრანი (მცხეთის რ.) სახ. ავანა; შდრ.
 ტობ. ავანანთხევი (თბილისში).

ავბეწიშვილ-ი (თბ., 13. VIII, 1965, 4), კოდა (თეთრიწყაროს რ.);
 მეტსახ. ავბეწი (←ავბეწი=ავი პეწისა, ცუდი შესახედობისა,
 ულამაზო).

ავთანდილაშვილ-ი შუაფხო (დუშეთის რ.); (მაკ., ფშავი, 10).

ავქაფაშვილ-ი (თბ., 18. IV. 1968. 4), საცხენისი (გარდაბნის რ.);
 საეარ. სახ. ან მეტსახ. ავქაფა; || ავქოფაშვილი
 (ბოლნისის რ.)

აზალაძე (კომ., 6. VII. 1965: 1), ფლავე (გორის რ.); საეარ. სახ.
 აზალა.

აზანაშვილ-ი, გლოლა (ონის რ.); საკ. სახ. აზამა; || აზანი-
 შვილი.

აზიკურ-ი (თბ., 13. VII. 1963. 4), კეშო (ახმეტის რ.); საეარ. სახ.
 აზიკა; შდრ. აზიანი.

აზმაიფარაშვილ-ი, მეტეხი (კასპის რ.), თბილისი, გორი. „აზმა-
 იფარ საქებელი“ (საბა); შდრ. სომხ. აზმაიფარიანი.

აზრუმელაშვილ-ი (თბ., 5. XI, 1967, 4), თონეთი (თეთრიწყაროს
 რ.); საკ. სახელად ქცეული სადაურობის სიტყვა აზრუმე-
 ლა, აზრუმი, იგივე ერზერუმი — ქალაქი თურქეთში.

ათაბაგი (თბ., 9. VI. 1967. 4), ზედა მალლაკი (წყალტუბოს რ.),
 ბანდა (გეგეჭკორის რ.); გამაჰმადიანებულ ქართველთა სამთავ-
 რო საგვარეულო წოდება მესხეთში, ყოფ. ჯაყელები, ცხრვ-
 რობდნენ ახალციხეში 1920 წლამდე; ათაბაგობა მალაღი თა-
 ნამდებობა იყო ფეოდალური საქართველოს სამეფო კარზე.
 „ათაბაგობა სამცხის მმართველთა სამკაულად იქცა“ (ი. ჯა-
 ვახიშვილი); || ათაბეგი (თურქ.-მამა ბატონი), ისტორი-
 ული პირები: ათაბაგი ბაადურ, ათაბაგი ივანე, ბეგა, სარგის,
 ყვარყვარე და სხვა (ქართლ. ცხ. I, 209, 287, 301...).

ათანელიშვილ-ი, ტიბაანი (სიღნაღის რ.); საკ. სახ. ათანელი (ჯა-
 ვახიშვი. ეკ. ისტ. ძეგლ., 36); ათანა+ბლსრთი — ელ;
 ათანაშვილი, საკ. სახ. ათანა, ათანია (ლლ. სახელ).

აიწურაძე (ბორჯომი, 14. II, 1976, 4); საკირე, ტაძრისი (ბორჯო-
 მის რ.); აიწურა — მეტსახელი მალალი და გამხდარი კაცისა.

ალაგარდაშვილ-ი (კომ. 6. III, 1975, 2); ქვეში (ბოლნისის რ.);
 საეარ. სახ. ალაგარდა.

18

- ალადაშვილი-ი**, ჯუგაანი (სიღნაღის რ.); სახ. ალ ა დ ა (ლეონიძე, სახელ); ამავე ძირისაა: ალ ა დ ა უ რ ი.
- ალავერდაშვილი-ი**, ტიბაანი (სიღნაღის რ.); აკ. სახ. ალ ა ვ ე რ დ ა (თურქ. „ალავერდი“—ღმერთმა მოგვცა); არის ქართული სიტყვა: ალ ა ვ ე რ დ ი, იგივეა რაც იონჯა (ქეგლ); მოხსენებულა ისტორიულ საბუთებში (თაყაიშვილ. საქ. სიძვ. I, 111); შდრ. Алабердов, Алавердиев (Баскаков, 250).
- ალანია** ჩხოროწყუს რ., საკ. სახელადქცეული ეთნონიმი ალ ა ნ ი (-ოსი) ალანებს მეგრელები ყარაჩაელებსაც უწოდებენ (Кипшидзе, Грамм. 423).
- ალბუთაშვილი-ი** (თბ., 30. V. 1974. 4); ჩაბანო (თიანეთის რ.); საკ. სახ. ალ ბ უ თ ა.
- ალელიშვილი-ი** (თბ., 12. VI. 1967. 4); ახალქალაქი (ჯავახეთში), ქ. ახალციხე; გვარადქცეული სადაურობის სიტყვა ალ ე ლ ი; ალი სოფელია ხაშურის რაიონში. გადმოცემით წინაპართა გვარი ნოზაძე ყოფილა. ალიდან ჯავახეთში გადასახლებულან. ახალციხელ ალელიშვილებს ადგილობრივი გამოთქმით არდელიანთს უწოდებენ, ამის გამო საფიქრებელია, „მათი წარმომავლობა სოფელ არლიდან (არალი ადიგენის რაიონშია); ალელიშვილი ხიზანა, ალელიშვილი როსტომა, ალელი მანუჩარა. ალელი გაბრიელა (ჯავახიშვილ. ეკონ. ისტ. ძეგლ., 160 258, 260).
- ალუდაური-ი** (მაკალ.; ხევს. 19), ხახმატი (დუშეთის რ.), საკ. სახ. ალ უ დ ა; ალუდა ქეთელაური (ვაჟა).
- ამაზანაშვილი-ი** (თბ., 14. II. 1968. 3); თბილისი, სავარ. სახ. ა მ ა ზ ა ნ ა.
- ამანათიშვილი-ი** (თბ., 16. II. 1973. 4); კოჯორი (გარდაბნის რ.), თბილისი; საკ. სახ. ა მ ა ნ ა თ ი (ლლ. სახელ.); || ა მ ა ნ ა თ ა შ ვ ი ლ ი; ამავე ძირისაა ამანათიძე, ძეგვი (მცხეთის რ.).
- ამაშუკელი-ი** ამაშუკეთი (ორჯონიკიძის რ.); გვარადქცეული სადაურობის სიტყვა; ვაჩე ამაშუკელი. ნინია ამაშუკელი (XIII ს.), (მეტრევე, მასალ. 23, 111).
- ამბარდნაშვილი-ი**, (კომ., 23. VI. 1967. 4); თელავის რ.; || ა მ ბ ა რ დ ნ ი შ ვ ი ლ ი (თბ., 4. V. 1971. IV.); ხელობა—თანამდებობის ტერმინი ამბარდანი (სპარს.), მეამბარდნა ამბრების მმართველი, გამგებელი. „მუჯირი, მნე საამბარდნოსი“ (ნ. ჩუბინ.); შდრ. ა მ ბ ა რ დ ა ნ ი ვ ი.

ამბრიაშვილ-ი, (თბ., 2, III. 1967. 3); ხიდისთავი (გორის რ.); საქ. სახ. ამბრია, ამბრი (ბლ. სახელ.); „ამირანდარეჯანიანის“ პერსონაჟი ამბრი არაბი, ხალხური ეპოსის ერთ-ერთი გმირის სახელი (მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ... 1959, 183—186). შდრ. ამბარისი, სახელი ტაბალთა მეფისა, რომელიც ურარტუს მეფის სარგონ II-ის დროს ცხოვრობდა (IX ს. ძვ. წ. ა.); ამავე ძირისაა ამბრიაძე (თბ., 19. VIII. 1975. 4).

ამბროლაძე (თბ., 5 II. 1968, 4); ვოდოგანი (თერჯოლის რ.); საქ. სახ. ამბროლა. ამავე ძირისაა გვარსახელი ამბროლიანი და დაბის სახელწოდება ამბროლაური.

ამილახვარ-ი, გვარადქცეული თანამდებობის ძველი ტერმინი (არაბ.; „ამირ ახურ“—საჯინიზოს უფროსი). დიდმოხელეთაგანი ფეოდალურ საქართველოში, სამეფო საჯინიზოებისა და აბჯარ-საჭურვლის გამგე და სათანადო მოხელეების უფროსი (ქეგლ); — ამილახორი: „ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“ (ვ. ტყ.); დიდი სათავადო საგვარეულო ქართლში. დამოწმება: ამილახვარი ალექსანდრე, ანდუყაფარ, გივი და სხვ. (ყორდ. ქრონიკ. II, 171, 174, 294, 327...); ისტორიული წყაროები. მილახვართა წინაპარნი ზედგინიძენი იყვნენ; შდრ. მილახვარიანთკარი — (ამილახვარიანთკარი) — სოფელი დუშეთთან (ახლა ქალაქის უბანი).

ამირეჯიბ-ი, დირბი, სალოლაშენი (ქარელის რ.), თბილისი; გვარადქცეული თანამდებობის ტერმინი (არაბ. „ამირ ჰაჯიბ“) ერთ-ერთი მოხელეთაგანი საქართველოს სამეფო კარზე, მანდატურთუხუცესის თანაშემწე, წესრიგის მეთვალყურე პურობისა და დარბაზობის დროს (ქეგლ); „ეჯიბთა უფროსი“ ვახუშტი, ქ. ცხ., IV...22) „...აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი, ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა“ (იქვე, 34). დირბში მცხოვრებთა წინაპრები ქვაბლიძეები ყოფილან, სალოლაშენში მცხოვრებთა კი — ფალავანდიშვილები; დამოწმება: ამირეჯიბი ზაზა, მარიაში და სხვა (ყორდ., ქრონიკა., II, 23, 394—586...); || ამირაჯიბი; ცნობები: XIV ს. პოლოს ქუცნა ამირეჯიბის მოღვაწეობასა და მის მიერ ულუმბის ეკლესიის აგების შესახებ იხ. ამირეჯიბთა გვაროვნობითი სიგელი 1401—1415 წლებისა (ყორდ. ქრონიკ. II, 207, 213); „ამირეჯიბნი არიან ესენიცა ძველადვე ფალავანდიანთა გვარისანი... გარნა ამირაჯიბობა გაუგვარ-

დათ სახელისა გამო, ვინაიდგან ამირეჯიბი ნიშნავს საქმის მომხსენებელსა მეფისასა, ხოლო ესენიცა ახალციხიდანვე მოსულნი ქართლში (ივერია, V—VI, 1884, დაბატება, 17).

ამისულაშვილ-ი, სიღნაღის რ.; ამისულა საქ. სახელად არ გვხვდება. მოსალოდნელი იყო გვქონოდა „ამისულა“, რომელსაც დასაწყისი მ დაეკარგა. თანხმონის დაკარგვას თავიკილურ პოზიციაში ქართული ენა იცნობს: შდრ.: კაცანათი და აკანათი, რიურაჟი და იურაჟი, ნენა და ენა (ქავთ. ქართ. ენ. ისტ., 106).

ამოთაშვილ-ი (კომ. 19. X. 1966.); შრომა (გურჯაანის რ.); სავარ. საქ. სახ. ამოთა.

ამონაშვილ-ი, კალაური (გურჯაანის რ.); საქ. სახ. ამონა; მ. 1, 10. (შდრ.: ამონა) ჯავახ., ეკ. ისტ. ძეგლ., 58.

ამურველაშვილ-ი (კომ. 15. III. 1967. 4); მარაბდა (თეთრიწყაროს რ.); საქ. სახ. ამურველა.

ამყოლაძე (კომ., 1. XI. 1963. 3), წყალაფორეთი (ორჯონიკიძის რ.). სავარ. მეტსახ. ამყოლა.

ანატორელ-ი, ზევსურეთი, შატილი (დუშეთის რ.); გვარადქცეული სადაურობის სიტყვა; ანატორი ისტორიული სოფელი ზევსურეთში.

ანდიაშვილ-ი, ჯავახი, დმანისის რ.; საქ. სახ. ანდია (ანდრია).

ანდრაზაშვილ-ი (თბ., 3. VII. 1967. 11); ვაჭირი (სიღნაღის რ.), შდრ. საქ. სახ. ანდარეზი (დლ. სახელ.).

ანდრონიკაშვილ-ი, თუიო (ახმეტის რ.), ძველი ფეოდალური გვარი კახეთში; „ენდრონიკასშვილი იტყვის ანდრონიკესაგან, რომელი მოვიდა კეისართა გუარისა“ (ვახ., ქ. ცხ., IV, 35, 16).

ანთაძე, ვარძია (ორჯონიკიძის რ.); საქ. სახ. ანთა, ანთაი; ანთაძე ნიკოლოზ (ეორდ. ქრონიკ., II, 226, 504). ანთა ქართველთა წარმართული ღვთაების ანთარის ბოლომოკვეცილი ფორმაა, რომელიც საქ. სახელად ქცეულა (ჯავახიშვ. ქ. ერ. ისტ., 1, 115); „ანთებს ძველად (VI—VII სს.) ეძახდნენ აღმოსავლეთ სლავიანებს. ასე რომ „ანთაძის“ დღევანდელი მიხლოებითი თარგმანი ექნებოდა რუსიძე ან რუსიშვილი, რუსიძე (აქ. შანიძე, მაცნე, II, 191). ...„ანთები იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ამაზე მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქართული

- გვარები, როგორცაა ანთია, ანთიძე, ანთელავა და სხვ.“ (ლიტერ. საქ. 26. 1. 1973); ამავე ძირისაა ანთაიძე, ანთაური, ანთელავა...
- ანჩაბაძე**, სოხუმი და სხვ. ფეოდალური გვარი აფხაზეთში; საქ. სახ. ანჩაბა || ანჩაფა, ანჩაფ (ლლ., სახელ.) ანჩაფაძე, ამჩაბაძე (ანჩა+ბლსრთ., ბა) შდრ., სოფლის სახ. ანჩა, ზედწოდება ანჩელი, ანჩისხატი. ანჩაბაძენი (ქორდ. 11,471): ანჩაბიძე გიორგი აფხაზი (საქ. სიძგ., 11, 72).
- აპრილაშვილ-ი** ჩეკურიანთგორი (თიანეთის რ.); საქ. სახ. აპრილა (აპრილში დაბადების აღსანიშნავად; შდრ. იანვარა, მარტა, მაისა შესაბამის გვარებში), (ი. ჯავახიშვი. ევ. ისტ. ძეგლ. 85).
- არაბაშვილ-ი**, ზესტაფონის რ.; საქ. სახ. არაბა ხევსურეთში (მაკალ. ხევს., 18, 19); არაბ (ლლ., სახელ.); არაბა (ზარზმის ტარის წარწერაში); შდრ. არაბული, არაბიძე.
- არათანაშვილ-ი** (თბ., 16. VIII. 1971. 2); საქ. სახ. არათანა; შდრ.: სოფლის სახ. არათანა (← არათანა).
- არაყიშვილი**, თბილისი; || არაყიშვილი (ი. ჯავახიშვი. ქართ. მუს. ისტ. საქ., 23, 24...: დიმიტრო არაყიშვილი); პროფესია-მოსაქმეობის ტერმინი არაყი (თურქ.) შდრ.: რუს. Аракчеев (Баскаков, 32, 42).
- არახველაშვილ-ი** (თბ., 5. IV, 1967, 4); საქ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა არახველი; არახვეთი სოფელია დუშეთის რაიონში.
- არბოლიშვილ-ი** (თბ., 6. IV. 1968. 1); ერედვი (ცხინვალის რ.), ოსიური (ქარელის რ.); ← არბოელიშვილი, სადაურობის სიტყვა არბოელი; არბო სოფელია გორის რ. (იხ. ი. მაისურაძე, საიდან მოდის ქართული გვარი? კომ., № 189, 17. VIII. 1974).
- არდემანაშვილ-ი** (თბ., 3. 1. 1969. 4); ბოლნისის რ.; საქ. სახ. არდემანა (შდრ.: არდევან); || არდემანიშვილი.
- არდიშვილ-ი**, ვანის რ.; სამტრედიის რ.; საქ. სახ. არდი, მზის ღვთაების სახელი ურარტუს ქვეყანაში. „მზეს ქართულად ოდესღაც „არდი“ უნდა რქმეოდა“ (ი. ჯავახიშვი. ქ. ერ. ისტ., 1,103); შდრ., სიტყვა „არდადეგი“ (—მზის ღვთაების დღე).
- არევაძე** სერბაისი, ვასანი (ორჯონიკიძის რ.); საქ. სახ. არევა; ვახანში მოსახლე არევაძეები იყოფიან სხვადასხვა „ბუნედ“ (მტოებად), მათი სახელებია: ბურგალა ბიჭები, დათუნაშვი-

- ლები, ბეჟანა ბიჭები, მაქრიაშვილები, ჩხიკვები; შდრ. „არევ“ (სომხ. „მზე“).
- ართილაყვა** (კომ., 25. IV. 1961. 3); ჯუმათი (მახარაძის რ.) ადგ. გამოთქმით: ათლაყვა. ყვა ჩერქეზული წარმოშობის ბოლოსართია (ს. ჯანაშია, შრომები, III, 120, 121).
- ართმელაძე**, ლანჩხუთის რ., ხულოს რ.; საქ. სახ. ართმელა — ართუმელა, მელა კნინობითობის გამომხატველი უნდა იყოს; შდრ.: ოქრომელა, გვარში ოქრომელიძე, ჩხერიმელა, (მდ.) და სხვ.: ართუმელაძე ისაკი, მეწედ გურიელისა (ქ. ცხ., IV, 811).
- არობელიძე** (თბ., 3. III. 1964. 3); გურიანთა (მახარაძის რ.).
- არონია** (თბ., 24. VI. 1972. 4); მუჟავა (წალენჯიხის რ.) საქ. სახ. არონ, არონა; შდრ. არონაშვილი, არონათი (შტოგვარი ქ. ახალციხეში).
- აროშიძე**, გურიანთა (მახარაძის რ.), სავარ. საქ. სახ. აროში.
- არსოშვილ-ი** (თბ., 24., III. 1964. 1); დიდი ლილო (გარდაბნის რ.); საქ. სახ. არსო (შემოკლ. არსენა.).
- არულაშვილ-ი** (კომ., 21. III. 1964. 3) ზესტაფონის რ.; საქ. სახ. არულა.
- არღვლიან-ი** (კომ., 1. V. 1966); ზემო სვანეთი, || — არღულიანი, საქ. სახ. არღულ.
- არღუთაშვილ-ი**, „არღუთაშვილი, აწ აზნაური, გარნა მხარგრძელნი არიან“ (ვახ., ქ. ცხ., IV. 33); არღუთაშვილ-მხარგრძელი; არღუთაშვილი, (საქ. სიძვ., 1, 403).
- არღუნაშვილ-ი** (თბ., 18. IX. 1975. 4); ველისციხე (გურჯაანის რ.) არღუნაშვილი გიორგი (საქ. სიძვ. I, 251) შდრ.: არღუნი, მდ., არღუნის ხეობა (ხევსურეთში); საქ. სახ. არღუნ (ლლ. სახელ).
- არჩემაშვილ-ი**, დუშეთის რ. (მაკ. ფშავი, 147); საქ. სახ. არჩემა (ლლ. სახელ.) ამავე ფუძისაა არჩემაძე (თბ., 24. XII. 1963. 4).
- არწივაძე** (თბ., 4. XI. 1963. 4); ფერსათი (მაიაკოვსკის რ.); საქ. სახ. არწივა; || არწივიძე, || არცივაძე (თბ., 20. XII. 1971. 4); შდრ. რუს. Орлов (Никонов, Имя и обш., 193).
- არჭამაძე**, გორისუბანი, ამბროლაურის რ. (ალავ. მასალ.), საქ. სახ. არჭამა.
- არჯევანიძე** (თბ., 5. IV. 1968. 4); ოყურეში (ცაგერის რ.), საქ. სახ. არჯევანი; ამავე ძირისაა არჯევანიშვილი, თელავის რ.
- ასაბაშვილ-ი** (სოფლ. ცხ., 26. VIII. 1967. 4); თბილისი; საქ. სა-

- ხელად ქცეული ტერმინი ასაბია (→ასაბა), მტერზე მიმყოლი, შემწე (საბა); თანამდებობა, -ამხანაგი (ქეგლ.).
- ასათაშვილ-ი** (კომ., 31. III. 1964. 1); თელავის რ. გურჯაანის რ. საჯ. სახ. ასათ (არაბ., ლომი), ასათა (ყორდ., ქრონიკ., II, 267); ასათ (ქ. ცხ., 11, 19), ამავე ძირისა ასათიანი (გაერც.).
- ასიაშვილ-ი**: სეიფოლა ასიაშვილი, ქვემო მარტყოფი, სპარსეთი, ფერეიდანი (ქართ., დიალექტოლ., 704).
- ასისტოშვილ-ი**, ახალსოფელი (ყვარლის რ.); ფონეტიკურად შეცვლილია. წარმომდგარი ჩანს ასისტაფ-ისაგან. სამხედრო თანამდებობის ეს ტერმინი წარმოდგენილია შეკუმშულად: „ასისტის“ (→ასისტის —ასისტის).
- ასლამაშვილ-ი** (თბ., 2. XI. 1963. 3); დმანისის რ.; საჯ. სახ. ასლამაზა (ჯავახიშვილ. ეკ. ისტ. ძეგლ., 136), || ასლამაზოვი.
- ასლანიშვილ-ი** ბაერა (ახალქალაქის რ.) და სხვ. საჯ. სახ. ასლან (სპარს. არსლან—ლომი); საქ. სიძვ. 1, 438).
- ასპანაშვილ-ი** (სოფლ. ცხ., 27. VIII. 1963. 4); რუისპირი (თელავის რ.); საჯ. სახ. ასპანა, ასპან (ქართლ. ცხ., 1, 29, 368), სპარს. ასპანა.
- ასპანიძე** „ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულო სახელი“, ს. ჯანაშია), XII ს-ში ასპანიძენი ტაოს მფლობელნი იყვნენ და ფანასკერტელად იწოდებოდნენ. მათი ერთი შტო XV ს-ში გადმოსახლდა ქართლში და ფანასკერტელ-ციციშვილად იქცა (ნ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, ისტორიული გეოგრაფია, 1, 1960, 95-116).
- აღდგომელაშვილ-ი** (ქართ. დიალექტოლ., 706, მოქმედი). ერტისი (თეარისწყაროს რ.) გორის რ.; საჯ. სახ. აღდგომელა (დავთ., 11, 432); აღდგომადღეს დაბადებულს არქმევდნენ, აღდგომელა ერქვა ქრისტეს საფლავის მოსამსახურე ქართველ ბერს (მეტრევე., მასალები, 34), ამავე ძირისა აღდგომელაძე, ჩონჩხა (ახალქალაქის რ.).
- აღნიაშვილ-ი** (საქ. სიძვ., 1, 439); შილდა (ყვარლის რ.); საჯ. სახ. აღნია (ყორდ. ქრონიკ., II, 206, 3)→აღნია; შდრ. აღანიძე.
- აღსაბაძე** საქ. სიძვ., 1, 278; საჯ. სახ. აღსაბა, ახსაბა; აღვსაბაძე (ყორდ. ქრონიკ., III, 21); აღვსებაძე ქართულში აღდგომას ნიშნავდა.

- აშაძე (თბ., 27. III. 1964, 4), ზემო ალვანი (ახმეტის რ.); სავარ-
საკ. სახ. აშა, შდრ. აშია (ლლ., სახელ.).
- აშკარელ-ი, გვარადქცეული სადაურობის სიტყვა. სოფლის სახ.
აშკარეთი დადასტურებულია ხალხურ ლექსში; „თავფარავნე-
ლი ქაბუკი აშკარეთს ქალსა ყვარობდა“; შდრ.: აშკალა
(სოფ. წალკის რაიონში).
- აცანელიძე (თბ., 17. V. 1971. 1); გოგოლესუბანი (ჩოხატაურის
რ.), გვარადქცეული სადაურობის სიტყვა აცანელი; აცა-
ნა სოფელია ლანჩხუთის რაიონში.
- აწკარუნაშვილ-ი (თბ., 15. I. 1968. 4); ქვემო სობისი (გორის რ.),
მეტსახელი აწკარუნა.
- აჭარაძე (სახ. გან., 24. VI. 1970. 4), შდრ. საკ. სახ. აჯარ: შვე-
ლაშვილი (ქართლ. ცხ., 11. 519). შდრ: სომხ. აჭარიან.
- ახავიტაშვილ-ი (სახ. გან., 5. I. 1966. 3); სავარ. საკ. სახ. ახავიტა
წარმოქმნილ-იტ ბოლოსართოთ (ახავ+იტ-შ; || ახვეტაშვი-
ლ-ი (თბ., 26. IV. 1971. 3).
- ახალაურ-ი (ი. ჯავახ. ეკ. ისტ. ძეგლ., 45); კონდოლი (თელავის
რ.), || ახლაური; ამავე ფუძისაა: ახალსია, ახალაშვი-
ლი (თბ., 21. 11. 1964. 4), ახალაძე (ჩოხატაურის რ.).
- ახალბედაშვილ-ი (თბ., 13, VIII. 1965. 4); ბერშუეთი (გორის რ.)
და სხვ. საკ. სახ. ახალბედა (ლლ., სახელ.); ამ გვარის წი-
ნაპარი, გადმოცემის თანახმად, მესხეთიდან გადმოსახლებუ-
ლა. გვარად მარსურაძე, როგორც ახლად მოსულისათვის, მის-
თვის ახალბედაშვილი უწოდებიათ (ინფორმატორი გიორგი
ზაულტაშვილი, 1970).
- ახალკაც-ი (კომ., 4. XII. 1964. 1), ოსიაური (ქარელის რ.), ბორ-
ჯომის რ. და სხვ. (გავრც.). გადმოცემით ბატონისაგან გამო-
ქცეული და სხვა სოფელში შეხიზნული ყმა, რაკი საკუთარ
გვარს ვერ ამეღავენებდა, ახალკაცს ირქმევდა. შდრ. მეგრ.
საკ. სახ. ახალკოჩი (ლლ., სახელ.). შდრ. რუს. Новиков.
ანალოგიურია: ახალკაციშვილი, ახალშოსულ-
შვილი (კომ., 12. XI. 1967. 5), კონდოლი (თელავის რ.);
ახალშენიშვილი.
- ახატნელ-ი, გვარადქცეული სადაურობის სიტყვა, ახატანი სოფე-
ლია ახმეტის რაიონში.
- ახვლედიან-ი, ალვი, ცაგერა (ცაგერს რ.), დერჩი (წყალტუბოს რ.)
და სხვ. (გავრც.). სუანური წარმოშობისაა. სავარაუდოა სა-
ფუძვლად ტლოს საკ. სახ. ახვილდ (=ახვილდ), სადაც

ი ლ დ ს ვ ა ნ უ რ ი კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ი ს მ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ფ ო რ მ ა ნ ტ ი ა და
ერთვის საკუთარ სახელს ახ ა ე -ს (შდრ. ა ხ ა ე ი ტ ა შ ვ ი ლ ი
ა ხ ო შ ვ ი ლ ი, ა ხ ა ბ ა ძ ე ...) ← ა ხ ვ ი ლ დ ი ა ნ ი.

ა ხ მ ე ტ ე ლ - ი, გ ვ ა რ ა დ ქ ე უ ლ ი სა და უ რ ო ბ ი ს ს ი ტ ყ ვ ა; ა ნ ა ვ ა (ს ი ლ ნ ა -
ლ ი ს რ.), 'დაბა ახმეტა (რაიონის ცენტრი).

ა ხ ო შ ვ ი ლ - ი (კ ო მ., 18. VII. 1964. 1); საკ. სახ. ა ხ ო; ა მ ა ე ე სა ხ ე ლ ს
ა ტ ა რ ე ბ ს ს ო ფ ე ლ ი დ მ ა ნ ს ი ს რ ა ი ო ნ შ ი.

ა ხ რ ა ხ ა ძ ე (კ ო მ., 16. VII. 1964. 3); ქ ს უ ს ი (ც ხ ი ნ ვ ა ლ ი ს რ.), მ ე ტ -
ს ა ხ ე ლ ი ა ხ რ ა ხ ა.

ა ხ ს ი ა შ ვ ი ლ - ი, ს ო ფ. ჯ ო რ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი (თ ე თ რ ი წყ ა რ ო ს რ.); საკ. სახ.
ა ხ ს ი (ე ო რ დ., ქ რ ო ნ ი კ., 1. 136). ← ა ღ ა ს ი ა, შ დ რ. ა ღ ა ს ი ა -
შ ვ ი ლ ი (ქ. ც ხ ი ნ ვ ა ლ ი),

ა ხ უ ა შ ვ ი ლ - ი (თ ბ., 4. X. 1971. 4); მ უ ხ ა თ ი, კ ო დ ა (თ ე თ რ ი წყ ა რ ო ს
რ.), საკ. სახ. ა ხ უ ა (← ა ხ ო ა); შ დ რ. ა ხ ო შ ვ ი ლ ი, ა ხ ო -
ბ ა ძ ე.

ბ

ბ ა ბ ა კ ი შ ვ ი ლ - ი (კ ო მ., 16. XIII. 1967, 2); წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი საკ. სახ.
ბ ა ბ ა კ ი (ბ ა ბ ა + ბ ლ ს ა რ თ ი — ა კ.).

ბ ა ბ ა ლ ა შ ვ ი ლ - ი (თ ბ., 20. 1. 1964. 1); ა ნ ა ვ ა, ვ ა ქ ი რ ი (ს ი ლ ნ ა ლ ი ს რ.),
ს ა კ. სახ. ბ ა ბ ა ლ ა (ბ ა ბ ა + ბ ლ ს ა რ თ ი — ა ლ), შ დ რ.: ბ ა ბ ა ნ ა,
ბ ა ბ ი კ ა, ბ ა ბ ი ლ ა ბ ა ბ ა კ ი, ბ ა ბ ი ლ ო, ბ ა ბ ლ ი ა,
ბ ა ბ ლ უ ა.

ბ ა ბ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ - ი (თ ბ., 8. 14. 1970. 4); წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი საკ. სახ. ბ ა -
ბ ა ლ ი კ ა (ბ ა ბ - ა ლ - ი კ - ა).

ბ ა ბ ა შ ვ ი ლ - ი (ს ო ფ ლ. ც ხ., 5. 11. 1969. 1); ა ტ ო ც ი (ქ ა რ ე ლ ს რ.);
ძ ი რ ე უ ლ ი საკ. სახ. ბ ა ბ ა.

ბ ა ბ ი ლ ა შ ვ ი ლ - ი (ე ო რ დ., ქ რ ო ნ ი კ., 1. 68); (ა ხ მ ე ტ ს რ.); საკ. სახ.
ბ ა ბ ი ლ ა (ღ ლ. სა ხ ე ლ.).

ბ ა ბ ი ლ ვ ა ნ - ი (ინგორ., ს ვ ა ნ. სა ის ტ. ძ ე გ ლ. II); საკ. სახ. ბ ა ბ ი -
ლ ა + ს ა ვ ე ა რ ო ნ ო დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა — ვ ა ნ (← ო ვ ა ნ).

ბ ა ბ ი ლ ო ძ ე (თ ბ., 27. III. 1968. 3); საკ. სახ. ბ ა ბ ი ლ ო. შ დ რ. ბ ა -
ბ ი ლ ა (ქ ა რ თ ლ. ც ხ., 1, 227).

ბ ა ბ ლ ი ძ ე (ს ა ხ. ვ ა ნ., 25. X. 167. 4); ს ხ ლ ი თ ი, სა ბ ე (ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს
რ.), საკ. სახ. ბ ა ბ ლ ი, შ დ რ. ბ ა ბ ი ლ ი (← ბ ა ბ ი ლ ი ძ ე).

ბ ა ბ ლ უ ა ნ - ი (თ ბ., 20. 1965. 4); ჩ ო ლ ლ უ რ ი (ლ ე ნ ტ ე ბ ი ს რ.), საკ. სახ.
ბ ა ბ ლ ი (← ბ ა ბ ი ლ ი).

- ბაბრუშიძე (კომ., 12. IX. 1965. 1); ჩარნალი (ხელვაჩაურის რ.);
 ბაბულაძე (კომ., 7. VI. 1969. 1); ბაბულიძე, ბაბულაძე; || ხუც-
 უბანი (ქობულეთის რ.)
 ბაბუნაშვილ-ი, მუხიანი (წყალტუბოს რ.); საქ. სახ. ბ ა ბ უ ნ ა (ბა-
 ბ ა + ბ ლ ს რ თ ი. უ ნ - ა).
 ბაბურაულ-ი (თ. ოჩიაური, ხევსურეთში, თბ., 1964. 43); დუშეთის
 რ., საქ. სახ. ბ ა ბ უ რ ა (ბაბა+ბლსრთი ურ-ა). შდრ.: ბ ა ბ უ-
 რ ი; გვხვდება საქ. სახელადაც.
 ბაბუნაძე (თბ., 25. IX. 1968. 4); თბილისი, სავარ. საქ. სახ. ბ ა ბ უ-
 ხ ა (ბაბა+ბლსრთ. უხ-ა).
 ბაგრატიონ-ი, თბილისი, ქუთაისი და სხვ. საქართველოს მეფეთა
 დინასტიური გვარსახელი. წარმოშობით ტაო-კლარჯეთიდან
 (IX ს.); იყო ბაგრატიონთა სამი შტო (იხ. პ. ინგ. თხზ, 1.
 112—117); საქ. სახ. ბ ა გ რ ა ტ ი + ბ ლ ს რ თ - ი ო ნ . ბ ა გ რ ა-
 ტ ი ა ნ ი, ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი, ბ ა გ რ ა ტ ო ნ ი ა ნ ი, ბ ა გ-
 რ ა ტ უ ნ ი ა ნ ი (ქართლ. ცხ., 1), თ. ყორდ. ქრონიკ., 11,
 458; სს. მამულია, ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და
 ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა (მნათ., № 2, 1971,
 179—191).
 ბაგრატიონ-მუხრანელ-ი (თბ., 9. III. 1967. 3), ბაგრატიონთა
 ერთ-ერთი შტო; მუხრანის მფლობელნი (მუხრან-ბატონნი);
 მუხრანელი შტოს გამოსარჩევი დანართია, რუსულ წყაროებ-
 ში: Багратион-Мухранский.
 ბადაგაძე (კომ., 5. XI. 1963. 4); გრემისხევი (დუშეთის რ.), სავარ.
 საქ. სახ. ბ ა დ ა გ ა. ზგდი მწმუნ. სიტყვისაგან ბ ა დ ა გ ი
 „შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი“ (ქეგლ).
 ბადალაშვილ-ი (თბ., 16. X. 1967. IV); დიდი თონეთი, (თეფრი-
 წყაროს რ.); საქ. სახ. ბ ა დ ა ლ ა (ბადა+ალ), შდრ.: ბ ა დ ა-
 შ ვ ი ლ ი, ბ ა დ უ რ ა შ ვ ი ლ ი
 ბადაშვილ-ი (თბ., 27. III. 1968. 4); გორის რ. საქ. სახ. ბ ა დ ა.
 ბადრახაშვილ-ი, ჩაბანო (თიანეთის რ.), სავარ. საქ. სახ. ბ ა დ რ ა-
 ხ ა (ბად-ირ-ა-ხ-ა-); || ბ ა დ რ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.
 ბადრიაშვილ-ი (თბ., 2. III. 1967. 4); თბილისი, საქ. სახ. ბ ა დ-
 რ ი ა, ბ ა დ რ ი; შდრ. ბადრიშვილი, შუაფხო (დუშეთის რ.);
 ამავე ძირისაა ბ ა დ რ ი ძ ე.
 ბადურაშვილ-ი (ყორდ. ქრონ., III, 185); გურჯაანის, თიანეთის
 რ-ბი; საქ. სახ. ბ ა დ უ რ ა (დავთ., 11. 139), იგივე ბ ა დ უ-
 რ ი (ქართლ. ცხ. 11, 268).

- ბაზაზაშვილი-ი** (თბ., 9. 111. 1966. 4), თბილისი; ფუძე ბაზაზა, ზელობის ტერმინისაგან — ბაზაზი: „ფართოლელის ვაჭარი“ (ქეგლ).
- ბაზალი-ი** (კომ., 21. VIII. 1968. 4); თბილისი, გვარადქცეული საჯ. სახელი, შდრ: ტბისა და მასთან მდებარე სოფლის სახელი ბაზალეთი.
- ბაზალიშვილი-ი** (თბ., 10. 1. 1968. IV), || ბაზლიშვილი.
- ბაზაძე** (თბ., 28. V. 1964; ჟორდ., ქრონ., 11, 338); მახათაური (სახეების რ.); სავარ. საჯ. სახ. ბაზა (შემოკლ. ბაზალი?).
- ბაზიარ-ი** (თბ., 11. IV. 1968. 4); ციხესულორი (ვანის რ.); გვარადქცეული თანამდებობა-საქმიანობის ტერმინი ბაზიერი (სპარს. ბაზარ) „ქორ-შეგარდენტა სანადიროდ დამგეშავ-მწვრთნელი და ყურის მგდებელი“ (ქეგლ); „გამსაჭურდა ბაზიერი“ (ჯავახიშვილ. ეკონ. ისტ. ძეგლ., 11,17); ამავე ძირისაა: ბაზლიძე, ქვ. ჭალა (კასპის რ.).
- ბათიაშვილი-ი** (თბ., 2. XII. 1963. 3); თბილისი, საჯ. სახ. ბათია (მაკ., ხევს., 192).
- ბათრაძე** (სახ. გან., 29. XI. 1967, 2); ← ბათირაძე; შდრ.; საჯ. სახ. ბათირი (ლლ. სახელ).
- ბათხაძე** (კომ., 19. V. 1966); ჩორჯო (ამბროლაურის რ.). ქვემო ჭალა (კასპის რ.); სავარ. საჯ. სახ. ბათხა.
- ბაიდარაშვილი-ი**, ჩხიკვათა (თეთრიწყაროს რ.), სავარ. საჯ. სახ. ბაიდარა.
- ბაიდაური-ი** (თბ., 8. VIII. 1975. 4), წითელაურთა (ღუშეთის რ.) (ფშავი), საჯ. სახ. ბაიდა, შდრ. ბაიდო (ქართლ. ცხ. II, 293); ამავე ძირისაა ბაიდოშვილი-ი (თბ., 13. III. 1969. 1); მალარო (სიღნაღის რ.).
- ბაითაში-ი** (კომ., 18. XI. 1976. 4); სტამბოლი; ჭანური აგებული-ბისაა: ბაიდაში; საჯ. სახ. ბაიდა+საგვარეულო დაბოლოება-ში; შდრ. ბაიდაური. ბაიდოშვილი; „თურქეთის ცეკვის ეროვნული ანსამბლის ხელმძღვანელი ქემალ ბაითაში“ (იქვე).
- ბაირახტარ-ი** (თბ., 25. 1. 1969. 4), ანაგა (სიღნაღის რ.), გვარად-ქცეული თანამდებობის ტერმინი ბაირალდარი, სპარს. მედროშე (ბაირალის დამჭერი, წინამძღოლი).
- ბაიხოძე** (თბ., 12. X. 1970. 4); ზემო ალვანი (ახმეტის რ.); სავარ. სახ. ბაიხო.
- ბაკაშვილი-ი** (თბ. 14. VI. 1967. 4), წნორი, (სიღნაღის რ.), საჯ. სახ.

ბაკა (ბაკაჟი; შდრ. ოსური ბაკაევი, რუს Бакаев (Баскаков, 176).

ბაკურიან-ი: გრიგოლ ბაკურიანი, სახელმწიფო და სამონასტრო მშენებლობის ცნობილი მოღვაწე ბულგარეთში. პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი (XI ს.) შემორჩენილია ტოპონიმი: დაბა ბაკურიანი ბორჯომის რაიონში. იხ. ა. შანიძე ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971.

ბალამწარაშვილ-ი (თბ., 10. I. 1968. 3); მეჯვრისხევი (გორის რ.). მეტსახელა ბალამწარა. ზგდ მნიშვნ. ტყის ბალი (ქველ)-ბალანივაძე (ლიტ. გაზ., 20. XII. 1963. 3), ბანოჯა (წყალტუბოს რ.).

ბალახაშვილ-ი, უდე (ადიგენის რ.), თბილისი, კასპის რ. და სხვ.; მეტსახ. ბალახა, მოხსენიებულია XIII საუკუნისად მიჩნეულ სიგელში (ქორდ., ისტ. საბ. შიომღვ. მონასტრისა, 47).

ბალიაურ-ი (შაკალ, ხევსურეთი, 19); ახიელი, არხოტი (ღუშეთის რ.); საკ სახ. ბალია+საგვაროვნო დაბოლოება-ურ.

ბალიაშვილ-ი (ქორდ. ქრონიკ, III, 414, 415); მესხეთი, კახეთი, ფშავი და სხვ. (გავრც.).

ბანანაშვილ-ი (კომ., 8. III. 1967. IV.); ვაჭირა (სიღნაღის რ.); საკ. სახ. ბანანა.

ბანეთიშვილ-ი (თბ., 12. XII. 1964. 4); მარტყოფი (გარდაბნის რ.), სავარ. საკ. სახ. ბანეთი.

ბაყუნაშვილ-ი (თბ., 10. XI. 1964. 3); ქობულეთის რ., გურია, საკ. სახ. ბაყუნაი (ლლ., სახელ).

ბარათაშვილ-ი, წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო მკველ საქართველოში, ქვემო ქართლის მფლობელნი. „ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გვარნი ესენი არიან: ბარათაშვილი, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბნისა საერისთაონი ტფილისის სამხრით ვიდრე ლორეფარვანამდე“... (ვახუშტი, ქ. ცხ., IV. 33); მომდინარეობს XVI ს-დან. საკ. სახელისაგან ბარათა. ისტორიულ წყაროებში ცნობილია ბარათა ქაჩიბაძე (||ქაჩიფაძე). რომლის შვილიშვილმა ქავთარმა სათავე დაუდო ბარათაშვილობას (1523 წ.). მისგან წარმოქმნილი შტოები: აბაშიშვილი, გერმანოზიშვილი, გოსტაშაბიშვილი, ყაფლანიშვილი, ორბელიანი; ბარათაშვილთა სამფლობელო ტერიტორიას

საბარათიანო ეწოდებოდა. თვით გვარსახელი კი ზოგჯერ მო-
იხსენიებოდა როგორც ბარათიანი (იხ. ქართლ. ცხ., 11, 343);
ბარათიანი (იხ. ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, გვ. III—
IV, 1939); (ეორდ. ქრონიკ. 11, 12;); ბარათაშვილთა გაყრილო-
ბის სიგელი, იქვე, 349—354; ბარათიანთ გაყრის წიგნი, გა-
მოცემული ს. კაკაბაძის მიერ, საისტ. მოამბე, 1, 1924; ს. ჯა-
ნაშია, ბარათაშვილის გენეალოგიისათვის, შრომები, II,
464—481).

ბარათელია, აბელათი (გეგეჭკორის რ.), საჯ. სახ. ბარათელი
ბარათა+ბლსრთი-ელ) გადმოცემით, ამ გვარის წინაპრები
აფხაზეთიდან გადმოსულან სამეგრელოში.

ბარამიძე, იანეთი (ჩოხატაურის რ.), ნიგოთი, ჯუნჯუათი (ლან-
ჩხუთის რ.) და სხვ. (გავრც.); საჯ. სახ. ბარამი (ეორდ.
ქრონიკ. III, 9, 41).

ბარბაქაძე, წმანი (საჩხერის რ.), ორჯონიკიძის რ., ხაშურის რ. და
სხვ. (გავრც.); სოფ. მაქათუბანში მცხოვრებთა ერთ-ერთ
შტოს ყველი ბარბაქაძეებს უწოდებენ.

ბარდაველიძე (თბ., 17. IV. 1968. 4); თბილისი, ბარდუბანი (თერ-
ჯოლის რ.). საფიქრებელია, წარმომდგარი იყოს სადაღრობის
ალმნიშვნელი სიტყვისაგან — ბარდაველი. ბარდავეი ქა-
ლაქი იყო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, „რეზი-
დენცია რან-მოვაკისის მშართველისა“ (ქართლ. ცხ., I, 217).
თვით სოფლის სახელს ბარდუბანს შესაძლებელია კავშირი
ქონდეს გვარსახელთან, იყოს შემოკლებული ფორმა „ბარ-
დათ უბანისა“. შტო-გვარების მეტსახელებია (საგინებელნი)
ტილიკვერა, გრაწა, სეირა, ხოკერა (-მელოტი).

ბარდაძე (თბ., 12. II. 1968. 3), საჯ. სახ. ბარდა, შდრ. ბარ-
დანა (ლლ., სახელ.). ამავე ძირისაა ბარდანია, ბარ-
დანაშვილი (ეორდ., ქრონ., 11, 346); სპარსეთის მეფე
დარიოსის ლურსმნულ წარწერაში მოხსენიებულია სახელად
ბარდია (გ. მელიქიშვილი, როგორ აღაპარაკდნენ ლურს-
მნული წარწერები, 119).

ბართია, ზუგდიდის რ., გეგეჭკორის რ., საჯ. სახ. ბართა, (საქ.
სიძე, 11, 63), — ბართა, იხ. ბარათაშვილი || ბართია.

ბარკალაშვილი-ი, ქ. ახალციხე; საჯარ. საჯ. სახ. ბარკალა ||
ბარკალაშვილი: ბარკალაშვილები უბანია ცხმორისში
(ქედის რ.) ამ გვარის მოსახლე იქ არ გვხვდება; ამავე ძირი-

საა.; ბარკალია (ქორდ., ქრონ., 11, 88; თბ. 3. IV. 1970).
შდრ. თურქული წარმოშობის რუს. Баркалов (Баска-
КОВ, 198).

ბარლიან-ი (ჩარკვ. სვანეთი 240), ზემო სვანეთი, სავარ. საკ. სახ.
ბარლ. (←ბარალ).

ბარნაველ-ი, (თბ., 27. XI. 1963. 2; ქორდ. ქრონ. II, 880). გვა-
რადქცეული სადაურბის სიტყვა, სავარ. ტოპონიმი ბარ-
ნავი+ბლსრთი-ელ; აქედან არის მიღებული ბარნოვი.

ბარსონაძე (თბ., 27. XII. 1966. 4); || ბარსონიძე (თბ., 4.
11. 1972. 4); ზიშვი (ამბროლაურის რ.); შდრ. საკ. სახ.
ბარსუ, აგრეთვე ბერსუმა: ბერსუმა პიტიახში (თ. ყა-
უხჩიშვილი, ბერსუმა პიტიახშის წარწერისათვის, თსუ შრო-
მები, XXX—B).

ბარძიმაძე (კომ., 12. V. 1964. 4); ბარალეთი (ახალქალაქის რ.); საკ.
სახ. ბარძიმა.

- მუჩაიძე (თბ., 20. IV. 1967. 4), საჯ. სახ. მუჩა, ამავე ძირისაა: მუჩიაური, მუჩიაშვილი.
- მუხათგვერდელ-ი (ჯვტ. მასალ.), მცხეთა; გვარადქცეული სადაურობის სიტყვა, მუხათგვერდი სოფელია მცხეთის რაიონში.
- მუხაშავერია (სოფ. ცხ., 20. XI, 1963. 3), ქ. მახარაძე, ლანჩხუთის რ.
- მუხიაშვილ-ი (კომ., 15. I. 1972. 4), ნორიო (გარდაბნის რ.), (ყაზბეგის რ.); საჯ. სახ. მუხია, ამავე ძირისაა: მუხაძე, მუხიგულაშვილი.
- მუხიგულაშვილ-ი (კომ., 18. VI. 1965. 4), თელათგორი (კასპის რ.); ადრინდელი გადმოსული არიან სოფ. მუსხიდან (ახალციხის რ.). გვარი ეუყუნაძე. მუსხელ ეუყუნაძეებსა და თელათგორელ მუხიგულაშვილებს შორის დღემდე გრძელდება ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა, გვხვდება. შემოკლებითაც:

- შუხიგული (თბ., 22. II. 1971, 4), იხ. სტატია „ვისი გორისა ხარ“ (კომ., 11. II. 1979).
- შუხრანბატონ-ი, მსხვილი ფეოდალური გვარი ძველ საქართველოში, ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტო; საუფლისწულო მამულეების მფლობელობის გამო ეწოდათ. სამუხრანბატონო ქართლის სამთავრო იყო, რომელიც მე-16 ს-ში შეიქმნა (მუხრანბატონთა გვაროვნობითი შტო, იხ. ჟორდ, ქრონიკ., II, 527).
- შუხულაშვილ-ი (თბ., 22. X. 1965, 4), გურჯაანის რ.; საქ. საზ. მუხულა; || მუხულიშვილი;
- შუჯირ-ი გურიანთა (მახარაძის რ.), აღოსუბანი (თერჯოლის რ.); გვარადქცეული თანამდებობის სიტყვა, მუჯირი „ხუარბლის მნე“ (საბა), ამავე ძირისაა: მუჯირშვილი (გომარეთი, დმანისის რ.),
- შღებრიშვილ-ი (კომ., 3. XII. 1963, 2), რუისი (ქარელის რ.), მეჯვრისხევი, (გორის რ.) და სხვ. (გავრც.); ხელობა-მოსაქმეობის სიტყვა შღებარი, „საღებავის მცოდინარე ოსტატი“ (საბა).
- შღვდელაძე (თბ., 11. XI. 1967, 4); საქ. სახელადქცეული სასულიერო თანამდებობის ტერმინი. მამაკაცის სახ. შღვდელი დადასტურებულია ფშავში (მაკალ. ფშავი, 148), ამავე ძირისაა: შღვდელიაშვილი, შღვდელიშვილი.
- შშვენერაძე (თბ., 30. VIII. 1968, 4), შორაპანი (ზესტაფონის რ.); ქალის საქ. სახ. შშვენერა, შშვენერი (დღ. სახ.).
- შშვილობაძე (თბ., 5. VII. 1965, 4), ლანჩხუთის რ.; საქ. სახ. შშვილობა, ამავე ძირისაა: შშვილდაძე (თბ., 30. VI. 1972, 4), შღრ. საქ. სახ. შშვიდაა (ბერძენიშვ. საქ. ისტ. საქ. III, 206.).
- შშვილდაძე (კომ., 22. III. 1968, 2), მაიაკოვსკის რ.; შშვილდა, შშვილის მკეთებლის მეტსახელი უნდა ყოფილიყო. ანალოგიურია: კოვზაძე (კოვზის მკეთებელი), საცერაძე (საცრისა), საჩეჩელაშვილი (საჩეჩელისა) და ა. შ. (იხ. ი. მაისურაძე). ონომასტიკის სამყაროში, მნათობი, 1978, 1).
- შჩითავიშვილ-ი (თბ., 13. VII. 1968, 4), ხელობა-მოსაქმეობის სიტყვა შჩითავი (ქსოვილის მომჩითავი, „ვინც ჩითავს“, ქეგლ); || ჩითავიშვილი.
- მცხეთელიშვილ-ი (თბ., 3. X. 1970, 4), სადაურობის სიტყვა მცხეთელი.

- მცხვეთარიძე** (თბ., 6. II. 1964. 4); შდრ. მცხვეთაძე, ცხვე-
დაძე; ცხვედიანი, მცხეთაძე.
- მძევაშვილი-ი** (თბ., 4. II. 1966. 4), დილომი (გარდაბნის რ.).
- მძინარიშვილი-ი** (თბ., 13. VII. 1968. 4), დიცი, (გორის რ.); მეტ-
სახ. მძინარა, || მძინარაშვილი.
- მწარიაშვილი-ი** (თბ., 25. V. 1966. 4), ვაზისუბანი (გურჯაანის რ.),
ყინწვისი (ქარელის რ.); საჯ. სახ. მწარია (დღ. სახელ.).
- მწერლიშვილი-ი** (ავტ. მასალ.), კახეთი, ხელობა-საქმიანობის სი-
ტყვა მწერალი. წიგნების გადაწერა ძველ საქართველო-
ში საგანგებო პროფესიად ითვლებოდა. წიგნის გადამწერს
მწერალი ეწოდებოდა (ჯავახიშვი. ქართ. პალეოგრაფიკა, 1949. 47—
60; მზია სურგულაძე, „მწერლები“ ძველ საქართველოში,
მატნე, ისტ. არქეოლ. სერია, 3, 1972. 113—129).
- მწითლავიშვილი-ი** (ავტ. მასალა.), ნაფარეული (თელავის რ.); -ხე-
ლობა-საქმიანობის სიტყვა მწითლავი (წითლად შემღებ-
ვი).
- მწყერაშვილი-ი** გურჯაანის რ. მეტსახ. მწყერა, ამავე ძირისაა:
მწყერაძე.
- მჭედლიშვილი-ი** (თბ., 1. VIII. 1967. 2), ქართლი, კახეთი, მესხეთი
და სხვ. (გაერც.); ამავე ძირისაა: მჭედლიძე, მჭედლი-
ანი, მჭედლური; შდრ. რუს. Кузнецов (Никонов, Имя
и отнш. 191).
- მხარგრძელი** (თბ., 3. IV. 1968. 2), ველისციხე (გურჯაანის რ.).
- მხატვარი-ი** (კომ., 4. 1. 1968. 2), ექაღია (მახარაძის რ.); გვარად-
ქცეული პროფესიის სახელი, ამავე ძირისაა მხატვრი-
შვილი.
- მხეიძე**, ერთ-ერთი უძველესი ფეოდალური საგვარეულო იმერეთ-
სა და სამეგრელოში; წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება.
პირველად არგვეთის მფლობელნი ყოფილან, შემდეგ თრია-
ლეთსა და ალგეთის ხეობის ნაწილსაც დაჰპატრონებიან. ბა-
ლვაში, ლიპარტიანი და მხეიძე (—მხეციძე) საერთო წარმო-
მავლობისა ჩანან (დაწვრილებით იხ. ო. სოსელია, ნარკვევები,
ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პო-
ლიტიკური ისტორიიდან) ძველ ძეგლებში მოიხსენიება მჭე-
ციძედ (ჟორდ: ქრონიკ. II, 338; აკ. შანიძე, ქართ. გრამ. საფ.
110), ამავე ძირისაა: მხეცაძე, ხეცია, ფხეიძე.

- ნაბადაშვილ-ი**, დეისი (ორჯონიკიძის რ.); გადმოცემით ამ გვარეულობის წინაპრები ნაბდის მთელავნი ყოფილან.
- ნაბახტეველ-ი** (თბ., 19. IV. 1968. 3), ნიაბი (კასპის რ.); გვარად-ქცეული სადაურობის სიტყვა; ნ ა ბ ა ხ ტ ე ვ ე ი სოფელია ხაშურის რაიონში.
- ნაბიაშვილ-ი** (თბ., 12. II. 1968. 1), საკ. სახ. ნ ა ბ ი ა (ლლ. სახელ.).
- ნაბიჭვიშვილ-ი** (ავტ. მასალ.), დამამცირ. მეტსახ. ნ ა ბ ი ჭ ვ ი ა რ ი.
- ნაგლაძე** (თბ., 19. XII. 1968. 4), გალავანი (მცხეთის რ.), სავარ. საკ. სახ. ნ ა გ ლ ა (—ნაგელა); || ნ ა გ ლ ი ძ ე; ამავე ძირისაა ნ ა გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.
- ნადარეიშვილ-ი** (თბ., 27. XI. 1968. 3), ონტოფო (აბაშის რ.) —ნ ა დ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი—ნ ო დ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი (ა. შანიძე), მეგრული გამოთქმით: ნადრეს ქუა.
- ნადაშვილ-ი** (თბ., 17. IV. 1968. 2), ვაჭირი (სიღნაღის რ.), საკ. სახ. ნ ა დ ა, შდრ. ნ ა დ ი (ლლ. სახელ.); ამავე ძირისაა: ნ ა დ ი ძ ე, ნ ა დ ი კ ა შ ვ ი ლ ი. შდრ. ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე (ნადიბა: ნადი+ბლსრთი -ბა).
- ნავაძე** (ავტ. მასალა), საკ. სახ. ნ ა ვ ა (ლლ. სახელ).
- ნავგურაიძე** (კომ., 5. I. 1971. 4), ალუანა (ახმეტის რ.); || ნ ა ვ - ი უ რ ი ძ ე.
- ნავდარაშვილ-ი** (თბ., 31. V. 1972. 4), საკ. სახ. ნ ა ვ დ ა რ ა: ნავდარიანთქარი ამ გვარით დასახლებული სოფელია მცხეთის რაიონში.
- ნავერიან-ი** (კომ., 3. IX. 1967. 3), სვანეთი (მესტიის რ.); საკ. სახ. ნ ა ვ ე რ ი ა ნ ი (ლლ. სახელ.).
- ნავროზაშვილ-ი** (კომ., 15. II. 1968. 2), ერთაწმინდა (კასპის რ.), ჩაბანო (თიანეთის რ.); საკ. სახ. ნ ა ვ რ ო ზ ა (მაკალ. ფშავი 11), || ნ ა რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი.
- ნათაძე** (ლიტ. საქ., 13. XI. 2), ქართლი, იმერეთი და სხვ. (გაგრც.), სავარ. საკ. სახ. ნ ა თ ა; ამავე ძირისაა ნ ა თ უ რ ი, ნ ა თ ი - შ ვ ი ლ ი, ნ ა თ ი ძ ე.
- ნათენაძე** (კომ., 18. X. 1967. 2), თბილისი, ვოგაშენი (ახალქალაქის რ.); შდრ. საკ. სახ. ნ ა თ ა ნ ი.
- ნაიბიშვილ-ი** (კომ., 6. X. 1967. 4), დუშეთის რ.; თანამდებობის ტერმინი ნ ა ი ბ ი (არაბ., მოადგილე, შემცველი), რომელიც საკ. სახელადაც გვევლინება (ლლ. სახელ.).

ნაკაიძე (სახ. გან., 29. XI. 1967. 2), ნატანები (მახარაძის რ.); ნაკაიძეები ამავე გვარეულობით დასახლებული სოფელია ქობულეთის რაიონში; სავარ. საკ. სახ. ნაკა; ამავე ძირისაა ნაკანი (სვანეთში).

ნაკაშიძე (თბ., 17. V. 1966. 2), გურია, აჭარა; ფუძე ნაკაში; ნაკა+ჭანური ნათეს, ბრ. ნიშანი შ, იშ რომელიც გვარების საწარმოებლად არის გამოყენებული: ვანლიში, ბეჭირიში, ციტიში, ტულუში, ჯაში და მისთ.; ამავე ძირისაა: ნაკაშია. ნაკაშაშვილი.

ნაკუდაძე, ქვემო ალვანი (ახმეტის რ.); საკ. სახ. ნაკუდა—ნაბოლარა შვილის მეტსახელი; ამავე ძირისაა: ნაკუდაური, ნაკუდაშვილი.

ნალბანდიშვილი-ი, მესხეთი და სხვ.; ხელობა-საქმიანობის სიტყვა ნალბანდი (ნალის მკერელი, სპარს.), შდრ. სომხ. ნალბანდიან.

ნალეკრიშვილი-ი, კახეთი, ფუძე ნალეკარი (=ლეკად ნამყოფი. ან ლეკეთიდან დაბრუნებული).

ნამგალაძე (კომ., 7. II. 1964. 2), აბანოეთი (ამბროლაურის რ.); საკ. სახ. ნამგალა; ამავე ძირისაა: ნამგალაური, ნამგალაშვილი (შესაძლებელია ნამგალთა მკეთებელი ხელოსანისათვის შერქმეული გვარიც იყოს). შდრ. ანალოგიური გვარები: კოვზაძე, ტომარაძე, ნაბადაშვილი, საჩეჩელაშვილი...

ნამიჩიშვილი-ი (კომ., I. IV. 1969. 2), || ნამიჭეიშვილი; ვანის რ.; ნაბიჭევიშვილი, ფუძე ნაბიჭევი (=ნაბიჭვარი).

ნამკეაშვილი-ი, მეტსახელი ნამკეუკა; ნამკეკო ზგდი მნიშვნ. ნამცეცი (ქეგლ).

ნამორაძე, ზოიანეთის რ.; სავარ. საკ. სახ. ნამორა, შესაძლოა წარმომდგარი იყოს ცხოველის სახელისაგან—ნამორი „კლდის თხა“ (საბა), ქურციცი (ქეგლ), || ნამურაძე (კომ., 28. VI. 1965. 3).

ნამურაძე (თბ., 12. XII. 1969. 4).

ნამჩვაძე, იგივე ნამჩვავაძე (თბ., 21. VI. 1968. 4), რუსეთში გრუზინოვად წოდებული: „ვევრაფ გრუზინოვი წარმოშობით ქართველი იყო, მისი პაპა რომან გრუზინოვი აზნაურთა წრიდან იყო გამოსული, გვარად ნამჩვაძე, იგი საქართველოს ბედ-უკუღმართობის უამს გადასახლდა რუსეთში და „ჩერკოსკის“

ვოსიკოვოი კრუგმა“ კაზაკად მიიღო, რუსმა საბჭოთა მწე-
რალმა ბრიუკმა დაწერა ისტორიული რომანი „ძმები გრუ-
ზინოვები“ (მნათობი, № 1. 1969, 118).

ნანაზიაშვილ-ი (თბ., 29. IV. 1964. 2); სავარ. საკ. სახ. ნ ა ნ ა ზ ი ა.

ნანაძე (კომ., 6. III. 1968. 2), საკ. სახ. ნ ა ნ ა; ამავე ძირისაა
ნ ა ნ ა ვ ა, ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი (←ნანაიშვილი), ნ ა ნ ი კ ა შ ვ ი
ლ ი, ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, ნ ა ნ ი ტ ა ძ ე, ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი,
ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი, ნ ა ნ უ ა შ ვ ი ლ ი, ნ ა ნ უ კ ა შ ვ ი ლ ი.

ნაოჭაშვილ-ი (თბ., 30. III. 1973. 4), ტირძნისი, ქიწნისი (გორის
რ.); სავარ. მეტსახ. ნ ა ო ჭ ა.

ნაპირელ-ი (კომ., 17. XII. 1965. 2), ვანთა (თელავის რ.); გვარად-
ქცეული სადაურობის სიტყვა; ვიო ნაპირელი (ჯავახიშვი. ექ.
ისტ. ძეგლ. 81), შესაძლებელია მონაპირე, მოსაზღვრე ჯარის-
კაცის, ან სამხედრო თანამდებობის აღმნიშვნელიც იყოს;
შდრ. მ ე ნ ა პ ი რ ე, მ ე ნ ა ფ ი რ ე.

ნარაიძე (ავტ. მასალ), წვერე (დუშეთის რ.); სავარ. საკ. სახ. ნ ა
რ ა, შდრ. ნ ა რ ი (დლ. სახელ); ||ნარაიძე (თბ., 26. XII. 1973.
4), ამავე ძირისაა: ნ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ნ ა რ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნ ა
რ ო ა შ ვ ი ლ ი.

ნართიშვილ-ი (თბ., 17. VI. 1969. 4), ყაზბეგის რ., შდრ. ოსურის
და მთის კავკასიური მითოლოგიური პერსონაჟის სახ. ნ ა რ-
თ ი.

ნარიმანიძე, საკ. სახ. ნ ა რ ი მ ა ნ ი; ამავე ძირისაა: ნ ა რ ი მ ა ნ ე ა
(თბ., 19. XI. 1969. 4), ნ ა რ ი მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ნ ა რ ი მ ა-
ნ ი ა (←ნარიმანია).

ნარინდოშვილ-ი (თბ., 2. I. 1968. 4), ჯუგაანი (სიღნაღის რ.); სა-
ვარ. საკ. სახ. ნ ა რ ი ნ დ ო.

ნაროზაულ-ი (მაკალ. ხეგს., 19), ახიელი (დუშეთის რ.); საკ. სახ.
ნ ა რ ო ზ ა, შდრ. ნ ა ვ რ ო ზ ა.

ნარსავიძე (კომ., 1. V. 1964. 2), მულახი (ლენტეხის რ.); საკ. სახ.
ნ ა რ ს ა ვ (დლ. სახელ).

ნარსაძე (სოც. რუსთავი, 31. I. 1977. 4), ამავე ძირისაა: ნ ა რ ს ი ა;
საკ. სახ. ნ ა რ ს ი; ნარსია ემთხვევა ბასკურ გვარს (იხ. ნ. ჩა-
ჩანიძე, „გებრალტარიდან ჩანდა ლენტეხი“, თბ., 8. I. 1966. 4).

ნარუსლიშვილ-ი (თბ., 12. V. 1967. 4), ფუტე ნ ა რ უ ს ა ლ ი (რუ-
სად წამყოფი).

ნარჩემაშვილ-ი (თბ., 17. V. 1966. 2), ||ნარჩომაშვილი (კომ.,
18. II. 1972. 2).

ნასარიძე (სოფლ. ცხ., 27. II. 1963. 3); საქ. სახ. ნასარი
 (ქართლ. ცხ. V. 1976); ამავე ძირისაა: ნასარიძე, ნას-
 რაძე (←ნასარიძე); ნასრაშვილი.
ნასებელაშვილი-ი (კომ., 28. XII. 1963. 3); ჯავარ. საქ. სახ. ნასე-
 ბელა (←ნასიბელა: ნასიბ-ელა, შდრ. ნასიბაშვილი.
ნასიბაშვილი-ი (ავტ. მასალ), მუხრანი (მცხეთის რ.), საქ. სახ. ნა-
 სიბა (ნასი+ბლართი -ბა).
ნასუაშვილი-ი (თბ., 10. II. 1969. 4), მესხეთი, ქართლი; || ნასო-
 აშვილი, შდრ. საქ. სახ. ნასო (ლლ. სახელ.).
ნასყიდაშვილი-ი (კომ., I. XI. 1963. 1), ევფემისტური საქ. სახ.
 ნასყიდა ნასყიდა; ამავე ძირისაა: ნასყიდაშვილი,
 ანაგა (სიღნაღის რ.).
ნასხლეთაშვილი-ი (თბ., 29. V. 1969. 4), ზესტაფონის რ.; მეტსახ.
 ნასხლეთა.
ნატმელაძე (ავტ. მასალ.), წესი (ონის რ.), კვაცხუთი (ამბროლაუ-
 რის რ.).
ნატრაძე (თბ., 19. XII. 1970. 4), ძეგვი (მცხეთის რ.); შდრ. ნა-
 ტრია (მშობლისმიერი საქ. სახ.). ამავე ძირისაა: ნატრაძე,
 ნატროშვილი.
ნაუაშვილი-ი (თბ., 13. XII. 1966. 4), წილკანი (მცხეთის რ.); შდრ.
 საქ. სახ. ნაუა, ნაუია (ლლ. სახელ.).
ნაფეტვარიძე (კომ., 19. II. 1964. III.), შუამთა (ვანის რ.).
ნაღებაშვილი-ი (თბ., 21. V. 1965. 4), საქ. სახ. ნაღება (ლლ. სა-
 ხელ.), || ნაგებაშვილი (რუსულის ზეგავლენით).
ნაყურ-ი (სოფლ. ცხ., 29. VII. 1967. 2), ხევსურეთი, ფშავი.
ნაყოფია (თბ., 31. VII. 1972. 1), ცხაკაიას რ.
ნაჩხატაშვილი-ი (თბ., 6. II. 1967. 2), ზაშმი (საგარეჯოს რ.).
ნაცვალაძე (თბ., 17. II. 1963. 4), ასკანა (ლანჩხუთის რ.), ამავე
 ძირისაა: ნაცვალაძე, ნაცვლიშვილი; აღმინის-
 ტრაცეული თანამდებობის ტერმინი ძველ სოფელში—ნაცვ-
 ალი.
ნაწიკაშვილი-ი (კომ., 24. I. 1965. 3), საბუე (ყვარლის რ.).
ნაწიფაშვილი-ი (კომ., 12. XI. 1967. 2), კონდოლი (თელავის რ.).
ნაჭყებია (თბ., 14. VI. 1967. 4), კურზუ, ტალერი, || ნაჭყებია
 (ვეგეჭკორის რ.); სანაჭყებო სოფელია ამავე რაიონში, შდრ.
 ნაჭყა, მეგრ. „დაწყველილი“. გადმოცემით ამ გვარეულო-
 ბის წინაპრები სვანეთიდან ყოფილან. ერთ-ერთ მათგანს ბა-
 ტონი შემოჰკვდომია და გამოქცეულა. ახალ სამყოფელში

მისთვის ეს სახელი უწოდებიათ .

- ნახუცრიშვილ-ი** (კომ., 13. IV. 1969. 4), ნახუცარი (ხუცად ნამყოფი).
- ნებაძე** (წით. დროშა, 22. X. 1963. 2), ღრელი (ახალციხის რ.); ქალის სახ. ნეპე (ლლ. სახელ.)
- ნებიერიძე** (თბ., 17. IV. 1968. 4), ახალციხის, ზესტაფონის რ-ები; საქ. სახ. ნებიერი (მაკალ. ფშავი, 149).
- ნებულიშვილ-ი** (თბ., 19. IV. 1967. 4), ნიკორწმინდა (ამბროლაურის რ.); || ნებურიშვილი, ამავე ძირისა ნებურიძე (თბ., 20, VI. 1969. 4).
- ნეიძე** (თბ., 16. I. 1962. 4), ზელოვნურად გადაყუთების გზით არის მიღებული გერმანული ნეიმანიდან.
- ნეკაშვილ-ი** (ავტ. მასალ.), ლალისყური, თელავის რ. (მეტსახელი ნეკა ნეკისაგან უნდა იყოს, წარმომდგარი).
- ნეკერიშვილ-ი** (კომ., 1. XII. 1963. 4), ალვანი (ახმეტის რ.); ამავე ძირისა: ნეკერიშვილი, ნეკერაული (კომ., 5. XII. 1968. 2).
- ნემსაძე** (თბ., 23. XI. 1963. 4), მუქვენა (ცაგერის რ.), გულიანი (ლანჩხუთის რ.); მეტსახ. ნემსა; ამავე ძირისა ნემსიშვილი.
- ნერგაძე** (კომ., 29. I. 1964. 1), ნერგეთი (შაიაკოვსკის რ.), სოფლის სახელი ამავე გვარისაგან მომდინარეობს (ნერგეთი—ნერგეთი).
- ნესოშვილ-ი** (თბ., 8. V. 1974. 4), ახალშენი (წულუქიძის რ.); ამავე ძირისა ნესუაშვილი (თბ., 19. IV. 1964. 4), ველისციხე (გურჯაანის რ.).
- ნეფარიძე** (თბ., 25. VII. 1967. 4), ახალსოფელი (ამბროლაურის რ.), ბარი (ონის რ.); შესაძლებელია მისი პირველსახე მეფარიძე იყო: მეფარე—ფარის მკეთებელი; შდრ. მეფარიშვილი, მეფარიძე.
- ნიავაძე** (კომ., 29. 1966. 4), ლიხეთი (ამბროლაურის რ.).
- ნიადაგიშვილ-ი** (თბ., 8. II. 1968. 4); დირბი (ქარელის რ.).
- ნიაზაშვილ-ი**, ქვახვრელი (გორის რ.), ძალიძი (მცხეთის რ.); საქ. სახ. ნიაზა.
- ნიაურ-ი** (სოფლ. ცხ., 7. XII. 1963. 2), იკოთი (ლენინგორის რ.); საქ. სახ. ნია (ლლ. სახელ.)
- ნიბლაძე** (თბ., 28. VIII. 1967. 4), ამავე ძირისა: ნიბლიაშვილი, ნიბლოშვილი, საქ. სახ. ნიბლო (ლლ. სახელ.);

- შდრ. ნიბლია — პატარა ტანისა, დალეული: „ნიბლია ჩიტი“.
- ნიკაჭაძე (კომ.; 28. V. 1966. 4), ტაბაკინი (ზესტაფონის რ.); საკ. სახ. ნიკაჭა (ჭ-ა კინობითობის ბოლოსართებია).
- ნიკვაშვილ-ი (თბ., 23, II. 1975. 4), საქობო (სილნადის რ.); საკ. სახ. ნიკვა (←ნიკოა).
- ნიკოლაშვილ-ი, ხაშში (საგარეჯოს რ.); ამავე ძირისაა: ნიკოლა-ნიკოლი, ნიკოლეიშვილი, ნიკოლაძე...
- ნიკურაძე (სოფლ. ცხ., 21. II. 1968. 3.), სამტრედიის რ.; საკ. სახ. ნიკურა; ამავე ძირისაა ნიკურიანი, || ნიგურიანი.
- ნინიძე (თბ., 14. II. 1969. 4), ასკანა (ლანჩხუთის რ.); საკ. სახ. ნინია; ამავე ძირისაა: ნინიაშვილი, ნინიკაშვილი, ნინიკელაშვილი, ნინიკური, ნინუა, ნინუაშვილი.
- ნიორაძე (თბ., 15. VIII. 1963. 4), თიანეთის რ.; საკ. სახ. ნიორა; მარუშიან ნიორაძე (ინგოროყვა, თხზ. 1, 472).
- ნიუარაძე (კომ., 16. XI. 1967. 2), აჭარა, სვანეთი, იმერეთი და სხვ. (გაერც.), საკ. სახ. ნიუარა.
- ნიქაბაძე, ვარძია, ბორი (ორჯონიკიძის რ.); საკ. სახ. ნიქაბა; || ნიქობაძე, || ნიქებუძე; მოსალოდნელია წინარე სახე მიქაბაძე ყოფილიყო (ბგერათა შენაცვლება მ-ნ).
- ნიშნინიძე (ლიტ. საქ., 27. XII. 1963. 4), გომი (სამტრედიის რ.) და სხვ, სავარ. მენტსახელი ნიშნინიანი.
- ნოღია, ახუთი (ჩხოროწყუს რ.), სუჯუნა, (აბაშის რ.); გვხვდება ბასკეთშიც. „არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ ფაქტმა, რომ მრავალი ქართული გვარი ზუსტი ასლია ბასკურისა, ან პირიქით: მაგალითად, ერისთავი, ლოლუა, ნოღია“ (ალ. კიკნაძე, სიტყვა ბასკებზე: კომ., 15. II. 1975. 3).
- ნოდარიშვილ-ი (თბ., 20. III. 1973. 4), პიპილეთი (ონის რ.).
- ნოზაძე (თბ., 17. V. 1966. 2), ორჯონიკიძის, ხაშურის რ-ბი და სხვ. (გაერც.), ამავე ძირისაა ნოზაძე.
- ნონაშვილ-ი (თბ., 1. IV. 1972. 4), სამწევრისი (ქარელის რ.); საკ. სახ. ნონა; ამავე ძირისაა: ნონიაშვილი, ნონიკაშვილი.
- ნონეშვილ-ი კარდენახი (გურჯაანის რ.); საკ. სახ. ნონე (ლეონიძე, სახელ.).
- ნორაკიძე (კომ., 31. III. 1968. 4), ხორში (ცხაკაის რ.) და სხვ.;

შდრ: ნარაკიძე (სარფი. ხელვაჩაურის რ.); ამავე ძირისაა ნორაკია.

ნოსელიძე (ქუთაისი, 14. III. 1964. 4), ფუძე ნოსელი, მიჩნეულია სადაურობის სიტყვად ტობონიმისაგან ნოსა (ჭუმბ. 51).

ნოლაიდელ-ი (თბ., 9. VI. 1967. 2), წყავროკა (ქობულეთის რ.); გვარადქცეული სადაურობის სიტყვა, ნავარაუდებელია სოფლის სახელი ნოლაითი, აქედან: ნოლაითელი, შდრ. სოფლის სახ. ნოლა გეგეშკორის, წყალტუბოსა და სამტრედიის რაიონებში.

ნუგზარიშვილ-ი (თბ., 4. I. 1965. 4), ჩოჩეთი (კასპის რ.).

ნურიძე (კომ., V 1966. 3), ხუცუბანი (ქობულეთის რ.); საქ. სახ. ნური, ამავე ძირისაა ნუროშვილი (თბ., 11. II. 1967. 3), საინგილო (კახის რ.).

ო

ობგაიძე, მთიულეთი (ღუშეთის რ.), ლენინგორის რ.; განშტოებანი: თამაზიანი, აჭიმიანი, თათარიაანი, ბიჭიაანი (ჭყ. ქორწ. ინსტ. 19. 70).

ობოლაშვილ-ი, ბოდბისხევი (სიღნაღის რ.); ევფემისტური საქ. სახ. ობოლა, ამავე ძირისაა; ობოლიშვილი, ობლიაშვილი, ობლაძე, ობოლაძე.

ოდიშარია, ზუგდიდის, გეგეშკორის რ-ბი; სადაურობის სიტყვა ოდიშარი ნიშნავს ოდიშელს; საოდიშარიო სოფელია ცხაკაიას რაიონში (შანიძე, სტრუქტ. საქ. 31, 32).

ოდიშვილ-ი, ღუშეთის რ.; საქ. სახ. ოდი, წარმართული ხანის ღვთაების სახელი მას უკავშირდება მეგრ., „სიმღერა „ოდოია“ (გ. ბერიძე, მნათობი, 1959, № 12), აგრეთვე ცალკუბლის ღვთაების ზეანური სახელი „ვობი.“ (ს. ჭანტურიშვილი, ნაღური სიმღერა „ოდოიას“ საკითხისათვის“. მაცნე, 1970 № 6), „ოდოია“ ბასკურად „პატარა ღრუბელს ნიშნავს“ (ი. ტაბალუა, სიტყვა „ოდოიას“ ეტიმოლოგიისათვის, „ლიტ. საქართველო“, 1971, 9. VII); ოდიში ღვთაება ოდის საკულტო ადგილს უნდა ნიშნავდეს (ნ. წულეისკირი, ლიტ. საქართველო, 1977, № 1, 1. 1); ამავე ძირისაა: ოდიკაძე, ოდილაგაძე, ოდიშაშვილი, ოდოსიაშვილი, ოდოშაშვილი, ოდოჭაშვილი.

ოზაშვილ-ი, ოზანი (წითელწყაროს რ.); საქ. სახ. ოზა (მისგან-

ვეა მიღებული სოფლის სახელი).

ოთარაშვილი-ი (კომ., 1. XII. 1963. 4), არბოშიკი (წითელწყაროს რ.); შდრ. თთარაანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძე); ამავე ძირისაა: **ოთარაძე** (ასპინძის რ.).

ოთიაშვილი-ი (სახ. გან., 26. III. 1969. 2), კავთისხევი (კასპის რ.), ვაჭირი (სიღნაღის რ.); შდრ. საჯ. სახ. **ოტია** (ჯავახიშვილ. ეპ. ისტ. ძეგლ. 29); ამავე ძირისაა. **ოთიაური**, **ოთინაშვილი-ი**, **ოთიურიძე**.

ოთხმეზურ-ი დვაბზუ (მახარაძის რ.); გვარადქცეული მეფისდროინდელი სამოხელეო ტერმინი, წარმომდგარი სპარს. მიზდისაგან. მიზდი ასალები რამ, სარგო, ქირა (საბა), მიზდური მიზდის ამლები (ანდრონიკაშვილ. ნარკვ. 342), უნდა მომდინარეობდეს **ოთხმიზდურ-ისაგან** (=მეოთხედის ამკრეფი).

ოთხოზორია (კომ., 5. III. 1965. 4), დარჩელი (ზუგდიდის რ.).

ოკმელაშვილი-ი, საჯ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა **ოკმელა**, სოფლის სახელისაგან **ოკამი** (კასპის), ახალქალაქის რ-ები.

ოკრიბელაშვილი-ი (თბ., 9. XII. 1971. 4), ვარძია (ორჯონიკიძის რ.); საჯ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა **ოკრიბელა**, **ოკრიბა** მხარეთა იმერეთში.

ოკუჩავა, რუხი (ზუგდიდის, გეგეშკორის რ-ები. ←**ოყუჩავა**, მეგრული **ოყუჯი**: საყურე).

ომარაშვილი-ი (თბ., 23. X. 1967. 1), გურჯაანის რ., საჯ. სახ. **ომარა**. მოხსენიებულია ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივში“.

ომაძე (თბ., 22. II. 1964. 4), ფხვენისი (გორის რ.); საჯ. სახ. **ომა**, **ომია**; ამავე ძირისაა: **ომიაძე**, **ომაიძე**.

ომსარაშვილი-ი (კომ., 29 X. 1969. 2). გურჯაანის რ., საჯ. სახ. **ომსარა** (ჯავახიშვილ. ეპ. ისტ. ძეგლ., 61).

ონაშვილი-ი, პატარძეული (საგარეჯოს რ.); საჯ. სახ. **ონა**, **ონი** (ლლ. სახელ.), ამავე ძირისაა: **ონიანი**, **ონიაშვილი**, **ონიკაშვილი**, **ონიკაური**, **ონიკაძე**.

ონოფრიშვილი-ი (თბ., 21. II. 1964. 3), კავთისხევი (კასპის რ.); საჯ. სახ. **ონოფრე**; გადმოცემით **ონოფრიშვილთა** ძველი გვარი **მოსიძე** ყოფილა, ჯავახეთიდან გადმოსულან ქართლში.

ოჟილაურ-ი (თბ., 25. VI. 1968. 4), ზემო ალვანი (ახმეტის რ.);

- სავარ. საქ. სახ. ოქილა, შდრ. ოქია (ლლ. სახელ.) შდრ. სოფლის სახ. ოქიო.
- ორაგველიძე** (თბ., 6. V. 1968. 4), მახარაძის, ლანჩხუთის რ-ბი; სა-
დაურობის სიტყვა ორ აგველი, ორაგვე სოფელია ლან-
ჩხუთის რაიონში.
- ორავეანდაშვილ-ი**, საქ. სახ. ორ აგვეანდა: ორავეანდაშვილი
ქაიხოსრო (ქართ. ცხ. II, 523), || ოროქანდაშვილი.
- ორახელაშვილ-ი**, ორჯონიკიძის რ., მეტსახ. ორახელას. იმე-
რეთში მშრომელ, მხნე და გამრჯე კაცს ეძახიან.
- ორბეთიშვილ-ი** (კომ., 16. IV. 1965. 2), ალვანი (ახმეტის რ.); შდრ.
სოფლის სახელი ორბეთი, თეთრიწყაროს რაიონში.
- ორბელიან-ი**, თბილისი, მსხვილი ფეოდალური საგვარეულო; სა-
მეფო კარზე წარჩინებულნი, ორბეთის მფლობელები; ბარათა-
შვილთა ერთ-ერთი შტო, წყაროებში XII ს-დან იხსენიება
(ქართ. ცხ. IV, 28; უორდ. ქრონიკ., II, 264—266; ს. ჯანაშია,
ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ., 1952),
ორბელად და ორბელიშვილებადაც იწოდე-
ბოდნენ.
- ორბელაძე** (თბ., 27. V. 1966. 4), ქვ. საზანო, ცხრაწყარო (ხესტა-
ფონის რ.)
- ორდენიძე** (თბ., 21. VII. 1969. 4), უწერა (ონის რ.); სავარ. საქ.
სახ. ორდენი (←ვარდენი), შემოკლ. ორდე, ორდა (ლლ.
სახელ.), || ორდინიძე, კვაცხუთი (ონის რ.).
- ორთავაძე** (თბ., 15. IV. 1968. 3), ენისელი (ყვარლის რ.), მეტსა-
ხელი ორთავა; შდრ. რუს. Двуголовых (Никонѳв. Имя
и обш. 210).
- ორთოიძე** (თბ., 29. VIII. 1963. 3), დეისი, ზვარე (ორჯონიკიძის
რ.); შდრ. ორთა, ნადირთა მფარველი ღვთაების მეგრული
სახელი (ჯავახიშვი. ქართვ. ერ. ისტ. I. 115).
- ორკოშნელი-ი**, სართიჭალა (გარდაბნის რ.), გიორგი ორკოშნელი
(ჯავახიშვი. ეკ. ისტ. ძეგლ., 39); ორკოშანი ნასოფლარია სოფ.
ნინოწმინდის ჭხლოს (საგარეჯოს რ.).
- ორმოცაძე** (თბ., 17. II. 1967. 4), ჩოჩხათი, ნიგოთი (ლანჩხუთის
რ.), ონჯოხეთი, (ვანის რ.); სავარ. საქ. სახ. ორმოცა. შდრ.
ორმოცი, სოფელი გორის რაიონში, ნასოფლარი და ციხე-
კოშკი ასპინძის რაიონში.
- ორჯონიკიძე**, ლორეშა (ორჯონიკიძის რ.); საქ. სახ. ორჯონიკი,
კნინობითი სახეა ძირეული სახელისა—ორჯონა (|| ორქონა),

რომელიც მიღებული ჩანს ორჯან-საგან (ორი ჯანის მჭონე, ჭლიერი ადამიანის სახელი-ეპითეტი). შდრ. ორჟონია (თბ. უნივ., 1. IX. 1976. 10).

ოსიაშვილ-ი (თბ., 28. IV. 1964. 4), ანაგა (სიღნაღის რ.). საკ. სახ. ოსია; ოსია (შემოკლ. იოსები); ამავე ძირისა: ოსიტაშვილი, ოსიაური.

ოსიყმაშვილ-ი (თბ., 28. II. 1969. 4); საკ. სახ. ოსიყმა (ლლ. სახელ.); ძველი წყაროების მიხედვით: ოსეყმა, ოვსეყმა, შესაძლებელია აქ ოსი ეთნონიმი იყოს (თუ იოსების შემოკლებული სახე არ არის), ოსი+ყმა; შდრ. ვაშაყმა (ვაშაყმაძე), კეჭეყმა (კეჭეყმაძე) და სხვ.; ამავე ძირისა: ოსიძე, ოსიშვილი, ოსაძე.

ოსორიძე, თუშეთი (პ. ხუბუტია, თუშური კილო-თბ., 1969. გვ. 201); ამავე ძირისა ოსორაული.

ოსოშვილ-ი (კომ., 24. X. 1970. 1); გურჯაანის რ.; საკ. სახ. ოსო შდრ. ოსიშვილი, ოსაძე, ოსიტაშვილი და სხვ.

ოტრაბახიძე (თბ., 28. I. 1976. 4), მეორე მიწაბოვირა, (სამტრედიის რ.)

ოქრიაშვილ-ი (თბ., 4. 1. 1968. 4), ჯავახი (დმანისის რ.); საკ. სახ. ოქრია; ამავე ძირისა: ოქრაძე. შდრ. ოქროაძე.

ოქროკვერცხიშვილ-ი (თბ., 12. VI. 1969. 4), || ოქროკვერცხი: „სოხუმის ბოტანიკური ბაღის ბიბლიოთეკის გამგე. სოფიო ოქროკვერცხი“.

ოქრომელიძე, მუსხი (ახალციხის რ.); საკ. სახ. ოქრომელი, მეღ, მეღა მაწარმოებელი უნდა იყოს (შდრ. ჯარიმელაშვილი, ურჯუმელაშვილი, სარჩიმელია, დარცმელია, პიდრონიმები: ჩხერიმელა, ბორიმელა, სხვა სიტყვები: ცუგრუმელა, კორკიმელი...).

ოქრომქედლიშვილ-ი, სიღნაღის რ., სავარჯოხ რ. და სხვ.; ამავე ძირისა ოქრომქედლეძე (ორჯონიკიძის რ.).

ოქროპირიძე, გორის რ., საკ. სახ. ოქროპირი. ზგდი მნიშვნ. მჭევრმეტყველი, შდრ. ოქრობილაშვილი, გურიანთა (მახარაძის რ.). ოქრობილა, ამავე ძირისა: ოქროპირაშვილი (თბ., 6. III. 1974. 4), ვანის რ.

ოქროსცვარიძე, ოქროცვარიძე, სავარ. საკ. სახ. ოქროსცვარი. შდრ. ოქროცოვიძე (თბ., 16. III. 1971. 3).

- ოქროჯანაშვილ-ი**, სანგილო (კახის რ.); საქ. საბ. ოქროჯანაშვილი, თბილისი, ხელოვნურად გადაკეთებული გვარია, ის ოყრეშიძე.
- ოქრუაშვილ-ი** (თბ., 17. V. 1966. 2), ვორის რ. და სხვ.; საქ. საბ. ოქრუა (← ოქროა); ამავე ძირისაა: ოქრუაშვილი (← ოქროაშვილი), ოქრუაძე.
- ოღიაშვილ-ი** (კომ., 24. XI. 1967. 2), ანაგა (სიღნაღის რ.); სავარ. საქ. საბ. ოღია; შდრ. ოღიაძე (თბ., 30. VIII. 1967. 4), საკოჩინთლო (კასპის რ.).
- ოღრაპიშვილ-ი**, ხაშვი (სავარჯეთის რ.), ქ. რუსთავე; დამამც. მეტ. საბ. ოღრაპი, ზედი მნიშვნ. ავყია, ბოროტი.
- ოყრეშიძე** (თბ., 31. V. 1968. 4), კოლევი, მეძენა (წყალტუბოს რ.); || ოყროშიძე, საქამიასური (ჩოხატაურის რ.); ანალოგიურია სოფლის საბ. ოყურეში (ცაგერის რ.); თბილისში მეტოურებმა ოყროშიძეებმა გვარი ოქროშიძედ გადაიკეთეს.
- ოშორიძე** (თბ., 2. X. 1970. 4), შენაქო (ახმეტის რ.); შდრ. სოფლის საბ. ოშორა.
- ოშხერელ-ი** (თბ., 25. I. 1965. 4), სადმელი, ჩორჭო (ანბროლაურის რ.); გვარადქცეული სადაურობის სიტყვა; სავარ. ტომონი ოშხერი.
- ოჩიაურ-ი** (კომ., 14. VI. 1967. 4), ხევსურეთი (ღუშეთის რ.); საქ. საბ. ოჩია (ლლ. სახელ.), ამავე ძირისაა; ოჩიაშვილი (თბ., 12. V. 1969. 4), ოჩიგავა (← ოჩიკავა).
- ოჩხრიკიძე** (თბ., 24. V. 1969. 4), ქუშუბაური (ვანის რ.); სავარ. საქ. საბ. ოჩხრიკი; || ოჩხიკიძე.
- ოცხელ-ი**, ქუთაისი; გვარადქცეული სადაურობის სიტყვა. ოცხე (ძველი ფორმით ოძრხე, ოძრჳე, ქართ. ცხ. I. 17. 39). ციხე-ქალაქი, ხეობა სამცხეში (დღევანდელი აბასთუმანი); გადმოცემით წინაპართა გვარი მანანაშვილი ყოფილა.
- ოძელაშვილ-ი** (თბ., 3. II. 1969. 3), ბოგვი (ფეთრი წყაროს რ.); საქ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა ოძელა, სოფლის სახელისაგან ოძისი (კასპის რ.).
- ოხანაშვილ-ი** (თბ., 13. II. 1969. 4), სავარ. საქ. საბ. ოხანა. შდრ. ოხია (ლლ. სახელ.); || ოხონაშვილი (საბ. გან. 6. XI 1975. 4).

- პავლაძე (თბ., 16. VI. 1970. IV), ლენინგოლის რ.; საყ. სახ. პავლა (პავლე), ამავე ძირისაა პავლიაშვილი.
- პაიკაძე (კომ., 28. V. 1966. 4), ძიმითი (შახარაძის რ.); სავარ. მეტსახ. პაიკა; ამავე ძირისაა პაიკიძე, ყუმური (ვანის რ.).
- პაიჭაძე ურკეთი, დაბლატიხე (ჩოხატაურის რ.); საყ. სახ. პაიჭა (—პაჭიჭაძე, ქუთაისი). შდრ. პაჭიჭაშვილი (გავაბიშვილ. ექ. ისტ. ძეგლ., 41), ამავე ძირისაა პაიჭაშვილი (თბ., 5. IV. 1974. 4).
- პაკალოშვილი (კომ., 28. V. 1966), გავაზი (ყვარლის რ.).
- პანკიხელი (კომ., 16. II. 1967. 2), გვარაღჭეველი სადაურობის სიტყვა. პანკისი ხეობის სახელია ახმეტის რაიონში.
- პაპაშვილი (გაერც.); საყ.სახ. პაპა (საქ. სიძე. I, 13), ამავე ძირისაა: პაპაეა, პაპაეაძე, პაპალაშვილი, პაპანაშვილი, პაპასკირი, პაპასკუა, პაპანაშვილი, პაპელიშვილი, პაპიაშვილი, პაპინაშვილი, პაპინაშვილი, პაპისაშვილი, პაპიტაშვილი, პაპიძე, პაპკიაური, პაპოშვილი, პაპუა, პაპუაშვილი, პაპუკიშვილი, პაპულაშვილი, პაპუნაშვილი, პაპუნტლაშვილი, პაპუნძიძე, პაპუნტლაშვილი.
- პაპისმედაშვილი || პაპისმედოვი, საყ. სახ. პაპისმედა (—პაპისმედა).
- პარასკევაშვილი (კომ., 20. IX. 1968 3), საყ. სახ. პარასკევა პარასკევე დღეს დამადების აღსანიშნავად).
- პარეხელაშვილი, საყ. სახელადჭეველი სადაურობის სიტყვა პარეხელი. პარეხი სოფელი და ტაძარია ისტორიულ ტაოკლარჯეთში; წყაროებში ცნობილია სასულიერო მოღვაწე მიქაელ პარეხელი, შდრ. ფარება, ნასოფლარი ახალციხის რაიონში.
- პარკაძე (თბ., 4. VI. 1968. 4), ქვემოჭალა (კასპის რ.); ამავე ძირისაა: პარკაია, პარკაული, პარკინაშვილი.
- პარლაგაშვილი (თბ., 28. XII. 1966. 4), სავარ. საყ. სახ. პარლაგა, შდრ. პალაგაშვილი (კომ., 28. V. 1969. 2).
- პარმაზისაშვილი, ქ. ახალციხე; თურქ. მეტსახ. „პარმაკსიზ“ (=უთითო). თბილისში მცხოვრებ ამ გვარის წარმომადგენლებს შეუკვეციათ და იხსენიებიან როგორც პარმა. გადმოცემით ძველი გვარი ვანაძე ყოფილა (ზ. კიტიჩაძე, აბატი პ. ზარისტირაშვილი, ტფ., 1895, გვ. 34).

- პარუნაშვილ-ი** (თბ., 13. III. 1970. 4), უღე (ადიგენის რ.); საქ. სახ. პარუნა (ჯავახიშვილ. ეკ. ისტ. ძეგლ., 32).
- პარწიკანაშვილ-ი** (თბ., 16. VI. 1971. 2); მეტსახ. პარწიკანა; ||პარწიკანაშვილ-ი (კომ., 26. III. 1974. 2), აკურა (თელავის რ.), ||პარწიკანაშვილი.
- პასიკაშვილ-ი** (თბ., 22. IV. 1968. 4), მანავი (საგარეჯოს რ.); შდრ. საქ. სახ. პასა, ამავე ძირისაა: პასუკაშვილი (თბ., 5. V. 1967. 4).
- პატარიძე** (თბ., 31. I. 1964. 1), აბანოეთი (ამბროლაურის რ.); საქ. სახ. პატარ; მოხსენიებულია თამარ მეფის 1202 წ. სიგელში (ეორდ. ქრონიკ., II, 80); ამავე ძირისაა: პატარავა, პატარაია, პატარაშვილი.
- პატარქალიშვილ-ი** (თბ., 18. II. 1964. 4). საქ. სახ. პატარქალი (მაც. ფშავი; 148).
- პატარკაციშვილ-ი** (თბ., 21. VI. 1968. 4), პატარქელი (საგარეჯოს რ.); საქ. სახ. პატარკაცი (ლლ. სახელ.)
- პატატიშვილ-ი** (თბ., 5. IV. 1971. 4), შეუბანი (ამბროლაურის რ.); საქ. სახ. პატატი.
- პატიშვილ-ი** (თბ., 21. III. 1969. 4), ძიმითი (მახარაძის რ.); || პატიეშვილი; ამავე ძირისაა: პატიაშვილი.
- პატურაშვილ-ი** (თბ., უნივ. 1. IX. 1971. 3), ევეენტი (თიანეთის რ.); საქ. სახ. პატურა (პატას კინობითი ფორმა).
- პაქსაშვილ-ი** (კომ., 8. XII. 1963. 2), სხლითი, ბორითი (ორჯონიკიძის რ.); შდრ. პაქსი—ობი, (საბა), გადმოცემით წინაპართა გვარი ლაზიკაშვილი ყოფილა, ამავე ძირისაა პაქსიძე; პაქსაძეები სოფელია აჭარაში (ხულოს რაიონში), სადაც პაქსაძეები არ ცხოვრობენ.
- პაჩოშვილ-ი** (თბ., 5. XI. 1977. 4), ზემო ალვანი (ახმეტის რ.).
- პაჭიკაშვილ-ი** (სოც. რუსთავი, 10. III. 1965. 4), თქტომბერი (ყვარლის რ.); საქ. სახ. პაჭიკა.
- პაჭკორია** (თბ., 18. III. 1968. 4), ცხაკიას რ.; პაჭკორი (—პაპაშკორი) მეგრ.—მღვდლის ყმა (ჭუმბ. 39).
- პეპანაშვილ-ი** (კომ., 11. I. 1966. 3), ქსოვრისი (მცხეთის რ.); საქ. სახ. პეპანა; ||პეპანიშვილი.
- პერანიძე** (თბ., 26. II. 1968. 2), დილიკაური (ზესტაფონის რ.); საქ. სახ. პერანი; გურგენ მეფის ძე პერანი (ჯავახიშვილ. ქ. ერ. ისტ. I. 244, 245).
- პერტენავა** (თბ., 11. VI. 1968. 4), აბაშის რ.

- პერტია (თბ., 29. I. 1968. 4), ზუგდიდის რ.; წარმომდგარია პეტრე-საგან (ბგერათა გადამით).
- პეტაშვილ-ი (თბ., 7. VI. 1969. 4), უღე (ადიგენის რ.); საჯ. სახ. პეტრა (შემოკლებული პეტრე).
- პეტრემღვდლიშვილ-ი (თბ., 5. X. 1972. 4), მეჯვრისხევი (გორის რ.), ქანდა (მცხეთის რ.).
- პეტრიაშვილ-ი, გოგაშენი, ახალქალაქის რ. და სხვ. (გავრც.); ამავე ძირისაა პეტრიაძე.
- პიპილაშვილ-ი, საჯ. სახ. პიპრლა; პიპილეთი სოფელია ამბროლაურის რაიონში.
- პიპინაშვილ-ი (კომ., 13. IV. 1968. 4), ქუთაისი, შდრ. საჯ. სახ. პიპინე (ლლ. სახელ).
- პირადაშვილ-ი (თბ., 23. XI. 1972. 4).
- პირველაშვილ-ი (თბ., 4. I. 1966. 4), საჯ. სახ. პირველა (პირველად შეძენილი შვილის აღსანიშნავად, ჭუმბ, 11); ამავე ძირისაა: პირველი (მესტიის რ.), გვარადქცეული რიცხვითი სახელი (შდრ. რუს. Первухин).
- პირმისაშვილ-ი; სავარ. საჯ. სახ. პირმისა; პირმისაანთკარი, იგივე პირმისაანი; სოფელია დუშეთის რაიონში.
- პირტახია (კომ., 29. V. 1966. 5), აბდეთი (გეგეჭკორის რ.); || პეტრტახია.
- პირქუშაშვილ-ი (კომ., 27. X. 1967. 4), ჩარგალი (დუშეთის რ.), საჯ. სახ. პირქუშა (ლლ. სახელ.), ხატი ხევსურეთში, სოფ. ბაკალიგოში (ჯავახიშვილ, ქ. ერ. ისტ. I, 151).
- პირცეცხლაშვილ-ი, დუშეთის რ. საჯ. სახელადქცეული თეონიმი პირცეცხლა, ფშავლების ერთ-ერთ ძლიერ ხატსა და გმირსაც „პირცეცხლა“ ჰქვია (ჯავახიშვილ, ქ. ერ. ისტ., II, 153; ვაჟა-ფშაველა, ფშაველები, ივერია, 1887. № 39).
- პიტაშვილ-ი (სახ. გან., 1. X. 1967. 4), სავარ. საჯ. სახ. პიტა; ამავე ძირისაა: პიტოური, პიტოურაშვილი; შდრ. პეტაშვილი.
- პოილარაშვილ-ი (კომ., 6. II. 1973. 4), ჯორჯიაშვილი (თუთრი წყაროს რ.).
- პოლოლიკაშვილ-ი (თბ., 8. IX. 1965. 3), ქ. ახალციხე, თბილისი; გაქართველებული პოლონელის გვარია, პოლონურად: ПОЛОЛКОВ.
- პოლორჭიკაშვილ-ი, რეხა (წალკის რ.); მეტსახელი პოლორჭიკა (ირონ); პოლორჭიკი—ხის პატარა მრგვალი ფბრფი-

ტა ტივის ნახვრეტში ჩაასმელად (ქეგლ).

- პოპიაშვილ-ი**, მირზაანი (წითელწყაროს რ.; საჯ. სახ. პოპია:
პოპია ჩოკასძე (დავთ. II, 252); შტოგვარები: ჩობლიანი,
ხიფათიანი, ყელმალღიანი, ჯერენაანი; ამა-
ვე, ძირისაა პოპინაშვილი.
პოსოშვილ-ი (ასპინძა, 8. II. 1969. 3), ხიზაბავრა (ასპინძის რ.).
პურადაშვილ-ი (სახ. გან., 10. IV. 1965. 2), ||პურდაშვილი.
პურიკამიაშვილ-ი (თბ., 6. II. 1969. 2), მეტსახელი პურიკა-
მია.

ჟ

- ჯადუგაშვილ-ი** (თბ., 23. X. 1966. 3), სავარ. საჯ. სახ. ჟადუგა;
|| ჟადუგაშვილი || ჯადუგაშვილი.
ჯაკობია (Кипш, Грамм, 423) საჯ. სახ. ჟაკობ (+იაკობ).
ჯალაძე (თბ., 9. III. 1971. 4), საჩხერის რ.; სავარ. სახ. ჟალა,
შდრ. ჟალაეთი—ფერდობი სოფ. სხეიტორის მიდამოში,
გადმოცემით აქ ჟალაძეებს უცხოვრიათ; ჟალეთი ნაქალაქარია
თიანეთის რაიონში.
ჯამელაშვილ-ი (თბ., 27. V. 1969. 3), სავარ. სახ. ჟამელა (ჟა-
მი+ბლრთი ელა).
ჯამიაშვილ-ი, ჩარგალი (დუშეთის რ.), (მაკ. ფშავი, საჯ. სახ. ჟა-
მია.
ჯამიერაშვილ-ი (კომ., 4. I. 1964. 3), ხაშმი (საგარეჯოს რ.); საჯ.
სახ. ჟამიერა (ჯავახიშვი. ეკ. ისტ. ძეგლ. 28), || ჟამიარა-
შვილი (ქავთ. 295), მოხსენიებულია დავით მეფის 1710 წ.
სიგელში (ქორდ. ისტ. საბ. 35). შდრ. ჟამიერეთი (სო-
ფელია ონის რაიონში).
ჯამუტაშვილ-ი (თბ., 2. XII. 1968. 4), საჯ. სახ. ჟამუტა (ჯამი-
უტა).
ჯანგირაშვილ-ი, კულო-ხალიანა, ფშავი (მაკალ. ფშავი, 11);
საჯ. სახ. ჟანგირა (ჯავახიშვი. ეკ. ისტ. ძეგლ.), || ჟანგირა-
რაშვილი.
ჯანგიძე, ამბროლაურის რ.; || ჟანგიძე.
ჯვანია, ნოსირი (ცხაკაიას რ), ახუთი (ჩხოროწყუს რ.), სუფსა
(ლანჩხუთის რ.); ლევეჯანიე სოფელია გეგეჭკორის რაიონ-
ში; მიღებულია ივანია-საგან: ივანია—მანია—ევანია
გ. ახვლედიანი).
ჯვალა (თბ., 7. II. 1968. 4; თბ., 17. IV. 1967. 4), ქარიატა (ხო-
ბის რ.). || ჟვალა.

- ჟვიტიაშვილი-ი** (თბ., 17. IV. 1971. 4), ქუთაისი; საგარ. მეტსახ. ჟვიტია.
ჟივიძე (კომ., 1. I. 1966. 4), საკრაულა (მაიაკოვსკის რ.), ლენინ-გორის რ.
ჟივჯივაძე, მარანა (გორის რ.).
ჟიუვაძე (სახ. გან., 1. I. 1968. 2), ხუცუბანი (ქობულეთის რ.); ამ გვარეულობის ერთი კომლი აჭარადან ქარელში გადმოსულა, აქ ისინი ჟივჯივაძეებად იწოდებიან.
ჟუაძე (საქ. ქალი, № 20, 1967. 2): ხუცუბანი (ქობულეთის რ.); საქ. სახ. ჟიუა, ამავე ძირისაა: ჟიუაშვილი (კომ., 15. I. 1965. 3), ხორხი (ფშავეი).
ჟღანტიაშვილი-ი (თბ., 13. III. 1967. 2), საგარ. საქ. სახ. ჟღანტია, || ჟღანტიაშვილი.
ჟოლიძე (თბ., 6. V. 1971. 4), გეზრული (ჭიათურის საქალაქო საბჭო).
ჟონჟოლაძე (თბ., 24. II. 1968. 4), იყალთო (თელავის რ.); საგარ. სახ. ჟონჟოლა.
ჟოუქიაშვილი-ი (თბ., 22. XII. 1966. 4), საქ. სახ. ჟოუქია (← ჟორჯიყ).
ჟორდანია (თბ., 1. VI. 1972. 4), გავრც. გურიასა და აჭარაში, მიღებულია იორდანი-საგან (იორდანია—იორდანია—ქორდანია, იხ. გ. ახვლედიანი შენიშვნა „გვარები“, „ქარეს“ შესახებ, ჩვენი მეცნიერება, № 6, 1923, გვ. 70), ამავე ძირისაა: ჟორდანიძე (კომ., 28. XI. 1973. 2), ხელვაჩაურის რ.;
ჟორჟაძე (კომ., 6. I. 1978. 4); საგარ. საქ. სახ. ჟორჟა, შდრ. ჟორჯაძე.
ჟორჟიაშვილი-ი (თბ., 26. II. 1968. 2), ნიგოთი (ლანჩხუთის რ.); საქ. სახ. ჟორჟია, შდრ. ჟოუქიაშვილი, ჟორჟაძე.
ჟორჟოლაძე, საქ. სახ. ჟორჟოლა (ლლ. სახელ.); ამავე ძირისაა: ჟორჟოლიანი (სვანეთში გამოითქმის ჟორჟოლიანი, სამეგრელოში ჟორჯოლა).
ჟუჟიაშვილი-ი, ხაშურის რ.; საქ. სახ. ჟუჟია, შდრ. ჟუჟია (ლლ. სახელ.)
ჟუჟნიაშვილი-ი (სახ. გან., 20. VIII. 1976. 1), ერდვეი (ცხინვალის რ.); საქ. სახ. ჟუჟნია, შდრ. ჟუჟიაშვილი, ჟუჟნიაშვილი.

ქუქუნაძე (თბ., 21. I. 1968. 4), მუსხი (ახალციხის რ.), საკ. სახ.

ქუქუნა.

ქურულ-ი (კომ., 5. III. 1964. 4), ლარგვისი (ლენინგორის რ.); გვარადქცეული საკ. სახ. ქურული (ლლ. სახელ.), ამაზე მიუთითებს აგრეთვე ქურულიშვილი (თბ., 23. XI. 1966. 4).

ქლამაძე (თბ., 6. XII. 1969. 4), ბუენარი (ჩოხატაურის რ.), ||ჭლაძე.

ქლენტი-ი, ბასილეთი, ქვენობანი ხიდისთავი (ჩოხატაურის რ.); სა- ვარ. ეტიმოლოგია: ქელერიანთი—ქლერიენთი—ქლერენთი ქლენტი, (ი. მაისურაძე, სპეციფიკური წარმოების ზოგიერთი გვარის სტრუქტურისათვის, საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, II, 1974. გვ. 185).

ქლერია (თბ., 16. XI. 1973. 4), ზუგდიდის, გალის რ-ბი (—ქელე- რია); სავარ. საკ. სახ. ქელერი, ქელერა.

რ

რაზიკაშვილ-ი, ჩარგალი (ფშავე); სათემო გვარის გოგოჭურის შტოთაგანი, საკ. სახ. რაზიკა.

რაზმაძე (თბ., 17. V. 1966. 2), დუშეთის, გორის, მცხეთის, ბორჯო- მის რ-ბი (გავრც.) საკ. სახ. რაზმა, ამავე ძირისაა: რაზ- მიაშვილი, საკ. სახ. რაზმია (ლენ. სახელ.).

რაიბულ-ი (კომ., 8. II. 1964. 4), ფშაველი (თელავის რ.); საკ. სახ. რაიბულ (ლლ. სახელ.), ||რაიბულიშვილი, თიანეთის რ.

რევიშვილ-ი (თბ., 3. IV. 1968. 2), ქუთაისი; საკ. სახ. რევი (ქართლ. ცხ. I. 71. 104...); მოხსენიებულია იერუსალიმის გვა- რის მონასტრის აღაპებში: ეპისკოპოსი მანგლელი თეოდორე რევიშვილი (მეტრევე. მასალები, 113).

რეზესიძე (ჩარკვიანი, სვან. 240), ეცერი (მესტიის რ.).

რეკვავა (კომ., 29. V. 1966. 3), ცხაკაიას რ.

რეზვიაშვილ-ი, ჭიორა (ონის რ.) და სხვ. (გავრც.); შდრ. საკ. სახ. რეზვა; „ივანე რეზვას ძე“ (მეტრევე. მასალ. 61).

რთველაძე (თბ., 24. V. 1967. 4), ქორთა (ონის რ.), საკ. სახ. რთველა, რთველია, ამავე ძირისაა რთველია- შვილი, ქიწნისი (გორის რ.).

რივიშვილი-ი (ახ. კომ., 10. IV. 1965. 2), თიანეთის რ.; სავარ. საკ. სახ. რ ი ვ ი (?).
რიკაძე (კომ., 22. III. 1968. 4), გუსთამანია (ორჯონიკიძის რ.), ზანავი (ბორჯომის რ.).
რიკრიკაძე (თბ., 27. IX. 1971. 4), ორჯონიკიძის რ.; საკ. სახ. რ ი კ რ ი კ ა (ლლ. სახელ.).
რიმნისთაველი-ი, ქუთაისი, რუსთავი: ←რივნისთაველი (შანიძე, გრამ. საფუძვ. 55), უკავშირდება რირნის სათავეში ძველად მდებარე სოფლის სახელს — რ ი ვ ნ ი ს თ ა ვ ე ლ ი.
რიყამაძე (კომ., 27. X. 1967. 4), გოგნი (თერჯოლის რ.), სავარ. სახ. რ ი ყ ა მ ა ძ ე; ამავე ძირისაა რ ი ყ ა მ ა შ ვ ი ლ ი.
რიყვაძე (კომ., 18. VI. 1965. 2), ხულოს რ., სავარ. საკ. სახ. რ ი ყ ვ ა ძ ე; რ ი ყ ვ ა ძ ე ზ ი ს ო ფ ე ლ ი ა ა მ ა ვ ე რ ა ი ო ნ შ ი.
რპინაული-ი (კომ., 26. III. 1964), ალვანი (ახმეტის რ.); რ ა ი ნ ი საკ. სახელთა თუშეთში.
რამაზიშვილი-ი (თბ., 6. IV. 1968. 3), ||რ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, ზემო ხოდაშენი (თელავის რ.) და სხვ.; რამაზისშვილი (ქართლ. ცხ. IV, 28).
რამინაშვილი-ი (თბ., 13. II. 1964. 4), გორისუბანი (ამბროლაურის რ.); საკ. სახ. რ ა მ ი ნ ა; ||რ ა მ ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი (თბ., 15. V. 1969. 4).
რამიშვილი-ი (თბ., 14. VI. 1967. 1), სურები, დიდვანი (ჩოხატაურის რ.) და სხვ. (გავრც.).
რატან-ი (კომ., 3. IX. 1967. 3), (მესტიის რ.) (ჩარკვიანი, სვან. 240), ჭიათურის საქ. საბჭო და სხვ.; საკ. სახ. რ ა ტ ი; ამავე ძირისაა: რ ა ტ ი ა, რ ა ტ ი ა ნ ი ძ ე, რ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი, რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, რ ა ტ ი ძ ე.
რაფაეა (თბ., 17. IV. 1964.), ზუგდიდის რ., ბეღია (გალის რ.); საკ. სახ. რ ა ფ ა (შემოკლ. რაფაელი).
რაჭველიშვილი-ი, სხვაეა (ამბროლაურის რ.); სადაურობის სიტყვა რ ა ჭ ვ ე ლ ი.
რაჯაშვილი-ი, გომეწარი (ღუშეთის რ.); (მაკ. ფშავი 11), საკ. სახ. რ ა ჯ ა.
რაჯიბაშვილი-ი (კომ., 11. II. 1965. 4); საკ. სახ. რ ა ჯ ი ბ ა (თურქ).
რევაზაშვილი-ი (კომ., 21. VI. 1967. 3), ||რ ე ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი.
რევანდაშვილი-ი, დისევი (ცხინვალის რ.).
რივინაშვილი-ი (თბ., 19. XII. 1963. 4), ქუთაისი; საკ. სახ. რ ი -

- ქინა (შესაძლებელია რიჟვა-საგან იყოს წარმოქმნილი—
ინა ბოლოსართით).
- რკინაულ-ი (ავტ. მასალ.), გომბორი (საგარეჯოს რ.).
- რობაქიძე, გოგნი (თერჯოლის რ.) და სხვ.; ძველი წყაროებით
ირუბაქიძე: გარსევან ირუბაქიძე=ჩოლოყაშვილი (მეტ-
რეც. მასალ. აღაპი № 163).
- რობიტაშვილ-ი (თბ., 31. I. 1964. 1), ზემო მაჩხაანი (წითელწყა-
როს რ.); საჯ. სახ. რობიტა, შდრ. რობა (ლლ. სახელ.).
- როგავა, აბასთუმანი (ხუგდიდის რ.), ახალსოფელი (ცხაქაიას რ.);
ამავე ძირისაა: როგაძე (სოფლ. ცხ., 18. XI. 1966. 3).
სოფ. ნოვოივანოვკა (სტავროპოლის მხარე, კურსკის რ.) აქ
ცხოვრობს 130-მდე ქართული ოჯახი.
- როდიაშვილ-ი, საჯ. სახ. როდია, შდრ. როდი (ლლ. სახელ.).
შდრ. „როსან და როდია“ (შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსა-
ნი“).
- როდინაძე (სოფლ. ცხ., 27. XI. 1975. 4), ხელეჩაურის რ.; საგარ.
საჯ. სახ. როდინა, შდრ. როდი, როდია.
- როდონაია (თბ., 14. II. 1969. 4), შოიდანაზე (ჩხოროწყუს რ.);
გადმოცემით, მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან—რო-
დონა—ვარდი (ვარციხე)—(ვარდციხე). ბერძნულ წყარო-
ებში როდოპოლისად არის მოხსენიებული.
- როინიშვილ-ი (თბ., 20. VI. 1964. 4), საჯ. სახ. როინი; || როინა-
შვილი, დუშეთის რ.
- როკეტლიშვილ-ი (თბ., 16. XI. 1963. 2), || როკეტლიშვილი,
სადაურობის სიტყვა როკეტელი, როკეთი ნასოფლარია
ასპინძის რაიონში, შდრ. როკითი, სოფელი შაიაკოვსკის
რაიონში.
- როლაშვილ-ი (სოფლ. ცხ., 8. V. 1967. 1), ჯუგაანი (სიღნაღის რ.).
- რომანაძე (კომ., 14. II. 1978. 2), ქობულეთის რ.; საჯ. სახ. რო-
მანა; || რომანიშვილი (თბ., 6. I. 1968. 4).
- რომაშვილ-ი თბ., 25. X. 1973. 4), || რომიშვილი (თბ., 2.
IX. 1965. 3); საგარ. საჯ. სახ. რომა (შემოკლ. რომანი).
- რომელაშვილ-ი (თბ., 31. I. 1964. 1), დიცი (გორის რ.), ერედვი
(ცხინვალის რ.); საჯ. სახ. რომელა (ლლ. სახელ.).
- რონიკაშვილ-ი (თბ., 11. XI. 1973. 4).
- როსებაშვილ-ი (თბ., 20. VI. 1968. 4), ქვემო გომი (ცაპის რ.);
ქ. გორი; საჯ. სახ. როსებ (ლლ. სახელ.), როსები.
- როსნაძე (თბ., 5. V. 1967. 4), მუხლი (ამბროლაურის რ.); —როსა-

- ნაძე—როსანასძე; საჯ. სახ. როსანა, შდრ. როსან: „როსან და როდია“ (შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“).
- როსტიაშვილ-ი, (თბ. 14. VIII. 1964. 4), კახი (საინგილო, აზერბაიჯანის სსრ), ძეგვი (მცხეთის რ.), დუშეთის რ.; საჯ. სახ. როსტია.
- როსტომაშვილ-ი, კურდღელაური, ფშაველი (თელავის რ.), ნინოწმინდა (საგარეჯოს რ.) და სხვ., ამავე ძირისაა: „როსტომაია, როსტომაული, როსტომიძე, როსტომვილი (როსტო—შემოკლ. როსტომი).
- როყვა (კომ., 16. XI. 1967. 3), ჩონატაურის რ.; — ყვა-ჩერქეზულადილეური ელემენტია (ს. ჯანაშია), შდრ. ირთილაყვა, ინგოროყვა და მისთ.
- როშკელ-ი (თბ., 21. II. 1964. 3), გვარადქცეული სადაურობის სიტყვა. როშკა სოფელია ხევსურეთში (დუშეთის რ.).
- როშნიაშვილ-ი (კომ., 17. III. 1967. 4); შდრ. საჯ. სახ. როშნე (ლეონიძე, სახელ).
- როჭიკაშვილ-ი (თბ., 17. V. 1968. 4); სავარ. მეტსახ. როჭიკა: როჭიკი, ზგდი მნიშვნ. ულუფა, საზოდო, ქირა, ჯამაგირი (ქეგლ).
- რუაძე (თბ., 14. X. 1967. 4), ჩუმლაყი (გურჯაანის რ.); სავარ. საჯ. სახ. რუა.
- რუბაშვილ-ი (თბ., 4. II. 1964. 4), ძალისი (მცხეთის რ.); სავარ. საჯ. სახ. რუბა.
- რურუა (თბ., 18. III. 1964. 3), გეგეჭკორის რ.
- რუხაძე, საჯ. სახ. რუსა (შაქ. ფშაუი, 148); უძველესი სახელია, მოხსენიებულია ურარტულ წარწერებში (რუსა I, რუსა II. გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 100, 101), ამავე ძირისაა: რუსიშვილი, რუსიეშვილი (ლანჩხუთის რ.), რუსაიშვილი, რუსია, რუსიაშვილი, რუსიტაშვილი. ჩამოთვლილთა შორის ზოგი რუსის აღმნიშვნელად უნდა ჩაითვალოს.
- რუხაძე, კონტუათი (წულუკიძის რ.), ქვიტბრი (წყალტუბოს რ.), (გავრც.);
- რცხილაძე (თბ., 14. VI. 1967. 3); საჯ. სახელადქცეული ხის ჯიშის აღმნიშვნელი სიტყვა—რცხილა.

- საათაშვილ-ი** (კომ., 30. VIII. 1963. 2), რუისი (ქარელის რ.).
მარტყოფი (გარდაბნის რ.), საჯ. სახ. საათა.
- სააკაძე** (თბ., 11. II. 1965. 1; ქართლ. ცხ., IV. 34, 35). ისტორიული ცნობებით სააკაძენი ადრე ტანის ხეობაში სახლებულან (გორის რ.), მე-16 ს-ის ბოლოდან ნოსტეში გადასახლებულან (კასპის რ.). გიორგი სააკაძის შემდეგ მათი შთამომავალნი თარხან-მოურავად იწოდებოდნენ, დღეს თარხანიშვილებად არიან ცნობილნი (გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964. გვ. 20—34).
- სამიშვილ-ი** (სოფლ. ცხ., 4. IX. 1974. 4), კასპის რ.; საჯ. სახ. საამ, საამში (ლლ. სახელ.), სააკაძეთა ერთ-ერთი შტო.
- საანიშვილ-ი** (თბ., 18. IX. 1971. 4), ახალციხე, თბილისი.
- საბანაძე** (თბ., 25. I. 1964. 4), ამბროლაურის რ.; საჯ. სახ. საბანა; || საბანიძე, საჯ. სახ. საბანი; შდრ. იოანე საბანის ძე (მწერალი, VIII ს.).
- საბაშვილ-ი** (თბ., 9. XII. 1963. 3), ბათუმი, ქუთაისი; ამავე ძირისაა: საბაშვილი, საბაძე, საბიშვილი.
- საბახტარაშვილ-ი** (კომ., 2. XI. 1967. 2), ცხაქიას და გეგეჭკორის რ.; საჯ. სახ. საბახტარ || საბაქთარ (ლლ. სახელ.). ეს სახელი მოსხენიებული აქვს ე. შარდენს (XVII ს.); „ჩვენ თავი შევადარეთ ერთ ციხე-სიმაგრეს. იგი ეკუთვნოდა ერთ ბატონს, რომელსაც სახელად საბახტარი ერქვა“ (შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, თბ., 1975 წ. გვ. 231).
- საბეკია** (მებრძოლი გუშაგი, 21. XI. 1967. 3), ზუგდიდის რ.
- საბელაშვილ-ი** (თბ., 28. XII. 1976. 4), სავარ. საჯ. სახ. საბელა, შდრ. სამბელა, ამავე ძირისაა: საბელუა, საბელუა.
- საბრალოშვილ-ი** (თბ.; 13. VII. 1968. 4), ყვარლის რ., ეფემისტური საჯ. სახ. საბრალი (ლლ. სახელ).
- საგანელიძე**, ამბროლაურის და ონის რ.; საჯ. სახ. საგანელი.
- საგინაშვილ-ი**, ანაგა (სიღნაღის რ.), მცხეთა და სხვ.; საჯ. სახელადქცეული ანტიკური ეთნონიმი საგინა. პროკოპი კესარიელის ცნობით (VI. ს. ჩვ. წ. ა.) ჯიქებს ზემოთ საგინები „საგინა“ ცხოვრობდნენ (ჯავახიშვილი, ქ. ერ. ისტ., 1, 1960, 427), ამავე ძირისაა საგინაძე.

- საგიშვილ-ი**, ზემო ალვანი (ახმეტის რ.); საჯ. სახ. საგი (მაკ. თუშეთი, 163).
- სადლაშვილ-ი** (თბ., 23, XI. 1963, 4); საჯარ. საჯ. სახ. სადალა.
- სადიაშვილ-ი** (მაკ. ფშავი, 11); საჯარ. სახ. სადია.
- სადიკიშ-ი**, ახალი ათონი (გაგრის რ.); მთქმელი ჯამჭერ სადიკიშ-ი. (გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები...). ჭანური აგებულები-საა, იშ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი კუთვნილება-წარმო-მავლობას გამოხატავს.
- სადილიან-ი** (ლიტ. საქ., 15, XII. 1967, 4).
- სადუნეშვილ-ი** (თბ., 6, VI. 1967, 3), მერჯევი (საჩხერის რ.), ჭია-თურის საქ. საბჭო; სადუნე—„სხუა და სხუა ენის მცოდინარე კაცი“ (საბა).
- სადლობელაშვილ-ი** (თბ., 8, III. 1969, 4), ჭალა (საჩხერის რ.); საზოგადო სახელისაგან სადლობელი (=სადღეველი), საფიქრებელია გვარეულობის წინაპრები სადღეველის მკეთებელნი იყვნენ.
- საფანელ-ი** (თბ., 12, V. 1964, 4), გვარადქცეული სადაურობის სიტყვა; საფანე სოფელია საჩხერის რაიონში.
- საფარსამიძე**, თბილისი; მოხსენიებულია „ამირან-დარეჯანიანში“.
- საზანდრიშვილ-ი** (თბ., 19, III. 1968, 4), საჯარ. საჯ. სახ. საზანდარი (საზის დამკვრელი, მემუსიკე).
- საითიძე** (თბ., 20, III. 1968, 2), საჯ. სახ. საითი; || საითაძე (კომ., 31, V. 1966, 3).
- საიქვაძე** (კომ., 15, I. 1970, 3), გავაზი (ყვარლის რ.); || საიქოძე, გურჯაანის რ.
- საკანდელიძე** (თბ., 14, VI. 1967, 1), ქუთაისი; ფუძე საკანდელი სადაურობის მაჩვენებელი სიტყვა უნდა იყოს (შდრ. ტოპონიმი სკანდა—საკანდა—საკანთა):
- საკნელაშვილ-ი**, კახისთავი (კახის რ., საინგილო); საჯ. სახელად-ქცეული სიტყვა საკნელა (საეპარუდებელია ტოპონიმი საკანი).
- სალამაშვილ-ი** (სოფლ. ცხ., 7, II. 1973, 4), ქვემო ჭალა (კასპის რ.).
- სალარიძე**, გომარეთი (დმანისის რ.) და სხვა; თანამდებობის ტერმინი „სალარ“ (სპარს)—უფროსი, მეთაური, უზუცესი (ბერძენიშვ., საქ. ისტ. საჯ. I, 95), აქედანვეა ბგერათვალს-მით მიღებული სარალიძე (ჭუმბ. 45).
- სალაძე** (თბ., 22, III. 1965, 4), საჯ. სახ. სალა (ლ. 3; 85); შდრ.

- სალი (ლლ. სახელ). ამავე ძირისაა: სალაია, სალია, სალიაშვილი, სალიბეგაშვილი.
- სალიბიშვილი-ი (თბ., 1. IV. 1977. 4), მჭადიჯვარი (ღუშეთის რ.), შდრ. საჯ. სახ. სალბეი (ლლ. სახელ).
- სალთუციშვილი-ი (თბ., 17. XII. 1963. 4), დიდი ლილო (გარდაბნის რ.); ||სალთუხუცესისშვილი (ქავთ. 125). ძველი თანამდებობის ტერმინი სახლთუხუცესი.
- სალუქაშვილი-ი (კომ., 1. XI. 1963.); სავარ. საჯ. სახ. სალუქა; სალუქი; ზგდი მნიშვნ.: კობტა, მოხდენილი, ნაზი, ფაქიზი (ქეგლ), შესაძლებელია მიღებული იყოს სალუქვაშვილისაგან, იხ. სალუქვაძე.
- სალუქვაძე (კომ., 17. V. 1966. 3); გურია; წარმოქმნილი ფუძე სალუქვაძე რერქულ-ადილეური დაბოლოება, შდრ. ბოლქვაძე, თალაქვაძე (ს. ჯანაშია).
- სალხინაშვილი-ი (თბ., 10. 1. 1974. 4); ერთაწმინდა, ახალქალაქი (ქასპის რ.); სავარ. საჯ. სახ. სალხინა.
- სამადალაშვილი-ი, გორის რ.; შდრ. საჯ. სახ. სამადავლე („ამირანდარეჯანიანი“), —სამადავლაშვილი. 1259 წ. რკონის სიგელში მოხსენიებულია საჰამადავლა (ქორდ. ქრონიკ., 134).
- სამადაშვილი-ი (კომ., 30. XI. 1967. 3), თელავის რ.; საჯ. სახ. სამადა (ლლ. სახელ.), შდრ. სოფლის სახ; სამადა (ადიგენის რ.), ამავე ძირისაა: სამადაძე, ჩუნჩხა (ახალქალაქის რ.); ||სამატაძე (თბ., 28. X. 1972. 4).
- სამანიშვილი-ი (თბ. 16. V. 1967. 4); საზანო (თერჯოლის რ.); საჯ. სახ. სამანა (ლლ. სახელ.); დ. კლდიაშვილის მოთხრობის პერსონაჟი ბეკინა სამანიშვილი.
- სამარგულიანი-ი (თბ., 3. III. 1978. 4), ლაღიში (ამბროლაურის რ.).
- სამარლანიშვილი-ი (თბ., 7. I. 1967. 4); ავლევი (ქარელის რ.); საჯ. სახ. სამარლანი (ლეონ. სახელ.), ||სამარგანიშვილი (თბ., 29. IV. 1965. 1).
- სამაშვილი-ი (კომ., 24. VIII. 1968. 2); შდრ. საჯ. სახ. სამი (—სამი—სამ, სპარს).
- სამებელაშვილი-ი (თბ., 10. I. 1973. 4); გვარაძეცული სადაურობის სიტყვა სამებელი: სამება სოფელია ჩოხატაურისა და ხელვაჩაურის რაიონებში, შესაძლებელია შეცუპების გზით

აქედანვე იყო მიღებული **სამბელაშვილი**, თუმცა
 სამბელაშვილი, სახელიც არის.
სამელია (მეზრდ. გუშაგი, 28. XI. 1967. 3), ზუგდიდის რ.; ||სამ-
 ბელია, სამბელ—სამველ—სამუელ, შდრ. სამველიძე.
სამხთოშვილი-ი, სართიჭალა (ვარდაბნის რ.); საჯ. სახელადქცეული
 ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა სამღვთო (ღვთისადმი შე-
 წირული, სამსხვერპლო), შდრ. შეწირული, ამავე ძირი-
 საა სამხთუაშვილი, წინოწმინდა (საგარეჯოს რ.).
სანადირაძე (ლიტ. ვაზ., 5. XII. 1963. 3), ვანის რ.; საჯ. სახ. სა-
 ნადირა. (ტბეთის სულთა მატთანე, მოსახსენ. № 231).
სანაია, ახუთი (ჩხოროწყუს რ.); საჯ. სახ. სანა, ამავე ძირისაა:
 სანაძე, სანიაშვილი, სანიშვილი, სანოძე.
სანდომისაშვილი-ი (თბ., 7. VII. 1978. 4), საქობო (სიღნაღის რ.),
 შდრ. ზედი მწმუნ. სიტყვა სანდომიანი.
სანდაძე (წით. ღროშა, 30. XI. 1965. 4), ახალქალაქის რ. (სანდ-
 რას ძე?); ამავე ძირისაა სანდოძე (თბ., 6. III. 1967. 4).
სანებლიძე (თბ., 29. XII. 1967. 4), ხონჭოორი (ამბროლაურის რ.).
სანთელაძე, სამთელაძე; საჯ. სახ. სანთელა (ლ. სა-
 ხელ).
სანიკიძე (კომ., 29. X. 1967. 2), ოფეთი (სამტრედიის რ.); ზემო-
 სურები (ჩოხატაურის რ.); საჯ. სახელადქცეული ძველი ეთ-
 ნონიმი სანიკი (||სანიკი), შდრ. ძველ ბერძნულ წყა-
 როებში მოხსენიებული სანიკები, სანები.
სარაშვილი-ი, უღე (ადიგენის რ.); საჯ. სახ. სარა; ამავე ძირისაა:
 სარავეა, სარაული, სარაძე, სარიაშვილი, სა-
 რია.
სარაჯიშვილი-ი (კომ., 12. XI. 1963. 4), თბილისი; პროფესია-ზე-
 ლობის ტერმინი სარაჯი (არაბ.), უნაგირისა და ცხენის
 სხვა საკაზმის მკეთებელი, მეუნაგირე (ქეგლ).
სარდალიშვილი-ი (თბ., 10. VII. 1968. 4), ზესტაფონის რ.; თანა-
 მდებობის სიტყვა სარდალი||სარდალაშვილი;
 ამავე ძირისაა: სარდლიშვილი (თბ., 28. II. 1970. 4).
სარდარაძე (კომ., 8. XII. 1963. 1), თერჯოლის რ.; საჯ. სახ. სარ-
 დარა, ამავე ძირისაა სარდარაშვილი.
სართანია (კომ., 15. II. 1968. 2); საჯ. სახ. ხსართან;—ხსარ-
 თანია (ანდრონიკაშვილი, ნარკვ., 512, 513), შდრ. აღსარ-
 თან (ქ. ცხ. IV, 156, 563...).

- სარიშვილი**-ი (კომ., 16. V. 1964. 2); გულიანი (ლანჩხუთის რ.), ნავომარი (მახარაძის რ.); შდრ.-თურქ. Sari; ყვითელი, მესხურად სარი=ქერა; ამავე ძირისაა: სარია, სარიაშვილი.
- სარსანია** (კომ., 7. III. 1967. 1), ზუგდიდის რ.
- სარსევანიძე** (თბ. 7. II. 1974. 4), გომარეთი (დმანისის რ.), გამარჯვება (წითელწყაროს რ.); საქ. სახ. სარსევანი.
- სარჩიმელია** (თბ., 6. I. 1968. 4), აბასთუმანი (ზუგდიდის რ.); ||სარჩიმელია. რთული აგებულების საქ. სახ. სარჩიმელი (სარჩი+მელ). შდრ. ამავე ბოლოსართიანი ფუძეები გვარებში: დარცმელია, ოქრომელიძე, ჯარიმელიაშვილი.
- სარჩიშვილი**-ი (დროშა, № 8, 1967. 16); სავარ. საქ. სახ. სარჩელი, შდრ. სარჯელია (ლლ. სახელ.), შდრ. საჩიშვილი.
- სარჯველაძე** (თბ., 4. VIII. 1964.), ჩიბათი, ლესა (ლანჩხუთის რ.); შდრ. საქ. სახ. სარჯელია (ლლ. სახელ.)
- სასურქინაშვილი**-ი, ვარდისუბანი (თელავის რ.); წარმომდგარია მეტსახელისაგან ცასურქინა, რომელიც დადასტურებულია გვარში ცასურქინაშვილი (ჯავახიშვი. ეკ. ისტ. ძეგლი...).
- სასწრაფოშვილი**-ი, პატარძელი (საგარეჯოს რ.); შერქმეული გვარია, ძველად ცხვარიაშვილები ყოფილან (ინფორმატორი ოთარ სასწრაფოშვილი, 1972 წ. საგარეჯო).
- სატანაშვილი**-ი (სოფლ. ცხ., 2. IX. 1977. 4), ვეჯინი (გურჯაანის რ.); მეტსახ. სატანა (ეშმაკი).
- საფარაშვილი**-ი (კომ., 18. VII. 1963. 4), ახალციხე, თბილისი; თურქ. საქ. სახ. საფარ, საფარა. შდრ. ახერბ. საფაროვ, სომხ. საფარიან; ამავე ძირისაა საფარიძე (კომ., 12. X. 1967. 4).
- საქიძე** (ასპინძა, 18. II. 1967. 3); ამავე ძირისაა საქანია (კომ., 14. II. 1970. 2), კვატოული (ოჩამჩირის რ.), შდრ. საიქიძე.
- სალარაძე** (კომ., 10. X. 1964. 4); საქ. სახ. სალარა, ზგდი მწუნ. სალარი „შუბლთეთრი ცხენი“ (საბა), ამავე ძირისაა სალარეიშვილი, ლანჩხუთის რ.
- სალირაშვილი**-ი (თბ., 5. IV. 1966. 4), წულუკიძის რ. და სხვ.; სა-

- ღირი საკ. სახ. ხეესურეთში, „სალირ კოლონკელიძე“ (ქართ. ცხ. II, 94); ზგდი. მნშვნ. ყრუ (თურქ.- ჭუმბ, 44); ამავე ძირისაა საღრიშვილი (თბ. 10. VII. 1971. 4), დიხაშხო (ვანის რ.), საღრიშვილი, საღრიძე, იმერხევი (← საღრიძე).
- საყვარელიძე** (კომ. 14. II. 1968. II), ორჯონიკიძის რ.; საკ. სახ. საყვარელი, საყვარელა (ღლ. სახელ.), ამავე ძირისაა საყვარელაშვილი (თიანეთის რ.).
- საჩაღელი-ი** (კომ., 7. VII. 1964. 3), ქვემო ჭალა (კასპის რ.); გვარადქცეული სადაურობის სიტყვა, საჩაღე სოფელია ახმეტის რაიონში.
- საჩეღელაშვილი-ი**, კარდენახი, გურჯაანის რ.; საჩეღელა საჩეღელის მკეთებლის მეტსახელი.
- საჩიშვილი-ი** (თბ., 19. XII. 1977. 4), ქ. თელავი; იხ. სარჩილიშვილი
- საცერაძე** (თბ., 15. III. 1968. 3), საზანო (ზესტაფონის რ.); საცერა საცერის მკეთებლის მეტსახელი.
- საძაღლიშვილი-ი** (თბ., 10. I. 1964. 1), ნიქოზი (ცხინვალის რ.); გადმოცემით, ძველი გვარი ჯონაძე ყოფილა. ერთ-ერთ უმას, ჯონაძეს, ბატონის უნებართვოდ ცოლი შეურთავს, ბატონი გასჯავრებია და მისთვის საძაღლიშვილი შეურქმევია (ინფორმატორი ვ. გოგოლაძე, ს. ავნევი, 1948 წ.).
- სახამბერიძე** (თბ., 21. III. 1967. 4); რთული ფუძე სახამბერი; შდრ. გოგიბერიძე, დოლაბერიძე, შალამბერიძე და მისთ. (იხ. მისურაძე, ბერ ძირი ქართულ სახელ-გვარებში. მაცნე. № 1. 1965).
- სახელაშვილი-ი** (თბ., 26. XII. 1968. 4), მაჩიტაური, ჩხარი (თერჯოლის რ.); სახელა — მამაკაცის სახელია ფშავში.
- სახეჩიძე** (თბ., I. 1964. 1), თერჯოლის რ.
- სახვაძე** უბისა (ორჯონიკიძის რ.) და სხვ.; საკ. სახ. სახვა (← სახუა); ოთია სახუაძე ბოგანო (ჯავახიშვილ., ეკ. ისტ. ძეგლი. I, 29).
- ქველაძე** (თბ., 13. XII. 1967. 3), ორჯონიძის, ბორჯომის რ-ბი;
ძვ. საქ. სახ. ქველი, ქველა; || ქველიძე. ამავე ძირისაა:
ქველიაშვილი.
- ქვლივიძე**, საგარეჯოს რ., კავთისხევი (კასპის რ.); შდრ. საქ. სახ.
ქველივა (ინგორ. თხზ. I; 742); „ქვლივის ძე მათე“ მო-
ხსენიებულია 1494 წ. ქვათახევის სიგელში (კაკაბაძე, ის-
ტორ. საბუთები, წ. II, 24).
- ქვრივიშვილ-ი**, დოესი (კასპის რ.), ქარელის რ. და სხვა; || ქრი-
ვიშვილი.
- ქიზიყურაშვილ-ი** (თბ., 6. I. 1969. 4), კაკაბეთი (საგარეჯოს რ.),
საქ. სახელადქეული სადაურობის სიტყვა ქიზიყურა
(ქიზიყელის მნიშვნელობით).
- ქილარჯიშვილ-ი**, ახალციხე, ქუთაისი; პროფესია-მოსაქმეობის
ტერმინი ქილარჯი (თურქ.-მეკუჭნავე).

- ქილიფთარ-ი** (თბ., 23. X. 1967. 4), სილაური, ცხემლის ხიდი (მახარაძის რ.); ქილიფდარი (სპარს.) ზღლი მწმუნ. „მნე სასმელთა, ღვინოთა, პირის მელვნი“ (ჩუბინ. ნ.); საგვაროვნო მეტსახელი („საგინებელი“) კოპეტლაცია.
- ქიმერიძე** (თბ., 6. I. 1968. 4), ხაშურის, ბორჯომის რ-ბი.; ქიმერიძეთი ნასოფლარია ბორჯომის რაიონში. ფუძე ქიმერს უძველეს ეთნონიმს ქიმერიელს უკავშირებენ.
- ქირია** (კომ., 19. II. 1964. 2), აბასთუმანი (ზუგდიდის რ.) და სხვ.; ქირი მეგრ. ქორი.
- ქიმურჯიშვილ-ი** (თბ., 24. VIII. 1967. 4), ქიმურჯი. პროფესიამოსაქმეობის თურქული ტერმინია.
- ქიმუსაძე** (თბ., 28. V. 1966. 4), დიხაშვი (ვანის რ.).
- ქინქლაძე**, აკეთი მამათი, აცანა (ლანჩხუთის რ.).
- ქინძოძე** (კომ., 19. III. 1967. 2), ქსოვრისი (მცხეთის რ.); შდრ. მეტსახ. ქინძა (ლლ. სახელ.).
- ქირიბაია** (თბ., 3. I. 1972. 4), ოტობაია (გალის რ.); ||ქირობაია (სახ. გან; 28. IX. 1977. 4).
- ქირიკაშვილ-ი** (თბ., 10. III. 1967. 4), ყაზბეგის რ.
- ქისიშვილ-ი** (თბ., 19. XII. 1968. 4), თელავის რ., გრემისხევი (ღუშეთის რ.); შდრ. ქისისხევი (სოფელი თელავის რაიონში).
- ქისტაურ-ი** (კომ. 29. X. 1964. 2); სათემო გვარი ფშავში (მაკალფშავი, 10); საკ. სახელადქცეული ეთნონიმი ქისტო. ქისტაური. სოფელიც არის თელავის რაიონში. ამავე ძირისაა ქისტოშვილი.
- ქიტესაშვილ-ი**, სიონი (თიანეთის რ.); საკ. სახ. ქიტესა (←ქრისტესა—ქრისტესია). ძველი გვარი გოგოჭური ყოფილა. გადმოცემით წინაპარნი გამოქცეულან ხევსურეთიდან, სისხლის აღების ნიადაგზე.
- ქიტიშვილ-ი** (თბ., 10. XI. 1964. 3), ამავე ძირისაა: ქიტიაშვილი, ქიტოშვილი, ქიტუაშვილი (შემოკლ. ქიტესა).
- ქიქოძე**, ბახვი (მახარაძის რ.) და სხვ.; სავარ. საკ. სახ. ქიქო (←გიქო); ამავე ძირისაა ქიქავა, სავარ. საკ. სახ. ქიქა (←გიქა—გიგა).
- ქიშმარეიშვილ-ი** (თბ., 18. III. 1964. 4), აბაშის რ.; შდრ. საკ. სახ. ქიშმერი (ლლ. სახელ.); ამავე ძირისაა: ქიშმარიაშვილი, ქიშმარია.

ქიწბაბაშვილ-ი (ავტ. მასალ.), ოქტომბერი, ყოფ. ზინობიანი (ყვარლის რ.); ამ გვარის წარმომადგენლები უდიელთა ტომს მიეკუთვნებიან.

ქლიბაძე (თბ., 18. X. 1967. 2), დილიკაური (ზესტაფონის რ.).

ქობალია, გეგეჭკორის რ.; ლექობალე სოფელია ამავე რაიონში (=საქობალიე); ქობალი მეგრ. პური; ამავე ძირისაა ქობალავა.

ქობელაშვილ-ი (თბ., 10. III. 1965. 3), დილომი (გარდაბნის რ.); საქ. სახ. ქობულა (ლლ. სახელ.).

ქობულაშვილ-ი (თბ., 16. VII. 1963. 4), ბერბუკი (გორის რ.); ამავე ძირისაა ქობულაძე, მაკვანეთი (ჩოხატაურის რ.), ქორენიში (ჯაგერის რ.), ქობულია.

ქოენიშვილ-ი (თბ., 25. VII. 1970. 4).

ქოზაშვილ-ი (ალაზნის განთ. 3. III. 1963. 3), ჯულაანი (თელავის რ.); საქ. სახ. ქოზა (ლ. 8. 3).

ქოთილაძე (სოფლ. ცხ., 18. XII. 4), ზემო ალვანი (ახმეტის რ.); ქოთლაძე; საქ. სახ. ქოთილა (ლენ., სახელ.).

ქოთოლაშვილ-ი (თბ., 3. IX. 1973. 4), ხომი (დუშეთის რ.); ქოთოლიშვილი.

ქოიავა, აბელათი (გეგეჭკორის რ.); შდრ. საქ. სახ. ქოიარ (ლენინიძე, სახელ.).

ქომეთიან-ი, ოყურეში (ჯაგერის რ.).

ქონიაძე (კომ., 5. II. 1971. 4), ბობოყვათი (ქობულეთის რ.); ამავე ძირისაა: ქონიაშვილი, ქვეში (გორის რ.);

კობილაშვილ-ი (თბ., 12. XII. 1973. 4), ნორია (გარდაბნის რ.).

ქორთაშვილ-ი (ავტ. მასალ.), ცხუტკური (წყალტუბოს რ.); ამავე ძირისაა: ქორთიაშვილი, ქორთლიშვილი, ქორთოძე, ქორთუა, ქორთუშვილი. აქ ძირეულ ელემენტად წარმოდგენილია ეთნონიმური წარმოშობის საქ. სახ. ქორთი, ქორთუ, რაც მეგრული გამოთქმაა ქართისა (ჯ. როგავა, მუუნარგიათა გვარის წარმოშობის შესახებ. ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, № 2, 1970. გვ. 18).

ქორიძე (თბ., 27. XII. 1963. 2), ბუკისციხე (ჩოხატაურის რ.)

ქორფაშვილ-ი (კომ., 24. V. 1967. 3); საქ. სახ. ქორფა, შდრ. საქ. სახ. ქურფა (თურქ. =ბატკანი).

ქორქია, ქალადიდი (ზობის რ.); საქორქიო ამ გვარით დასახლე-

- ბული სოფელია ამავე რაიონში; ამავე ძირისაა: ქორქა-
შვილი, ქორქაძე.
- ქორჩაშვილ-ი (კომ., 27. X. 1967. 4), ძევერა (გორის რ.);
- ქოსაშვილ-ი, გორის რ.; ქოსაძსძე მოხსენიებულია თამარ მე-
ფის სიგელში: „შეაზმავად“ წყაროა გლეხნი ქოსაძსძენი“
(ქორდ., ისტ. საბ. შიო მღვიმის მონასტრისა, 27).
- ქოფესაშვილ-ი (თბ., 1. IX. 1970. 4), ძაძვის მონასტერი (ქარელის
რ.).
- ქოფურაშვილ-ი (კომ., 9. X. 1971. 3), თბილისი.
- ქოქიაშვილ-ი, ვაჭირი (სიღნაღის რ.); საკ. სახ. ქოქია (მაკ. მთი-
ულ. 125), ამავე ძირისაა: ქოქიშვილი, ქოქიაური,
ქოქიაშვილი, ქოქოლაძე, ქოქუსაშვილი.
- ქოქოსაძე, (თბ., 22. I. 1967. 4), აგარა (ამბროლაურის რ.).
- ქოჩაკიძე, ქოჩაქიძე, ჭალადიდი (ხობის რ.), „ქოჩაქიძეების შო-
რეული წინაპარი ყოფილა ვინმე „ქოჩაქიძე მთავრისძე“,
რომელიც მე-12 ს-ში, თამარის მეფობის დროს, ზაქარია
შხარტყელის ხორასანში ლაშქრობისას „ქუჩაგიდან“ თუ ქუ-
ჩანგიდან მძევლად წამოუყვანია. აქ ქრისტიანული წესით მო-
უნათლავეთ, სამეგრელოში დაუსახლებიათ და შემდეგ იწოდა
თავად ქოჩაქიძედ“ (ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები,
ტ. I. სოლ. ცაიშვილის შენიშვნებითა და რედაქციით; 1954,
გვ. 411—412, იხ. აგრეთვე გიორგი ჭალადიდელო, თხზულებ-
ბანი, თბ., 1965, გვ. 235).
- ქოჩაშვილ-ი, შუაფხო (ღუშეთის რ.); საკ. სახ. ქოჩა (მაკ. ფშა-
ვი, 10), ამავე ძირისაა: ქოჩიაშვილი, ქოჩიშვილი.
- ქოჭური (კომ., 17. IV. 1970. 4), სიონი (თიანეთის რ.).
- ქრისტესიაშვილ-ი, ერედვი (ცხინვალის რ.), გომარეთი (დმანისის
რ.); ქრისტესაშვილი, (თეოფორული ვვარი).
- ქსნელაშვილ-ი, ახალსოფელი (თიანეთის რ.); საკ. სახელადქცეუ-
ლი სადაურობის სიტყვა ქსნელია; ქსანი სოფელია მცხე-
თის რაიონში.
- ქსოვრელიშვილ-ი (თბ., 15. II. 1968. 4); სადაურობის სიტყვა
ქსოვრელი; ქსოვრის სოფელია მცხეთის რაიონში II.
ქსოვრელი.
- ქუბაძე (თბ., 11. XI. 1977. 4), ქვემო ხვედურეთი (ქარელის რ.),
(იშვ.).
- ქუბრიაშვილ-ი (თბ., 26. IV. 1970. 4), ბულაჩაური (ღუშეთის რ.).
ქუთათელაძე (კომ., 19. XII. 1963. 4), ჩუნეში (წყალტუბოს

რ.), წულუკიძის რ., ქ. ქუთაისი და სხვ. (გავრც.); საქ. სახელ-
 ლაღქცეული სადაურობის სიტყვა ქუთათელა.
ქუთარაშვილი-ი (თბ., 11. VI. 1968. 4), სიღნაღის რ.; შდრ. საქ. სახ.
 ქუთარ, ქუთარი (ლლ. სახელ.).
ქუმბარაშვილი-ი (თბ., 22. X. 1979. 4), ძეგვი (მცხეთის რ.),
ქუმელაშვილი-ი, (თბ., VII. 1967. 4), ქახვრელი (გორის რ.),
ქუმსიშვილი-ი, დუშეთის რ.; საქ. სახ. ქუმსი (შაპ-ნამეს პერსონ-
 ნაჟი); გადმოცემით წინარე გვარი ლუდუშაური ყოფი-
 ლა, რომელიც წინაპართა ორი სახელის—ქუმსისა და რაზიკას
 მიხედვით ორად განშტოებულა—ქუმსიშვილად და რაზიკა-
 შვილად (ინფორმატორი—დიმიტრი ქუმსიშვილი, 1978 წ.).
ქურასპედიანი-ი (ჩარკვ. სენენთი, 240), ლენტეხის რ.; || ქურას-
 პედიანი.
ქურდაშვილი-ი ეთნონიმი „ქურდნი“ (ყუკელ. ეტიოდ. I, 179); ამა-
 ვე ძირისაა: ქურდაძე, ქურდიანი, ქურდობაძე.
ქურთიშვილი-ი (თბ., 10. II. 1969. 2), გომი (ქარელის რ.).
ქურცაძე (კომ., 10. III. 1971. 4), საჩხერის რ.; სავარ. საქ. სახ.
 ქურცა.
ქურციკიძე (თბ., 14. II. 1968. 2), საქარა (ზესტაფონის რ.) საქ.
 სახელადქცეული ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა; შდრ.
 ქურსიკი (საკ. ფშავი, 148); ამავე ძირისაა ქურციკა-
 შვილი.
ქურხაშვილი-ი (თბ., 3. V. 1965. 3), V. 1965. 3), სიღნაღის რ., სა-
 ვარ. საქ. სახ. ქურხა, ამავე ძირისაა: ქურხაძე, ქურ-
 ხული, ქურხულიშვილი.
ქუსიკაშვილი-ი (კომ., 14. II. 1967. 3), ანაგა (სიღნაღის რ.); ამავე
 ძირისაა ქუსიკაშვილი (თბ., 2. III. 1968. 4).
ქუფარაშვილი-ი (თბ., 14. I. 1966. 4), ნუკრიანი (სიღნაღის რ.);
 ქუფრაშვილი (კომ., 25. IX. 1969. 4).
ქუქალია (თბ., 7. V. 1972. 4), მაიღანი (აბაშის რ.).
ქუქიშვილი-ი (კომ., 30. VIII. 1978. 4), ვერგეტი (ყაზბეგის რ.).
ქუშხველი-ი (სოფლ. ცხ., 13. III. 1965. 3); გვარადქცეული სა-
 დაურობის სიტყვა, ქუშხვეი სოფელია თიანეთის რაიონში.
ქუჩუბერია (კომ., 19. XI. 1969. 1); რთული ფუძე ქუჩუბერი,
 საქ. სახ. ქუჩა+საგვაროვანო დაბოლოება ბერ. შდრ. ქუ-
 ჩულორია.
ქუჩუკაშვილი-ი, ბრეთი (ქარელის რ.), საქ. სახ. ქუჩუკა, „ქუ-
 ჩუკ“—თურქ. მცირე, პატარა).

ქუძიაშვილ-ი (თბ. 6. XII. 1967. 4), სავარ. საჯ. სახ. ქუძიაშვილი. შდრ. ქუძეშვილი (თბ., 27. IX. 1973. 4).
 ქუხილავა (კომ., 20. XI. 1964. 3), ზუგდიდის რ.; შესაძლებელია წარმომდგარი იყოს ქურხილავა-სავან (სავარ. საჯ. სახ. ქურხილა: ქურხი+ბლსკოთი—ილა); შდრ. ქურხაძე, ქურხელი, ქურხაშვილი.
 ქუჯაშვილ-ი (ავტ. მასალ.), ყაზბეგის რ.; საჯ. სახ. ქუჯა, ქუჯი; ||ქუჯიშვილი.
 ქუტაშვილ-ი (თბ., 15. XII. 1967. 4), ბოდბისხევი (სიღნაღის რ.).

ღ

ღაღუაშვილ-ი (27. I. 1975. 4), შდრ. საჯ. სახ. ღაღუ.
 ღავაძე (თბ., 20. I. 1964. 1); ითხვისი (ჭიათურის საქ. საბჭო); სავარ. საჯ. სახ. ღავთა, ღავთა (იხ. ზავთასი).
 ღაზნელიშვილ-ი (ავტ. მასალ.); გვარადქცეული საღაფრობის სიტყვა ღაზნელი (ღაზნა უძველესი ქალაქი ახლო აღმოსავლეთში).
 ღალიაშვილ-ი, მეტეხი (კასპის რ.); შდრ. საჯ. სახ. ღალი (ღლ. სახელ.); ამავე ძირისაა ღალაძე.
 ღამბაშიძე, დიმი (ზესტაფონის რ.).
 ღაფონია (თბ., 11. V. 1971. 4), დვაბზუ (მანარაძის რ.); ||გაფონია.
 ღარიბაშვილ-ი (თბ., 7. VI. 1972. 4), ვაზისუბანი (გურჯაანის რ.); ევფემისტ. საჯ. სახ. ღარიბა.
 ღალანიძე (ლიტ. საქ., 29. XI. 1963. 2), ღანირი (სამტრედიის რ.).
 ღალიაშვილ-ი კომ., 4. VII. 1971. 3), ბობოყვათი (ქობულეთის რ.); ||ღალაშვილი, საჯ. სახ. ღალა (ინგორ. სვანეთის საისტ. ძეგლ. II, 136).
 ღაძაძე (თბ., XII. 1966. 4), მეჭვრისხევი (გორის რ.).
 ღელაღუტაშვილ-ი (თბ., 25. I. 1972. 4), შილდა (ყვარლის რ.); სავარ. მეტსახ. ღელაღუტა, ||ღელეღუტაშვილი (კომ., 24. I. 1965. 4), საბუე (ყვარლის რ.).
 ღელეჟვა (სოფლ. ცხ., 19. IX. 1968. 3), მახარაძის რ.; ჩერქეზული სუფიქსაციის გვარსახელი (ჯანაშია, შრ. III, 485), ანალოგიურია: ართილაყვა, ინგოროყვა, როყვა...
 ღერკენაშვილ-ი (თბ., 25. II. 1964. 1), ზეითი (ონის რ.).
 ღვაბერიძე (თბ., 12. VIII. 1969. 4), სუხჩა (წულუკიძის რ.); ბერძინის შემცველი რთულფუძიანი გვარსახელი (იხ. ი. მაისუ-

რაძე, ბერ ძირი ქართულ სახელ-გვარებში, მაცნე № 1 1965).
 შდრ. ღვაბრაძე ფუძე: ღვაბრა (←ღვაბერა).
 ღვალაძე (თბ., 15. II. 1968. 4), ობჩა (მაიაკოვსკის რ.), სალიეთი
 (ჭიათურის საქ. საბჭო); შდრ. საქ. სახ. ღვაალ (ბერძენიშვ.
 საქ. ისტ. საქ. III, 175); ←ღვალაძე; შდრ. ლოლოძე (იხ.).
 ღვანიძე (თბ., 1. VIII. 1972. 4). ზესტაფონის რ.
 ღვამბერია (თბ., 3. II. 1969. 3), ცხაკაიას რ.; იხ. ღვაბერიძე
 (აქ თანხმობანი მ ჩამატებული ჩანს).
 ღვარჩლიან-ი (კომ., 13. XI. 1966. 3), უშგული (მესტიის რ.); ||
 ღვაჩლიანი (თბ., 28. VIII. 1975. 4).
 ღვედაშვილ-ი (კომ., 7. III. 1967. 3), ტიბაანი, ფანიანი (სიღნა-
 ლის რ.); საფარ. საქ. სახ. ღვედა.
 ღვთისავრიშვილ-ი (თბ., 13. I. 1970. 4), სიღნაღის რ.; თეოფორუ-
 ლი საქ. სახ. ღვთისავარ (ღვთის სახელზე განსაზრდე-
 ლი), (იხ. შანიძე, თეოფორული სახელები. მაცნე, № 2, 1967,
 276). || ღვთისავარაშვილი (ივერია, № 5, 1894 წ., კო-
 რესპონდენცია „ტიბაანი“).
 ღვთისაშვილ-ი (თბ., 31. III. 1967. 3), საგარეჯოს რ.; თეოფორუ-
 ლი საქ. სახ. ღვთისა.
 ღვინაძე (სოფლ. ცხ., 12. IX. 1965. 3), ქიწნისი (გორის რ.); საქ.
 სახ. ღვინა, ამავე ძირისაა ღვინიაშვილი.
 ღვინერია (თბ., 24. III. 1967. 4).
 ღვინეფაძე ზედა სიმონეთი, ბარდუბანი (თერჯოლის რ.).
 ღვინიანიძე (კომ., 13. XII. 1964. 4), როხი (მაიაკოვსკის რ.).
 ღვინტიძე (თბ., 22. IX. 1969. 4), ვანის რ.
 ღვინცაძე (თბ., 20. I. 1967. 4), წულუკიძის რ.
 ღვინჯილია (კომ., 11. XI. 1967. 2), ახალსოფელი (ცხაკაიას რ.).
 ღიბრაძე (კომ., 14. XI. 1967. 1), სვირი, ალავერდი (ზესტაფონის
 რ.); საქ. სახ. ღიბრა (←ღიბრა), || ღიმიძრაძე (თბ.,
 21. V. 1970. 3).
 ღინტური, მეჯვრისხევი (გორის რ.); წარმოშობით მთიულეთიდან.
 ბორჯომის რაიონში არის ამავე სახელის სოფელი.
 ღირდალაძე (თბ., 16. XII. 1963. 4), ოფეთი (სამტრედიის რ.).
 ღირსიაშვილ-ი (თბ., 24. V. 1966. 2), ანაგა (სიღნაღის რ.).
 ღლიღვიშვილ-ი (კომ., 8. VII. 1972. 2), ანაგა (სიღნაღის რ.); ეთ-
 ნონიმი, ღლიღვი იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა
 ჩეჩნეთ-ინგუშების ძველი სახელწოდება (ქეგლ).
 ღლონტ-ი დვაბზუ (მახარაძის რ.); შდრ. საქ. სახ. ღლონტი (ღლ.

სახელ.); გამოთქმულია ვარაუდო ღლონტისმრავლობითი რიცხვის გენეტიური ფორმიდან გამოყვანის შესახებ ამგვარი გზით: ღოლოძე — ღლოლიანი — ღლოლიანი — ღლონთი. ამავე სტრუქტურის ერთეულებად მიბნეულია ჯიბუტი და ელენტი (მაისურაძე, სპეციფიკური წარმოების ზოგიერთი ქართული გვარის სტრუქტურისათვის, საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, II, 1974).

ღოთვაძე (თბ., 17. VI. 1966. 4), ქვემო ბარი (ამბროლაურის რ.).

ღოლოძე (თბ., 30. III. 1974. 4), სადმელი (ამბროლაურის რ.);

ამავე ძირისაა: ღოლოძე (თბ., 2. XI. 1966. 4), — ღვალაძე.

ღონიაშვილი-ი (თბ., 3. II. 1964. 4), ყვარლის რ.; მოხსენიებულია ბერძნის ოთხთავის მინაწერებში (ტურაშვილი ი., ბერძნის ოთხთავის მინაწერები, მნათობი, № 7, 1979, გვ. 190).

ღონიერაშვილი-ი, კუდო--ხალიანა (დუშეთის რ.), მაკ., ფშავი, II).

ღონლაძე (თბ., 11. V. 1968. 4), ბორითი, წიფა, ღოლათუბანი (ორჯონიძის რ.); საქ. სახ. ღოლა; ღოლათუბანი ამავე გვართ დასახელებული სოფელია.

ღორაშვილი-ი (თბ., 23. III. 1977. 4), მირზანის (წითელწყაროს რ.);

ამავე ძირისაა ღორიაშვილი, ველისციხე (გურჯაანის რ.).

ღორთქლიშვილი-ი (კომ., 14. II. 1968. 2), გურჯაანის რ.

ღოდელიანი-ი (კომ., 15. III. 1964. 4), ჭრებალო (ამბროლაურის რ.).

ღოდობერიძე, რგანი (ქიანურის საქ. საბჭო.), ხომური (თერჯოლის რ.); ბერძნის შემცველი რთულფუძიანი გვარი. — ღოდობერიძე (იხ. მაისურაძე, ბერძნის ქართულ სახელ-გვარებში, მაცნე, № 2, 145).

ღრეულ-ი (თბ., 18. XII. 1972. 4), გიორგიწმინდა (საგარეჯოს რ.) (იშვ.).

ღრუბელაშვილი-ი (თბ., 28. XI. 1963. 4), შემოქმედი (მახარაძის რ.); საქ. სახ. ღრუბელა (მაკალ. ხევს. 148); || ღრუბელაძე (თბ., 16. XI. 1973. 4).

ღუბიანური (სოფლ. ცხ., 8. VI. 1968. 1), ზემოქედი (წითელწყაროს რ.).

ღუღუმიძე (თბ., 13. XI. 1967. 4), კრიხი (ამბროლაურის რ.); || ღუღუმაძე, ბუშეტი (თელავის რ.).

ღუღუშაური-ი (თბ., 11. V. 1967. 4), ყაზბეგის რ.; შდრ. საქ. სახ. ღუღი, ღუღა, ღუღუში (ლლ. სახელ.).

- ღულაძე**, ტყიბულის საქ. საბჭო; სავარ. საქ. სახ. ღულა.
- ღულელაურ-ი** (კომ., 21. IV. 4), ალვანი (ახმეტის რ.); საქ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა ღულელა; ღული სოფელია ხევსურეთში, ღულელები კი თიანეთის რაიონში, სადაც ღულიდან გამოსახლებულნი ცხოვრობენ.
- ღუნაშვილ-ი** (თბ., 4. V. 1965. 4), თბილისი (წყალტუბოს ქ. № 15);
||ღუნაშვილი.
- ღუნციკიძე**, შრომა (ლაგოდების რ.); გადმოცემით ძველი გვარი გუნცაძე ყოფილა, წინაპრები ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითიდან გადმოსულან (ინფორმატორი—მასწ. ქ. სასურჭინაშვილი. 1972).
- ღურწყაია** (კომ., 14. VII. 1965. 3), აბელათი (გეგეჭკორის რ.).
- ღურჭუმელია** (სოფლ. ცხ., 10. II. 1967. 3), მალლაკი (წყალტუბოს რ.); ანალოგიური (მელ-დაბრლოებიანი) გვარსახელება: დარციმელია, სარჩიმელია, ოქრომელიძე და სხვ; ამავე ძირისაა: ღუნჭუმალიძე, ღურჯუმალიძე.
- ღუტიშვილ-ი** (სოფლ. ცხ., 6. VI. 1978. 4), გრემი (თელავის რ.); ამავე ძირისაა ღუტიძე (თბ., 25. XII. 1963. 4).
- ღუღუნაშვილ-ი** (||ღუღუნაშვილი, მღვიმევი (ჭიათურის საქ. საბჭო); საქ. სახ. ღუღუნ მოხსენიებულია თამარ შეფის 1202 წ. სიგელში: „მეცა მწირი ღუღუნ ყოფილი ნიკოლოზ მოწმავე ვარ“ (ქორდ. ისტ. საბ. შიო-მღვ. მონასტრისა, 25); ამავე ძირისაა: ღუღუნაძე.
- ღუჭაშვილ-ი** (თბ., 13. I. 1973. 4), შარტყოფი (გარდაბნის რ.); სავარ. საქ. სახ. ღუჭა.

ჟ

- ჯაველაშვილ-ი** (თბ., 10. VI. 1967. 4), ჭიათურის საქ. საბჭო, სავარ. საქ. სახ. ჟაველა; ||ჯაველაშვილი ||ჯაველაშვილი, ჭაბუკიანი (ლაგოდების რ.).
- ჯავრელიშვილ-ი**, კოთელია ახალქალაქის რ.).
- ჯავრიშვილ-ი**, გადმოცემით წინაპართა საქმიანობის საფუძველზე შექმნილი (წინაპარნი ჟავრის გამომხდელნი ყოფილან).
- ჯაზაზიშვილ-ი** (თბ., 18. XII. 1964. 3); ხელობა-საქმიანობის ტერმინი ჟაზაზი (არაბ.), „ყაითან-ბუზმენტის მქსოველი“ (ქეგლ).

- ყაზიშვილ-ი** (თბ...2. XII. 1968. 4), შემოქმედი (მახარაძის რ.);
 —ყაზაზიშვილი (ჭუმბ, 44).
- ყაზახაშვილ-ი**, თელავის რ.; საქ. სახელადქცეული ეთნონიმი ყა-
 ზახი. ||ყაზახიშვილი.
- ყაზბეგ-ი**, ყაზბეგის რ.; გვარადქცეული რთული საქ. სახ. ყაზი+
 თანამდებობის ტერმინი ბეგი (თურქ. ბატონი, ხელისუფა-
 ლი). ყაზბეგები ხევის მმართველნი იყვნენ. წინარე გვარი—
 ჩოფიკაშვილი.
- ყაიაბეგიშვილ-ი**, ახალციხე, თბილისი; გვარადქცეული წოდება-თა-
 ნამდებობის სიტყვა ყაიაბეგი (თურქ. კლდის უფროსი, ბა-
 ტონი. კლდე სოფელია ახალციხის რაიონში) მესხეთში თურ-
 ქთა ბატონობის დროს ყაიაბეგი სამოხელეო ტერმინი
 იყო.
- ყალაბეგიშვილ-ი** (თბ., 25. 1978. 4), ახალციხე, თბილისი; თანამდებ-
 ბობის სიტყვა ყალაბეგი (ყალა+ბეგი); თურქ. კალაბეგ
 ციხის უფროსი, ბეგი, ||ყალაბეგაშვილი.
- ყალაიჯიშვილ-ი** (ავტ. მასალ.), ახალციხე; ხელობა-მოსაქმეობის
 ტერმინი ყალაიჯი (თურქ. კალაიჩ—მკლავი); შდრ. მკა-
 ლავიშვილი.
- ყალანდრიშვილ-ი** (კომ., 23. VI. 1967. 1), ოქიო (ახმეტის რ.); თა-
 ნამდებობის სიტყვა ყალანდარი (სპარს.—ბეგარის, ხარ-
 ჯის ამკრები), შდრ. ყალანი ბეგარა (ქეგლ); ამავე ძირისა
 უნდა იყოს კალანდარიშვილი; შდრ. აგრეთვე საქ.
 სახ. ყალანდარა (თაყაიშვ. საქ. სიძვ. IV, 98).
- ყალიჩავა** (თბ., 2. II. 1967. 1), მოიდანახე, (ჩხოროწყუს რ.).
- ყამარაულ-ი**, დუშეთის რ.; მითიური საქ. სახ. ყამარი, ყამარ
 ქალი ღრუბელთა ბატონის ასული, რომელიც ამირანმა მოი-
 ტაცა (ჯავახიშვ., ქ. ერ. ისტ. I, 153, 156; ჩიქოვანი მ., ქარ-
 თული ეპოსი, I, მიჯაჭვული ამირანი); ს. ყანობში (ყაზბეგის რ.)
 დადასტურებულია სახ. ყამარა: ყამარა კობიაშვილი (ავტ.
 მასალ.); ამავე ძირისაა ყამარიძე (კოტეტიშვ. ხალხური
 პოეზია, 259).
- ყამბარაშვილ-ი** (კომ., 3. III. 1965. 1), არაშენდა (გურჯაანის რ.).
- ყანდარელ-ი** (თბ., 28. VIII. 1967. 4); თბილისი, საგარეჯო; ჰაზი-
 რას დედა ქართველი ქალი იყო, გარეჯელი თამარ ყანდარე-
 ლი (იხ. საბჭოთა ხელოვნება № 1, 1964, გვ. 85); გვარადქცე-
 ული სადაურობის სიტყვა; შდრ. ქ. ყანდარი (ირანში); მო-

სხენიებულია ისტორიულ დოკუმენტებში: ყანდარელი კაკა (ჟორდ. ისტორ. საბ. შიო-მღვ. მონასტრ. 104).

ყანდაშვილი-ი (კომ., 10. III. 1965: 4), მალარო (სიღნაღის რ.); შდრ. საკ. სახ. ყანდია (ლლ. სახელ.); ამავე ძირისაა: ყანდიაშვილი, ყანდინაშვილი, ყანტილაძე; || ყანდილაძე.

ყანჩაველი-ი, ახრისი, მეჯვრისხევი (გორის რ.), კაკაბეთი (საგარეჯოს რ.); გვარადქცეული სადაურობის სიტყვა; ყანჩავეთი სოფელია ლენინგორის რაიონში.

ყანჩაშვილი-ი, ვაჭირი (სიღნაღის რ.); სავარ. საკ. სახ. ყანჩა; ამავე ძირისაა ყანჩაძე.

ყანჩელაშვილი-ი, საბუე (ყვარლის რ.); ამავე ძირისაა ყანჩელი (ლიტ. საქ. 9. VI. 1967. 4).

ყარაბულაშვილი-ი (თბ., 15. X. 1974. 4), საქობო (სიღნაღის რ.); თურქ. საკ. სახ. ყარაბულა.

ყარაგვეზაშვილი-ი (წით. დროშა, 12. III. 1966. 4), ახალციხე; თურქ. საკ. სახ. ყარაგვეზ (←ყარაგუეზ—შავთყალა, || ყარაგოზაშვილი, ||ყარანგოზაშვილი (თბ., 23. IV. 1965. 4).

ყარალაშვილი-ი (თბ., 14. IV. 1969. 2); ვაჭირი (სიღნაღის რ.).

ყარამნიშვილი-ი (თბ., 13. II. 1968. 4), ბაკურციხე (გურჯაანის რ.); საკ. სახ. ყარამანი.

ყარაჯაშვილი-ი (თბ., 23. XII. 1967. 4), ჩოხატაურის რ.; თურქ. მეტსახელი ყარაჯა (=შავი, შავგვრემანი).

ყარეგიშვილი-ი (კომ., 6. X. 1968. 2), გომი, შემოქმედი (მახარაძის რ.); ევფემისტური მიზნით გადაკეთებულია კარგიშვილად.

ყარსელიშვილი-ი, ქ. ახალციხე; გვარადქცეული სადაურობის სიტყვა ყარსელი, ყარსი ქალაქია ძველი საქართველოს ტერიტორიაზე (დღევანდელ თურქეთში), ძველად კარი ეწოდებოდა.

ყარყარაშვილი-ი (სახ. გან., 30. X. 1963. 4), პატარა ლილო (გარდაბნის რ.); გადმოცემით ყარყარაშვილთა ძველი გვარი ნაკაშაშვილი ყოფილა. შათი წინაპარი ბატონს გამოჰქცევია, თან ერთი ყარყარა ლიტრით ოქრო წამოუღია. ამის მიხედვით ყარყარა შეურქმევიათ. (პიონ. და მოსწ. სასახლ. მასალ.).

ყატაშვილი-ი (თბ., 11. IV. 1967. 4), ვაჭირი (სიღნაღის რ.).

ყაყუნაშვილი-ი, სვირი (ახალციხის რ.); ქართველ მაჰმადიანთა ძვე-

ლი გვარი, რომლის წარმომადგენლები 1942 წლამდე სოფ. სვირში ცხოვრობდნენ (ახალციხის რ.). აქვე იყო ყაყუნას წყარო (ინფორმატორი—დოცენტი ალ. მესტიერიშვილი, 1978 წ.).

ყაუხიშვილ-ი, ახალციხე, ქუთაისი, თბილისი; ახალციხეში ზედმეტად კრუხიჭამიანთს უწოდებდნენ; ხელობა-საჭმთანობის თურქ. ტერმინი ყაუხჩი (=მეჭუდე), ზოგიერთის გადმოცემით წინაპართა გვარი დარდაგანიძე ყოფილა.

ყაჭაშვილ-ი, ოზანი (წითელწყაროს რ.); შდრ. საქ. სახ. ყაჭია (ლლ. სახელ.).

ყაჭეიშვილ-ი (თბ., 31. VIII. 1968. 4), შუაგანახლება (ჩოხატაურის რ.); || ყაჭაიშვილი (შანიძე, თეოფ. სახელ., მაცნე, № 2, 195); „ყაჭეიშვილი სიხარულიძის განაყარია“ (იხ. ჩოხატაურის რაიონული-გაზეთი, № 99, 19. VIII. 1972. 3).

ყაჭიურ-ი, წინანდალი (თელავის რ.), ლენინგორის რ.; || ყაჭი-აური.

ყაჭრიშვილ-ი (თბ., 10. XI. 1963. 4), ბოდბისხევი (სიღნაღის რ.); ყაჭარი ერთ-ერთი ირანული ტომთაგანი.

ყბაილაშვილ-ი დუშეთის რ. (მაკალ. ფშავი 11); სავარ. მეტსახ. ყბაილა (დიდი ყბის მქონე, მოქალაქე, ყბელი).

ყელაურაძე (თბ., 7. VIII. 1965. 4), აბანოეთი (ამბროლაურის რ.); || ყელეურიძე, წილყანი, ნიჩბისი (მცხეთის რ.).

ყელბერაშვილ-ი, ლოუბანი (თეთრიწყაროს რ.); მეტსახ. ყელბერა (გადმოცემით შერქმეული იყო წინაპრისათვის, რომელსაც ყელზე ჩიყვის ამონაზარდი ჰქონდა. მისი ძველი გვარი მაისურაძე ყოფილა).

ყელიგრეხაშვილ-ი, მეტსახელი ყელიგრეხა.

ყელღერაშვილ-ი, სვირი (ახალციხის რ.); მთქმელი შაქრი ყელღერაშვილი, ქართველი მაჰმადიანი (1930 წ. ფოლკლორული ექსპედიციის მასალები მესხეთ-ჯავახეთში ვ. კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით, იხახება შ. რუსთაველის სახელ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორულ განყოფილებაში). ეს საგვარეულო სვირში 1942 წლამდე ცხოვრობდა.

ყენია (თბ. 10. V. 1964. 1), საჭამიასერი (ჩოხატაურის რ.).

ყვავაძე (სოფლ. ცხ., 17. IV. 1968. 1); ამავე ძირისაა ყვავიაშვილი; შდრ. რუს. Воронов, Воронин.

- ყველაიძე** (კომ., 12. III. 1965. 2), ყველაანი (დუშეთის რ.); ამავე ძირისაა: ყველაურიძე, ყველაშვილი, ყველუტაშვილი (ჯავახიშვი. საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 33), ყველიაშვილი.
- ყვითელაშვილი-ი** (თბ., 2. VIII. 1970. 4); საქ. სახ. ყვითელა: ამავე ძირისაა ყვითელიშვილი (წით. დროშა, 26. XII. 1967. 4.).
- ყვინჩია** (თბ., 11. III. 1967. 3); გვარადქცეული ხელობა-საქმიანობის ტერმინი ყვინჩი (თურქ. ჩამომსხმელი); ბეჭდებისა და სხვა სამკაულთა მოხელე, ოქრომჭედელი (ტერმინი იხმარებოდა მესხეთში); ქვინჩია.
- ყვირილაშვილი-ი** (კომ., 20. XI. 1965. 2), გურჯაანის რ.; საქ. სახ. ყვირილა (ლ. სახელ.); ამავე ძირისაა ყვირილიანი (თბ., 17. III. 1975. 3), ცაგერის რ.
- ყიასაშვილი-ი**, არბოშიეი (წითელწყაროს რ.); საქ. სახ. ყიასა (ლ., სახელ.).
- ყიზილაშვილი-ი**. (კომ., 1. I. 1971. 4), ალვანი (ახმეტის რ.); საქ. სახ. ყიზილა (მაკალ. ფშავი, 148), შდრ. ყიზილი—თურქ. წითელი.
- ყირიმელი-ი** (თბ., 6. III. 1967. 4), ზელდუღეთი (გორის რ.), გლდანის (გარდაბნის რ.); გვარადქცეული სადატრობის სიტყვა; ამავე ძირისაა: ყირიმლიშვილი (თბ., 7. VII. 1964. 4), ყირმელაშვილი (სოფლ. ცხ., 1. IV. 1969. 1).
- ყირქესალაშვილი-ი** (თბ., 29. II., 1968. 4), ქ. ახალციხე, თბილისი; ყირქესალი მიღებულია თურქ. „ყირხ ქესალ“-ისაგან—ორმოც-ქისხანი, რომელიც თურქ მოხელეებს შეურქმევიათ ახალციხის მდიდარი მოქალაქისათვის (ძველი გვარი უცნობია). „ქესე“ ფულის ერთეული იყო, 10.000 ახჩას უდრიდა (პროფ. ს. ჯიქიას ცნობა); ადგილ. გამოთქმით: ყირხქესალიანი, შემოკლ. ყირქესალი. (პროფესორების სტეფანე და ივანე ყირქესალების შესახებ იხ. მაისურაძე ი., სახელოვან ძმათა ღვაწლი, გაზ „წით. დროშა“, 15. IX 1977).
- ყიფიანი-ი**, მესტიის, ამბროლაურის რ-ბი. და სხვ. (გავრც); სავარ. საქ. სახ. ყიფი, ზგდი მწმუნ. ამაყი (საბა, ამაყთან); „ამაყი სხვათა ენაა, ქართულად ყიფი“ (ი. ბაგრატიონი, იხ. ქუთათელაძე, ი. ბაგრატიონის ქართული ლექსიკონი, თბ., 1975, 189); „ყიფი—მედიდური, აქედან ყიფიანები“, ი. გრიშაშვილის მინაწერი „დავითიანის“ 1948 წლის გამოცემის 114-ე

- გვერდზე (იხ. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, თბ., 1977, გვ. 81).
- ქიფშიძე, რვანი (ქიათურის საქ. საბჭო), სალოლაშენი (ქარელის რ.) და სხვ. (გავრც.).
- ყიყინაშვილ-ი (თბ., 24. II. 1975. 4); შდრ. ყიყიშვილი (კომ., 16. XII. 1967. 4). სავარ. მეტსახ. ყიყინა, ყიყი+ბლსრთ-ინ-ა.
- ყლარტიაული (თბ., 29. I. 1966. 4); სავარ. მეტსახელი ყლარტი (კუთხ.) მესხ., გურ.—უსუსური ბავშვი, გალუული (დამცირებით). ამავე ძირისა უნდა იყოს ყლატეიშვილი, ლანირი (სამტრედიის რ.).
- ყობოსნიძე (კომ., 19. IX. 1971. 1); || კობოსნიძე. ფუძე: ყობოსანი
- ყონაშვილ-ი (თბ., 28. IV. 1967. 2).
- ყოლანდარია (თბ. 6. XI. 1969. 4), ზუგდიდის რ.; ხელობა-საქმიანობის სიტყვა ყოლანდარი (სპარს.), მეყოლანე, ყალნის მკეთებელი (ყალანი—ცხენის მოსართავი).
- ყოლბაია (თბ., 3. I. 1966. 4), გალის რ.; ყოლბი (ალყა): „მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გადმოფრინდა“ (შ. რუსთაველი), (ქეგლ).
- ყორანაშვილ-ი (თბ., 19. VIII. 1965. 4), ვაჭირი (სიღნაღის რ.); საქ. სახ. ყორანა; || — ყორნაშვილი.
- ყორაშვილ-ი, ზემო შანხაანი (წითელწყაროს რ.); || ყორაშვიცილი.
- ყორიაული (თბ., 21. X. 1971. 4), მაგრანეთი (თიანეთის რ.).
- ყორანაშვილ-ი (თბ., 31. VII. 1967. 4), ანაგა (სიღნაღის რ.).
- ყოყოჩაშვილ-ი, ჩალაუბანი (გურჯაანის რ.); მეტსახელი ყოყოჩა.
- ყოყუაშვილ-ი (კომ., 12. X. 1979. 4), ქ. ონი.
- ყოჩიაშვილ-ი (კომ., 1. XI. 1963. 3), ზემო შანხაანი (წითელწყაროს რ.); ამავე ძირისაა ყოჩიშვილი.
- ყუბუსიძე (თბ., 24. X. 1970. 4).
- ყულეიჯიშვილ-ი (საბჭოთა აჭარა, 30. VIII. 1966. 2), ქობულეთის რ.; თანამდებობის ტერმინი კულეიჯი (თურქ. მეკოშკე, კოშკის მფლობელი, მცველი).
- ყულიჯანაშვილ-ი (წით. დროშა, 22. X. 1963. 3), უღე (ადიგენის რ.), ახალციხე; საქ. სახ. ყულიჯანა (თაყაიშვი. საქ. სიძვ. II, 244); || ყულჯანაშვილი.

ყურაშვილი-ი (თბ., 15. V. 1967. 4), ოყურეში, ნაკურალეში, უსახელო (ვაგერის რ.); საქ. სახ. ყურა; ამავე ძირისაა: ყურავა, ყურაშიძე, ყურმაშვილი, ყურულაშვილი.
ყურფარაშვილი-ი (თბ., 17. V. 1971. 4), ნორიო (გარდაბნის რ.); მეტსახელი ყურფარა (=ფართოყურებიანის აღსანიშნავად).
ყურშავიშვილი-ი, თიანეთის რ.; მეტსახ. ყურშავი; შდრ. შავყურაშვილი.
ყურშიტაშვილი-ი (ლიტ. საქ., 3. XII. 1965. 4), ჩაბინაანი (ახმეტის რ.), იყალთო (თელავის რ.); მეტსახელი ყურშიტა; წყურშიტაშვილი.
ყურშუბაძე (თბ., 28. VII. 1964. 4), ჩაისუბანი (ქობულეთის რ.); სავარ. მეტსახ. ყურშუბა.
ყუფუნია (კომ., 23. III. 1968. 2), აბედათი (გეგეჭკორის რ.).
ყუჭიაშვილი-ი (თბ., 5. II. 1968. 2), გორის რ.; სავარ. საქ. სახ. ყუჭია; შდრ. მეგრ. ყუჭი, ყუჭი (=ყური).

შ

შაბლაიძე (სოფლ. ცხ., 30. VI. 1968. 1); ზემო ალვანი (ახმეტის რ.), სავარ. საქ. სახ. შაბალა.
შაბურიშვილი-ი (კომ., 21. III. 1964. 3), საშაბურო (დუშეთის რ.); საქ. სახ. შაბური (ქართლ. ცხ., II, 308); შაბურის ძეთ XII ს-ში არაგვის ერისთავობა მიუღიათ.
შადრაძე, ღრელი (ახალციხის რ.).
შადურ-ი ყაზბეგის რ.
შავაძე (თბ., 29. XI. 1965. 4), თელავის რ.; წმავიძე. ამავე ძირისაა: შავიშვილი, შავიანიძე, შავკაციშვილი.
შავბერუაშვილი-ი (ავტ. მასალ.).
შავგულიძე, ზოგიერთი (ზესტაფონის რ.); მეტსახ. შავგული.
შავდათუაშვილი-ი (თბ., 3. XI. 1969. 4).
შავდია (თბ., 4. V. 1964. 4), ნაგომარი (მახარაძის რ.).
შაველაშვილი-ი (თბ., 4. X. 1967. 3), კასპის რ.; 1) საქ. სახ. შაველა (ლლ. სახელ.), 2) — ფშაველაშვილი. გადმოცემით კასპში მცხოვრები შაველაშვილები ფშავიდან არიან გადმოსულნი, მათი სოფელი უძილაურთა ყოფილა, სადაც საქუთა-

რი ხატიც ჰქონიათ. მათ გვარსახელში თავკიდური ფ თანხმონის დაკარგვის შემდეგ ფუძე დაემთხვა საკ. სახელს შველას

შავერდაშვილ-ი (თბ., 15. XII. 1966. 2); საკ. სახ. შ ა ვ ე რ დ ა (თაყაიშვილ. საქ. სიძვ. II, 406).

შავშიშვილ-ი (თბ., 22. II. 1968. 4), შდრ. ეთნონიმი შ ა ვ შ ი

შავხელიშვილ-ი (თბ., 5. III. 1964. 4), ზემო ალვანი (ახმეტის რ.),

შათირიშვილ-ი (კომ., 21. II. 1964. 2), მატანი (ახმეტის რ.),

ტაბაკინი (ზესტაფონის რ.), საჯავახო (სამტრედიის რ.); თანამედებობა-საქმიანობის ტერმინი შ ა თ ი რ ი (=შვიკრივი).

შაიაშვილ-ი (ავტ. მასალ.), შუკუზანი (გურჯაანის რ.).

შაინიძე (კომ., 16. VIII. 1967. 2), შუახევის, ხულოს რ-ბი; საკ.

სახ. შ ა ი ნ ი (სპარს. შაჰინ—თეთრი ქორი; იხ. ა. შაინიძე, თეთრი ქორი, ლიტ. საქ. 11. XII. 1970); აქედანვეა მიღებული

შ ა ნ ი ძ ე.

შაიშმელაშვილ-ი (თბ., 21. III. 1969. 4), ვაქირი, ნუკრიანი (სიღნაღის რ.); გადმოცემით წარმომდგარია სპარსული რთულფუძიანი სახელისაგან—შ ა შ ი ს მ ა ი ლ ი (=შაჰისშაილაშვილი).

შაკაია (კომ., 2. VII. 1964. 4), ბედია (გალის რ.); ამავე ძირისაა

შ ა კ ი ა შ ვ ი ლ ი (კომ., 24. X. 1970. 2), გურჯაანის რ.

შალამბერიძე, კითაწყარი (ზუგდიდის რ.), ცხუნკური (წყალტუბოს რ.); ბერ ძირის შემცველი რთული ფუძე შ ა ლ ა მ ბ ე რ ი (=შალვაბერი), || შ ა ლ ა ბ ე რ ი ძ ე (ქავთ. ქართ. ენ. ისტ., 179).

შალაურ-ი (მებრძ. გუშაგი, 26. II. 1969. 4), ამავე სახელწოდებისაა სოფელი თელავის რაიონში; საკ. სახ. შ ა ლ ა (=შალვა); ამავე ძირისაა შ ა ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, შ ა ლ ე ლ ა (შაღაღბლსრთი ელ-ა).

შალვაშვილ-ი (სოფლ. ცხ., 15. III. 1968. 3), ნუკრიანი (სიღნაღის რ.); წარმოშობით ზევსურეთიდან. გიგაურის „განაყარი“ ყოფილა: „ახლა ჩვენი გორის სახელი შალვაშვილია. გორად გიგაურები, ძირად ჰევსურები და კომად შალვაშვილები ვართ“ (ქყონია, ქორწ. ინსტ. მთიულეთში, 14), ამავე ძირისაა შ ა ლ ვ ა ძ ე (კომ., 12. XII. 1967. 2).

შალიბაშვილ-ი (თბ., 17. IV. 1974. 4), ფათქინეთი (ზნაურის რ.), ბორჯომი; საკ. სახ. შ ა ლ ი ბ ა;

შალიკაშვილ-ი (სოფლ. ცხ., 15. 1968. 3), აკეთი (ლანჩხუთის რ.); საკ. სახ. შ ა ლ ი კ ა; მსხვილი ფეოდალური საგვარეულო

- შველ საქართველოში. წინარე გვარი როჭიკაშვილი ყოფილა: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან“, ვახუშტი, ქართლ. ცხ., IV. 34), ამავე ძირისაა. შ ა ლ ი კ ა ძ ე (ხელვაჩაურის რ.).
- შალუტაშვილ-ი** (თბ., 20. III. 1968. 4), ბორჯომი; საქ. სახ. შ ა ლ უ ტ ა (შალა+ბლსრთი -უტ-ა-).
- შამათვა** (კომ., 16. XI. 1967. 3), ზუგდიდის რ.
- შამანაძე**, საჩხერის რ., საქ. სახ. შ ა მ ა ნ ა, თურქ-მონღოლ. შ ა მ ა ნ —ჯადოქარი, გრძნეული, ზოგ ხალხში მკურნალი, მაგიური ძალის მქონე (ქეგლ). ამავე ძირისაა შ ა მ ა ნ ა უ რ ი, შ ა მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.
- შამელაშვილ-ი**, ქუთაისი; საქ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა შ ა მ ე ლ ი (=სირიელი, შამი—სირია), შდრ. შ ა მ ე ლ ნ ი (ქართლ. ცხ., II. 38, 39, 355).
- შამილაძე**, ბათუმი. თბილისი; ვიემან ვასვის ასული შამილაძე აღნიშნავს: მე ტომით არაბი ვარ.. მამაჩემი არაბი ვასვი ეფენდი შ ა მ ლ უ კ ა ი რ ო დ ა ნ ჩ ა მ ო ვ ი დ ა ბ ა თ უ მ შ ი... აქვე შეირთო აჭარელი ქალი, შემდეგ ცოლ-შვილი დატოვა და გადაიკარგა. 1926—1927 წლებში კვლავ ჩამოვიდა ჩვენს წასაყვანად. დედაჩემი არ წაპყვა, არც ჩვენ დაგვთმო. მამამ საქმეში კონსული ჩარია, მაგრამ ამაოდ. დედაჩემმა ქმრის გვარი შამლუ ქართულად გააკეთა და ასე გავხდით შამილაძეები (კომ., 18. VIII. 1971, უმაღლური).
- შამუგია** (კომ., 29. V. 1966. 4), ზემო ბარლები (გალის რ.), ზუგდიდის რ. და სხვ; შდრ. საქ. სახ. შ ა მ ი გ ი ა (ლლ. სახელ.); ლეშამუგე სოფელია წალენჯიხის რაიონში, საშამუგეო—გალის რაიონში, ლეშამუგე—შამუგეების სამოსახლო უბანია ჯვარში (წალენჯიხის რ.).
- შამფრიან-ი** (კომ., 3. IX. 1967. 3), ზემო სვანეთი.
- შანიძე**, ნოღა. ქვაყუდე, გორმაღალა (სამტრედიის რ.), საჭამიასერი, სურები (ჩოხატაურის რ.); სპარს. საქ. სახ. შ ა ი ნ ი || შ ა ჰ ი ნ, ზგდი მნშვნ. — თეთრი ქორი; || შ ა ი ნ ი ძ ე; შდრ. შ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (ჯავახიშვილ. საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. 179), გურულში ზოგჯერ გამოითქმის როგორც შანიძე, რაც ეპენდეზისის ნიმუშია (გ. ახელედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 180), (იხ. შ. ძიძიგური, აკაკი შანიძე, თბ., 1977).
- შანჭიშვილ-ი**, ზემო ალვანი (ახმეტის რ.); საქ. სახ. შ ა ნ ჭ ი (მაკალ, თუშეთი, 163).

- შანშიაშვილი-ი**, ჯუგაზნი (სიღნაღის რ.); საქ. სახ. შანშია || შანშია, ამავე ძირისაა შანშაშვილი, შდრ. საქ. სახ. შანშია (შაპ-ნაშეს პერსონაჟი); მოხსენიებულია ისტორიულ საბუთებში (ქორდ. ქრონიკ., III. 149).
- შაორშაძე** (თბ., 14. I. 1964. 4), ირტაევაზა (საჩხერის რ.); შდრ. შაორი (მდინარე რაჭაში).
- შარაბიძე**, ამბროლაურის, ხელვაჩაურის რ-ბი; სავარ. საქ. სახ. შარაბი.
- შარანგია** (თბ., 15. II. 1960. 4), ოჩამჩირის რ.; გვარადქცეული თანამდებობის ტერმინი შარანგი (სპარს. წესრიგის დამცველი, ბოქაული, იასაული (ქეგლ).
- შარაშიძე** (თბ., 25. VII. 1963. 4), ერკეთი, ბუჯისციხე (ჩოხატაურის რ.); საქ. სახ. შარაში; ამავე ძირისაა შარაშია.
- შარაძე**, გურიანთა (მახარაძის რ.), იმერხევი (ქართ. დიალექტოლ. 375); საქ. სახ. შარა, ამავე ძირისაა შარეიძე.
- შარაძენიძე**, ტობანიერი (ვანის რ.).
- შარბათიძე** (თბ., 1. X. 1974. 4), გორი.
- შარვაშიძე**, აფხაზეთის მფლობელთა სამთავრო გვარი. „შარვაშიძეების გვარი“ ძალიან ძველია, მის წარმოშობასა და თვით გვარსახელს თქმულება შარვანშაპებს უკავშირებს. როგორც არ უნდა იყოს, უკვე თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი ისენიებს აფხაზეთის ერისთავს დათალი შარვაშიძეს. რუმის სულტნის ყიასდინის ჭარბის მთავარსარდლადაც მონღოლთა წინააღმდეგ დასახელებულია „შარვაშის ძე აფხაზი დარდინ“ (ს. ჯანაშია. იხ. გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946. წ. 27); || შერვაშიძე.
- შარია**, ზემო ბარლები (გალის რ.).
- შარიფაშვილი-ი** (თბ., 13. IV. 1968. 4), მეტეხი (კასპის რ.); საქ. სახელადქცეული თანამდებობის სიტყვა (არაბ. შერიფ).
- შარიქაძე** (კომ., 12. XI. 1963. 2), ვახანი, ლელვანი (ორჯონიკიძის რ.); სავარ. საქ. სახ. შარიქა.
- შარმაზანაშვილი-ი**, ალავერდი (ახმეტის რ.); საქ. სახ. შარმაზანა.
- შარუბანაშვილი-ი** (სოფლ. ცხ. 21. II. 1974. 3), გომარეთი, ჯავახი (ღმანისის რ.); წარმოშობით ჯავახეთიდან, წინარე გვარი აღუაშვილი ყოფილა. || შაროხანაშვილი || შარხანაშვილი.

შარტავა, ახუთი (ჩხორიწყუს რ.).
 შარუხია (თბ., 23. XII. 1967. 4), მაილანი (აბაშის რ.).
 შატავიძე, კავთისხევი (კასპის რ.); || შატავიძე.
 შატბერაშვილ-ი (კომ., 28. I. 1964. 4), თვალადი (კასპის რ.);
 შდ.რ ტობონიმი შატბერდი (ტაძარი ტაო-კლარჯეთში).
 შაურაძე (თბ., 7. VIII. 1972. 4), შაურიძე; ზემო ალვანი ახმე-
 ტის რ.); მეტსახ. შაურა ორნაირად შეიძლება აიხსნას: 1.
 ფულის ერთეული, ხუთკაპიკიანი ლითონის მონეტა; 2. შა-
 ვურა—შავი ფერის ადამიანი, შავგვრემანი.
 შაქარაშვილ-ი (თბ., 9. VI. 1967. 4), ხუცუბანი (ქობულეთის რ.);
 შაქარიშვილი (სიხარულიძე, შაქარიშვილთა საგვარე-
 ულოს წარმოქმნა (გაზ. კომუნიზმის განთიადი, 6. V. 1972 4).
 შაქიაშვილ-ი (თბ., 12. III. 1965. 2); სავარ. საკ. სახ. შაქია.
 შაყელაძე (თბ., 25. VII. 1963. 4).
 შაყულაშვილ-ი (თბ., 16. V. 1969. 1), ორის, ბორჯომის რ-ბი, საკ-
 სახ. შაყულა (მომდინარეობს სპარსულიდან „შაყული“),
 შაყული—შაჰის მონა (იხ. შანიძე თეოფ. სახელ. გაცნე
 №2, 200; ქავთ, ქართ. ენ. ისტ. 105), || შაყულაშვი-
 ლი (თბ., 3. III. 1967. 4), || შანყულაშვილი (თბ.,
 უნივ. 1. IX. 1971. 4), || შახუდაშვილი (თბ., 8. IV.
 1970. 4), შდრ. სომხ. შაყულიანი (იხ. ჭიჭინაძე ზ., არ-
 ქიმანდრიტი პავლე შაყულიანი, თბ., 1904).
 შედანია (ლიტ. საქ., 3. VII. 1964. 3), კახათი (ზუგდიდის რ.); საკ.
 სახ. შედანი (ლლ. სახელ).
 შევარდნაძე, მამათი (ლანჩხუთის რ.); საკ. სახ. შევარდნა (—
 შევარდენა), || შევარდენიძე (თბ., 19. XII. 1968. 4),
 || შევარდნაშვილი.
 შეთეკაურ-ი (თბ., 7. VII. 1964. 3), ხონიჭალა (ღუშეთის რ.); შე-
 თეკა (—შეთეკა), შდრ. შეთე.
 შეთიძე (კომ., 31. XII. 1971. 2), ალვანი (ახმეტის რ.); საკ. სახ.
 შეთე (მაკალ. ფშავი, 148).
 შეიზაშვილ-ი (თბ., 8. I. 1970. 4), ძეგვი (მცხეთის რ.); შდრ. საკ.
 სახ. შეზა, შეზღა (ლლ. სახელ).
 შეითნიშვილ-ი (სოფლ. ცხ., 5. III. 1969. 2), წითელწყაროს რ.;
 სვარ. საკ. სახ. შეითანი (თურქ. ეშმაკი).
 შეკიშვილ-ი (თბ., 16. VI. 1971. 4), უსახელო (ცაგერის რ.).
 შელეგია (კომ., 28. V. 1964. 2), აბელათი (გეგეჭკორის რ.)

- შელია (კომ., 12. VII. 1964. 4), ბედია (გალის რ.), ზუგდიდის რ.;
ამავე ძირისაა შელიაკა.
- შელტაურ-ი (თბ., 17. V. 1967. 4).
- შემაზაშვილ-ი, გოსტიბე (კასპის რ.), ხიზაბავრა (ასპინძის რ.); საქ.
სახ. შემაზა (ლლ. სახელ.).
- შემკობილნ-ი (ინგორ., სვ. საისტ. ძეგლები), ||შენკობილი-
ანი.
- შენგელია, ხაბუმე, ობუჯი (ჩხოროწყუს რ.) შამგონა (ზუგდიდის
რ.). სამტრედიის რ. და სხვ.; საქ. სახ. შენგელი (ლლ.
სახელ.); ამავე ძირისაა შენგელიაი.
- შერაზადაშვილ-ი, წოლა, ონჭევი (ონის რ.).
- შერაძე თბ., 26. X. 1965. 4), ჭოპორტი (დუშეთის რ.).
- შერგილაშვილ-ი (კომ., 17. VI. 1964. 4), ზოვრეთი (ზესტაფონის რ.);
საქ. სახ. შერგილ || შერგელაშვილი კომ., 29. III.
1967. 2).
- შერმადინ-ი (თბ., 6. V. 1968. 4), კორინთა (ლენინგორის რ.), ქ. გო-
რი; გვარაძეცეული საქ. სახ.
- შერმაზანაშვილ-ი (თბ., 29. IV. 1964. 2), საბუე (ყვარლის რ.),
ტაბახმელა (გარდაბნის რ.); საქ. სახ. შერმაზანა.
- შეროზია (კომ., 16. VI. 1964. 2), აბასთუმანი (ზუგდიდის რ.), აბა-
შის რ.
- შეფიაშვილ-ი (თბ., 20. IV. 1973. 4), ანმეტის, ყვარლის რ.-ბი;
შდრ. სეფიაშვილი, სეფიაშვილი.
- შეყილაძე (თბ., 16. IX. 1968. 3), || შეყელაძე (თბ., 5. I. 1976.
4); ამავე ძირისაა: შეყელაშვილი, შეყელაშვილი.
- შეშაბერიძე (თბ., 19. II. 1970. 4), ვარგავი (ასპინძის რ.), კასპის
რ.; || შაშაბერიძე (თბ., 8. IV. 1969. 4).
- შეშელიძე (თბ., 6. III. 1972. 4); შდრ. სოფლის სახელი შეშე-
ლეთი. (რუფო-შეშელეთი, გალის რაიონში).
- შეწირულ-ი (თბ., 11. XII. 1964. 4), გურიანთა (მახარაძის რ.);
მებატონის მიერ მონასტრისათვის შეწირული ყმის ოჯახს
გვარად შერჩენია შეწირული, (ჭუმბ. 46).
- შვანგირაძე, გვიშტიბი (წყალტუბოს რ.). სავარ. საქ. სახ. შვან-
გირა. ძირეულია შვანგი, ზგდი მნშენ. იმერ. შამბი,
ქალტამი
- შველაშვილ-ი (თბ., 25. VI. 1968. 4), ზემო ალვანი (ანმეტის რ.);
საქ. სახ. შველა; ამავე ძირისაა შველიძე, შროშა (ზეს-
ტაფონის რ.), მარელისი, მაქათუმანი (ორჯონიკიძის რ.),

შიგარდელაშვილი-ი (თბ., 22. X. 1963. 4), || შიგარდელაშვილი || შინგარდელაშვილი; შდრ. საკ. სახ. შინგარდელა (ლლ. სახელ.) (— შინგაზრდელა. მეტსახელი.
შილაკაძე, შემოქმედი (მახარაძის რ.), ეწერი (სამტრედიის რ.).
შილდელაშვილი-ი, ჟუარმა (საგარეჯოს რ.); საკ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა შილდელი. გადმოცემით ამ გვარის წინაპრები სოფ. შილდიდან ყოფილან (ყვარლის რ.).
შიმშილაშვილი-ი (კომ., 9. VI. 1964. 4). ონი, კულაში (სამტრედიის რ.); საგარ. საკ. სახ. შიმშილა, || შიმშელაშვილი (თბ., 14. VI. 1967. 2).
შინდაგორიძე (თბ., 20. III. 1964. 4); ონის რ.
შინდელაშვილი-ი (თბ., 28. II. 1964. 4), საკ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა შინდელა (სოფლის სახელისაგან შინდისი).
შინჯიკაშვილი-ი, მარტყოფი (გარდაბნის რ.); საკ. სახ. შინჯიკა (ჯავახიშვილ. საქ. ეკ. ისტ. ძეგლები, 25; ქავთ. ქართ. ენ. ისტ., 277); || შინჯიკაშვილი; მამლუქი ბეგების მეთაური იბრაჰიმ შინჯიკაშვილი (თბ., 1. IX. 1967. 3).
შიოლაშვილი-ი (თბ., 16. IV. 1968. 4), სნო (ყაზბეგის რ.); საკ. სახ. შიოლა+ბლსრ.-ოლა).
შიომღვდლიშვილი-ი (თბ., 5. X. 1972. 4); გვარადქცეული თანამდებობის სიტყვა (საკუთარ სახელთან ერთად).
შიოშვილი-ი (კომ., 16. XI. 1967. 3), კახი, საინგილო; საკ. სახ. შიო.
შირავა, კიწია (გეგეჭკორის რ.).
შირიაშვილი-ი (კომ., 6. VI. 1969. 1).
შირიმაშვილი-ი (ავტ. მასალ.); საკ. სახ. შირიმა, შდრ. შირიმი, (ლლ. სახელ.).
შიშნიაშვილი-ი, ხოვლე (კასპის რ.).
შიუკაშვილი-ი (თბ., 29. II. 1968. 4), ტიბაანი (სიღნაღის რ.); საკ. სახ. შიუკა (შიო+ბლსრთი-უკა).
შიშინაშვილი (თბ., 11. VI. 1970. IV); მეორე ტოლი, (ამბროლაურის რ.); საკ. სახ. შიშინა.
შიშმანაშვილი-ი (ალაზან. განთიადი, 25. 1963. 4), იყალთო თელავის რ.); საგარ. საკ. სახ. შიშმანა; ამავე ძირისაა შიშმანიძე.
შიშნიაშვილი-ი (სოფლ. ცხ., 13. IV. 1968. 4; საკ. სახ. შიშნია ლეონიძე, სახელ.).

- შიხაშვილ-ი** (თბ., 10. XI. 1963. IV), ბოდბისხევი (სიღნაღის რ.); საქ. სახ. შიხა; ამ გვარით დასახლებულ უბანს შიხიანხევი (← შიხიანთხევი) ეწოდება; ყვარლის რაიონში არის სოფელი შიხიანი. ამავე ძირისაა შიხიაშვილი.
- შკუბულიან-ი** (თბ., 23. IV. 1964. 4), ცაგერის რ.
- შოგირაძე** (თბ., 26. XII. 1966. 4), ჩხოროწყუს რ.
- შოვიძე** (თბ., 10. IV. 1974. 3).
- შოვნაძე** (ლიტ. საქ., 3. VI. 1964. 4); ქალის საქ. სახ. შოვნა (ლლ. სახელ.); შდრ. შოვინა.
- შოთაძე** (თბ., 9. VII. 1963. 4), ჩხარი, ძვერი (თერჯოლის რ.); XVI ს. შოთაძეებს უცხოვრიათ სადგერში (ბორჯომის რ.) მათი წარმომადგენელი ყოფილა სვიმეონ დეკანოზი, რომელსაც ლექსად შეუთხზავს წმ. გიორგის ქება. იგი დაწერილია რუსთველური შაირით, რომელშიც იგრძნობა ვეფხისტყაოსნის ენა-სტილის გავლენა. მკვლევართა ვარაუდით, შოთაძეები შეიძლება რუსთაველის შთამომავალნი იყვნენ; ამავე ძირისაა შოთაშვილი; შოთაძეები სოფელია აჭარაში.
- შოთიაშვილ-ი**, საქ. სახ. შოთნია.
- შომანია** (სოფლ. ცხ., 7. XII. 1967. IV), აბედათი, (გეგეჭკორის რ.),
- შონვაძე** (თბ., 5. X. 1965. 4), ჭიხაიში (სამტრედიის რ.); შდრ. შონვაძე.
- შონია** (სოფლ. ცხ., 9. IV. 1968. 2), დარჩელი, (ზუგდიდის), ხობის, წალენჯიხის რ-ბი; გვარადქცეული ეთნონიმი შონი (შეგრ. — სვანი).
- შორთიშვილ-ი**, ზემო ალვანი, (ახმეტის რ.).
- შოშიაშვილ-ი** (თბ., 11. XI. 1967. 4), ვაჭირი (სიღნაღის რ.); საქ. სახ. შოშია.
- შოშიკელაშვილ-ი**; საქ. სახ. შოშიკელა (შოშია+ბლსრთები—იკ, ელ-ა).
- შოშიტაშვილ-ი** ანაგა (სიღნაღის რ.); საქ. სახ. შოშიტა; || შოშიტაიშვილი, მახარაძის რ.
- შპეტიშვილ-ი** (თბ., 11. VI. 1972. 2), გარდაბნის რ.
- შუბაშიკელ-ი** (კომ., 13. II. 1965. 4), თბილისი, გვარადქცეული სადაურობის სიტყვა.
- შურღაია** (თბ., 25. VII. 1967. 4), მენჯი (ცხაკაიას რ.).
- შულღიაშვილ-ი**, საქ. სახ. შულღია (მაკალ. ფშავი, 148).
- შუშანაშვილ-ი**, შუაფხო (ღუშეთის რ.); ქალის საქ. სახ. შუშანა; ამავე ძირისაა შუშანია, ხეთა (ხობის რ.).

შუშანაძე, კირნათი (ხელვაჩაურის რ.).

შუშტაკაშვილი-ი (თბ., 9. III. 1966. 4), ნუკრიანი (სიღნაღის რ.)

შუხოშვილი-ი (სოფლ. ცხ., 15. I. 1972. 3), გავაზი (ყვარლის რ.).

შხვაცაბაია (თბ., 27. V. 1972. 4).

ჩ

ჩაბაკაურ-ი (თბ., 3. XI. 1978. 4), გაიბოტენი (ყაზბეგის რ.), საკ. სახ. ჩაბაკი (ლლ. სახელ.).

ჩაბრავა (კომ., 4. VIII. 1972. 3), აბედათი (გეგეჭკორის რ.); სავარ. საკ. სახ. ჩაბრა (←ჩაბარა); ამავე ძირისაა: ჩაბრაშვილი (თბ., 21. X. 1967. 4), ჩაბრაძე (კომ., 9. IX. 1967. 4).

ჩაგელიშვილი-ი (თბ., 25. I. 1964. 4), ჭიორა (ონის რ.).

ჩაგინავა (თბ., 25. V. 1964. 4).

ჩაგუნავა (თბ., 17. IV. 1967. 4), ზუგდიდის რ.; საკ. სახ. ჩაგუნა, შდრ. ჩაგა, ჩაგუა (ლლ. სახელ.), უძველესი ეთნონიმი (ღვთაების სახელი) შდრ. ხალხური გუნდური სიმღერის მიძახილი ჩაგუნა, ჩაგუნა.

ჩაგრაგანიძე (თბ., 21. 1963. 4).

ჩადუნელი-ი (თბ., 28. XI. 1963. 4), ბორითი, მაქათუბანი (ორჯონიკიძის რ.), ახალდაბა (ბორჯომის რ.); სავარაუდოა მომდინარეობდეს სამოსახლო პუნქტის სახელიდან და იყოს გვარდ-ქცული სადაურობის სიტყვა (ჩადუნა მცენარის სახელია, გვირის ერთ-ერთი სახეობა; ქეგლ), თუმცა ამას ეწინააღმდეგება ამავე ძირის ჩადუნაშვილის (საღრაშენი, თეთრი-წყაროს რ.), არსებობა, რომელიც ჩადუნას საკ. სახელად გულისხმობს.

ჩაველაშვილი-ი (თბ., 27. IX. 1971. 4); სავარ. საკ. სახ. ჩაველა ჩაეი+ბლსრთ ელ-ა); ამავე ძირისაა ჩავინაშვილი (თბ.; 12. I. 1967. 3), ჩავიძე (თბ., 10. IV. 1974. 4), ჩავლეიშვილი, ნინოშვილი (ლანჩხუთის რ.), ←ჩაველეიშვილი←ჩაველაიშვილი.

ჩაიქოლაშვილი-ი, ქ. ახალციხე, ადგ. გმთქ.; ჩაიქოლათი (იხ. მნათობი, № 8, 1966, 148).

ჩაკაბერია (ლიტ. საქ., 20. XII. 1963. 4), აბასთუმანი (ზუგდიდის რ.); ბერ ძირის შემცველი კომპოზიტიური ფუძე ჩაკაბერ

- (ჩაკა+ბერ), (იხ. მაისურაძე ბერ ძირი ქართულ სახელ-გვარებში, მაცნე, № 1, 1965).
- ჩაკვეტაძე** (თბ., 21. V. 1971. 4), ზუბი (ცაგერის რ.); სავარ. მეტსახ. ჩაკეტვა, || ჩანკვეტაძე, შდრ. ჭანკვეტაძე.
- ჩალაბაშვილი-ი**, ანაბა (სიღნაღის რ.); სავარ. საქ. სახ. ჩალაბა ჩალა+ბლსრთი-ბა).
- ჩალაგაშვილი-ი** (თბ., 1. VI. 1967. 4), ძალისი (მცხეთის რ.); სავარ. საქ. სახ. ჩალაგა (←ჩალაკა: ჩალა+ბლსრთი აკ-ა).
- ჩალაურ-ი** (თბ., 29. XII. 1967. 4); საქ. სახ. ჩალა, რომელიც როგორც ძირეული ელემენტი, მრავალ გვარსახელშია წარმოდგენილი; ჩალაბაშვილი, ჩალაგაშვილი, ჩალაშვილი, ჩალიგავა, (←ჩალიკავა), ჩალიძე და ჩლაიძე (←ჩალაიძე); იგივე სახელი სოფელსაც ეწოდება გურჯაანის რაიონში).
- ჩალაძე**, აბარი, ურავი (ამბროლაურის რ.), ნაკიეთი (ონის რ.); იხ. ჩალაური; გადმოცემით ჩალაძეთა წინაპრები სიღნაღის ნიძეები ყოფილან, ქართლიდან ბატონს გაჰქცევიათ და პირველად ნაკიეთში დასახლებულან.
- ჩალახეშაშვილი-ი** (კომ., 9. III. 1972. 3), ცლუნკაანი (წითელწყაროს რ.); ჩალახეში ჩვილი ბავშვის ჩასაწვენად გამართული (თოკით დაკიდებული). საწოლი, რომელშიც ჩალა და ხეა გამოყენებული.
- ჩანადირ-ი** (თბ., 24. IV. 1964. 4), მისაქციელი, ნავდარაანთკარი (მცხეთის რ.), ბაზალეთი (დუშეთის რ.); ამავე რაიონში არის სოფელი ჩანადირაანთკარი.
- ჩანგელია** (კომ., 9. V. 1970. 4), ზუგდიდის რ.; შდრ. ჩამგელიანი, ჩამგელიანი (ბარდაველიძე ვ., სვანურ დღეობათა კალენდარი, 95).
- ჩანგაშვილი-ი**, ზემო ხოდაშენი (ახმეტის რ.); შტოგვარებია: წიწკაანი, კომბლეთაანი; || ჩანკაშვილი (თბ., 28. X. 1963. 4), ველისციხე (გურჯაანის რ.), || ჩანგიშვილი (თბ., 12. X. 1978. 4).
- ჩანთაძე** (თბ., 24. III. 1967. 2), საქ. სახ. ჩანთა (ღლ. სახელ.).
- ჩანტლაძე** (თბ., 1. VI. 1968. 4), ნაბელლავი, ზევი (ჩოხატაურის რ.); მოსალოდნელია აქ იყოს სავარ. საქ. სახ. ჩანტალა. შდრ. საქ. სახ. ჩანთა (←ჩანტა←ჩანატა+ბლსრთი-ალ-ა).
- ჩანჩალაშვილი-ი** (თბ., 17. IX. 1968. 4); მეტსახ. ჩანჩალა (ღლ.

სახელ.), ამავე ძირისაა ჩანჩლიაშვილბ, ჩობანი (თიანეთის რ.), მეტსახ. ჩანჩლია (—ჩანჩალია).

ჩანჩიბაძე (თბ., 30. III. 1968. 4), მახარაძის რ.

ჩარბოლაშვილი-ი (კომ., 31, X. 1970. 3), ფშავი, შუაფხო (დუშეთის რ.); საქ. სახ. ჩარბოლა (ლლ. სახელ.).

ჩარგაზია (კომ., 29. V. 1966. 4), გაჭედლილი (გეგეჭკორის რ.), ზუგდიდის რ.; საქ. სახელადქცეული ეთნონიმი ჩარგაზ, ნიშნავს ჩერქეზს (ს. ჯანაშია, შრ. II. 487), || ჩარგას (ინგორ. სვან. საისტ. ძეგლ. II, 80).

ჩარგეიშვილი-ი (თბ., 14. VI. 1967. 3), ივანდიდი (წულუკიძის რ.); — ჩარგაიშვილი, საქ. სახ. ჩარგა (ლლ. სახელ.); ამავე ძირისაა ჩარგვაძე.

ჩარეიშვილი-ი (თბ., 18. II. 1969. 4), თელავის რ.; შდრ. საქ. სახ. ჩარეგ (ინგორ. სვ. საისტ. ძეგლ. II. 79).

ჩართოლან-ი (კომ., 7. I. 1965. 4), ზემო სვანეთი; იხმარება საქ. სახელადაც.

ჩარიგოგდაშვილი-ი (კომ., 14. II. 1967. 4).

ჩარკვიან-ი (თბ., 23, XI. 1963. I), ზემო სვანეთი (მესტიის რ.), იმერეთი და სხვ.; სვარ. საქ. სახ. ჩარკვა (—ჩარგვა—ჩარგა —ჩარავა), იხ. ჩარგვაძე, ჩარგეიშვილი.

ჩარტია (თბ., 31. I. 1979. 4), ხორგა (ხობის რ.), ცხაკაიას რ.; ჩარტი (მეგრ. =ჩელტი).

ჩაფიჩაძე; მომღერლები დები ჩაფიჩაძეები, სვარ. საქ. სახ. ჩაფიჩა (ჩა ბოლოსართია), შდრ. ჩაფიძე (სოფლ. ცხ., 7. XII 1963. 3), თერჯოლის რ.; ამავე ძირისაა ჩაფიშვილი.

ჩაფრავა (სოფლ. ცხ., 5. XII. 1968. 2), კოჩარი (ოჩამჩირის რ.); ||ჩაპრავა.

ჩაქიაშვილი-ი, ლაფანყური (თელავის რ.).

ჩაჩავა, ზუგდიდის რ.; სვარ. საქ. სახ. ჩაჩა; ამავე ძირისაა! ჩაჩაური, ქვემო ალვანი (ახმეტის რ.), ჩაჩაურაშვილი, ჩაჩაშვილი, ჩაჩიბაია, ჩაჩიკაშვილი, ჩაჩუა, ჩაბუკაშვილი.

ჩაჩქანიშვილი-ი, ზემო ალვანი (ახმეტის რ.).

ჩაჩხუნაშვილი-ი (თბ., 1. X. 1965. 4), ტოლი (ამბროლაურის რ.); სვარ. მეტსახელი ჩაჩხუნა.

ჩახავა (კომ., 5. III. 1966. 1), ზუგდიდის რ., საქ. სახ. ჩახავა; ამავე ძირისაა; ჩახაშვილი, ჩახალაშვილი (ჩახალა: ჩა-

ხა+ბლსრთი—ალ-ა), შესაძლებელია თურქული სიტყვიდან მომდინარეობდეს „ჩახალ“ (=კოჭლი); ამავე ძირისაა: ჩახვაშვილი, ჩახვაძე, ჩახინაშვილი (თბ., 16. V. 1969. V. ჩახინა (ჩახა+ბლსრთი-ინა); ჩხაიძე-ში შეკუმშული ფუძე დასტურდება (ჩხა—ჩხაიძე), ჩახანაშვილი, ვაჭირი (სიღნაღის რ.); საჯ. სახ. ჩახნა (←ჩახანა), ჩახოშვილი, ჩახუნაშვილი, ჩახუტაშვილი.

ჩახტაურ-ი, ზემო ალვანი (ახმეტის რ.), შილდა (ყვარელის რ.); საჯ. სახ. ჩახტა (←ჩახატა); შდრ. მონღოლური საჯ. სახ. ჩაღატა (ქართლ. ცხ. II. 208); შილდაში მცხოვრებმა ჩახტაურების ერთმა ნაწილმა გვარი შეიცვალა: შტო-გვარები გიოშვილი, მამანიშვილი, მამუკიშვილი და შიოშვილი ოფიციალურ გვარებად აქცია (ინფორმატორი პროფ. ადამ ჩახტაური, 1977 წ.).

ჩახრუხაძე, ეს გვარსახელი მესხეთში მცხოვრებ ქართველ-მაჰმადიანთა შორის იყო შემორჩენილი (ინფორმატორი დოც. ალ. მესტვირიშვილი, 1974 წ.).

ჩებიშ-ი, ლაზური გვარსახელია, სარფი (ხელვაჩაურის რ.); შდრ. საჯ. სახ. ჩებუ (ლლ. სახელ.); ამავე ძირისაა ჩებიჩაშვილი (თბ., 17. VI. 1967. 3).

ჩეთიძე, ქვემო ალვანი (ახმეტის რ.).

ჩეკიაშვილ-ი (თბ., 30. XI. 1967. 4); საჯ. სახ. ჩეკია (შაკალ., ხეგს. 168).

ჩეკურიშვილ-ი (თბ., 20. II. 1968. 4); საჯ. სახ. ჩეკურა (ჩეკი, +ბოლოსართი ურ).

ჩელეხაძე სოფლ. ცხ., 4. I. 1968. 3), ქობულეთის რ.; სავარ. საჯ. სახ. ჩელეხა: შდრ. ჩალაბაშვილი.

ჩემია (თბ., 23. II. 1965. 2), გეჯეთი, (ცხაკაიას რ.)

ჩერქეზია (კომ., 18. III. 1967. 3); გვარადქცეული ეთნონიმი ჩერქეზი. გამოყენებული ყოფილა საკუთარ სახელადაც: ჩერქეზა, ჩერქეზი (ლლ. სახელ.).

ჩერქეზიშვილ-ი (თბ., 14. II. 1967. 3), საგარეჯოს რ.; „ჩერქეზი-შვილები არიან შემოსულნი ჩერქეზ-ქირმანიდან და აღგილისა გამო მიიღეს გვარად ჩერქეზიშვილობა და თავადობა (ივერია, V—VI, 1884; გ. ლეონიძე, ნამცვრევი, მნათ. № 8, 1960, 85) ამავე ძირისაა ჩერქეზია (იხ.)

ჩეჩელაშვილ-ი (თბ., 20. IV. 1964. 4); შდრ. ჰეჰელაშვილი (იხ.).

ჩეჩვაძე (კომ., 3. IX. 1965. 3); შდრ. საკ. სახ. ჩეჩია (ლლ. სახელ), ჩეჩავ (იქვე).

ჩეხოშვილ-ი (თბ., 22. IX. 1965. 2); შდრ. საკ. სახ. ჩეხე (ლლ. სახელ).

ჩიაშვილ-ი, ფშავი, წითელაურთა, (დუშეთის რ.), მაკალ. ფშ. 10); საკ. სახ. ჩია (ლლ. სახელ).

ჩიბალაშვილ-ი (თბ., 8. IV. 1964. 4), თიანეთის რ.

ჩიბაშვილ-ი (ავტ. მასალ.); სავარ. საკ. სახ. ჩიბა; ამავე ძირისაა ჩიბალაშვილი (თბ., 8 IV. 1964. 4), თიანეთის რ., საკ. სახ. ჩიბალა (ჩიბა+ბლსრთი—ალა), ჩიბარაშვილი (თბ., 21. II. 1964. 4), ჩიბირაშვილი (თბ., 10. XII. 1965. 4), ჩიბორაშვილი (კომ., 10. VII. 1966. 4).

ჩიბუხაშვილ-ი, ზემო მაჩხაანი; შერქმეული გვარი უნდა იყოს, აღნიშნავდა ჩიბუხის მკეთებელს (მეჩიბუხეს), ანდა, როგორც გადმოცემა გვაუწყებს, მიუთითებდა ყმა გლეხზე, რომელიც ბატონს ჩიბუხს უკიდებდა (იხ. ლიტ. საქ., 3. I. 1975, გვ. 4).

ჩიგოგიძე (თბ., 22. I. 1964. 3), ჩაისუბანი (ჩოხატაურის რ.).

ჩივაძე (თბ., 10. III. 1967. 2), სავარ. საკ. სახ. ჩივა; ამავე ძირისაა ჩივიაშვილი (კომ., 13. X. 1979, 2), გურჯაანის რ.

ჩითავიშვილ-ი (კომ., 25. IX. 1969. 4), ველისციხე (გურჯაანის რ.); ჩითავიშვილი (იხ.).

ჩითაშვილ-ი (თბ., 13. VIII. 1969. 4), შდრ. საკ. სახ. ჩითი, ჩითო (ლლ. სახელ.), ამავე ძირისაა ჩითინაშვილი, წარმოქმნილი საკ. სახ. ჩითინა (ჩითი+ბლსრთი-ინა).

ჩიკაბერია, აბასთუმანი (ზუგდიდის რ.), "ბერ ძირის შემცველი რთულფუძიანი საკ. სახ. ჩიკაბერი (მაისურაძე, ბერ ძირი ქართულ სახელ-გვარებში, მაცნე № 1, 1965, ჩიკა+ბერი; შდრ. ჩიკაშვილი (თბ. 11. II. 1974. 4), ჩიკინაშვილი (კომ. 9. IX. 1965. 4).

ჩიკაშუა (კომ., 30. XI. 1967. 3) გურიანთა (მახარაძის რ.) მამათი (ლანჩხუთის რ.) შდრ. ჭიქაშუა.

ჩიკვაიძე, ორჯონიკიძის რ., აღისუბანი (თერჯოლის რ.); სავარ. საკ. სახ. ჩიკვა (—ჩიკა), ამავე ძირისაა: ჩიკვატია (თბ., 10. IV. 1967. 4), ჩიკვილაძე, ჩიკვაშვილი (თბ., 12. VI. 1968. 4), ჩიკოიძე.

ჩილაშვილ-ი (თბ., 5. IV. 1967. 4), უღე (ადიგენის რ.), ქ. ახალციხე, ამავე ძირისაა ჩილაძე, მურჯახეთი (ახალქალაქის რ.); შდრ. ჭილაშვილი, ჭილაძე.

ჩილინგარიშვილი-ი (თბ., 11. IX. 1968. 4), არალი (ადიგენის რ.), ქ. ახალციხე, ქ. ქუთაისი; პროფესიის ტერმინი ჩილინგარი (თურქ., ზეინკალი); || ჩილინგარაშვილი; ძველი გვარდამე.

ჩილინდრიშვილი-ი (თბ., 5. V. 1979. 4), წილკანი (მცხეთის რ.).
ჩიმაკაძე (თბ., 24. III. 1967. 3); შდრ. საქ. სახ. ჩიმაგა (ლეონიძე, ნამცვრევი, მნათობი, № 9, 158).

ჩინაშვილი-ი, მარტყოფი (გარდაბნის რ.); სავარ. საქ. სახ. ჩინა, ამავე ძირისაა (ჩინიანი (კომ., 20. III. 1974. 4), უშგული მესტიის რ.).

ჩინხლაძე, ორჯონიკიძისა და ზესტაფონის რ.-ბი; მეტსახელი ჩინხალა.

ჩინჩილაკაშვილი-ი (თბ., 1. II. 1964. 3); მეტსახელი ჩინჩილაკა; ამავე ძირისაა ჩინჩილაკაშვილი.

ჩირაძე (კომ., 19. XI. 1963. 2); სავარ. საქ. სახ. ჩირა; ამავე ძირისაა ჩირგაძე (თბ., 14. VI. 1967. 3), თერჯოლის რ. (← ჩირიგაძე—ჩირიკაძე); ჩირიკაშვილი (თბ., 12. V. 1968. 4); ჩირიკა ჩირა-ს კნინობითი ფორმაა, ჩირინაშვილი (კომ., 11. III. 1967. 4); საქ. სახ. ჩირინა (ჩირა+ბლსრთი-ინა).

ჩიტაია, ცხაკაიას, აბაშის რ.-ბი და სხვ.; საქ. სახ. ჩიტა; ამავე ძირისაა: ჩიტავეა, ჩიტაიშვილი, ჩიტეიშვილი, ჩიტალაძე (ჩიტალა; ჩიტა+ბლსრთი-ალა), ჩიტაური, ჩიტაშვილი, ჩიტაძე, ჩიტიანი, ჩიტოშვილი, ჩიტუკაშვილი.

ჩიტირეკაშვილი-ი (თბ., 16. V. 1969. 1), მარტყოფი (გარდაბნის რ.), და სხვ.; მეტსახ. ჩიტირეკია (ქარაფშუტა, თავქარიანი, ჩერჩეტი); შეგნებულად გადაკეთებულია ჩეტრიკაშვილად (დაბნელებულია სიტყვის მნიშვნელობა).

ჩიტორელიძე (თბ., 19. VI. 1965. 4), ფუთი (ზესტაფონის რ.),
ჩიქვანაია (სოფლ. ცხ., 17. III. 1968. I), ზუგდიდის რ.; ამავე ძირისაა: ჩიქოვანი, ჩიქვაია, ჩიქვა, ჩიქავა.

